ადვოკატი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი

საიუბილეო გამოცემა 2015 წელი №3-4

DEUTSCHE STIFTUNG FÜR INTERNATIONALE RECHTLICHE ZUSAMMENARBEIT E.V. IRZ

ჟურნალი გამოცემულია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით

ჟურნალის რედაქტორი:
ზაზა ხატიაშვილი

რედაქტორის მოადგილე:
ეკა ხიმშიაშვილი

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:
როინ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ქორნელიუს ქლაინლაინი, ზაზა ხატიაშვილი, დავით ასათიანი,
ოთარ გამყრელიძე, ირაკლი ყანდაშვილი, ნინო გვენეტაძე,
ინგა თოდრია, ლელა ნადიბაიძე, მაკა სალხინაშვილი, პაატა ტურავა,
ზურაბ ძლიერიშვილი, ზურაბ ჭეჭელაშვილი, ნინო ხოფერია

დიზაინი და დაკაბადონება:
თორნიკე ლორთქიფანიძე

ბეჭდვა:
შპს „ილიონი“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მადლობას უხდის საქართველოში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივ პროექტს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის მომზადებისთვის.

სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო

Funded by the European Union and the Council of Europe
EUROPEAN UNION
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
Implemented by the Council of Europe

ISSN – 1987-5 479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომეციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ნებართის გარეშე აკრძალულია.

სარჩევი

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ 10 წლისაა

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის მიმართვა 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **6**
ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტის მარია სლაზაკის მილოცვა
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **9**
საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მილოცვა ს.ს.ი.პ.
“საქართველოს ადვოკათა ასოციაციის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **11**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მილოცვა
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **12**
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის
მილოცვა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშრებით — **13**
საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მილოცვა
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **14**
ბრემენის ადვოკატთა პალატის წევრის, ადვოკატის და ნოტარიუსის ერიჰ იოსტერის მისალმება
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **16**
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მილოცვა
10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **18**
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მილოცვა
10 წლის იუბილესთან დაკავშირებით — **19**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრების მილოცვა

ბონდო ალასანია — **20**
დავით ასათიანი — **21**
გია თევზაძე — **22**
დავით ლანჩავა — **23**
როინ მიგრიაული — **24**
მამუკა ნოზაძე — **25**
ცისმარი ონიანი — **26**
ზურაბ როსტიაშვილი — **27**
ირაკლი ყანდაშვილი — **28**
ირმა ჭკადუა — **29**

საიუბილეო ღონისძიებები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა
უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის, ილია II — **30**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა
ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი მარია სლაზაკი — **31**
ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) საინფორმაციო წერილი — **32**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ საერთაშორისო კონფერენცია გამართა — **33**
საზეიმო მიღება — **35**

პროფესიის ღირსეული წარმომადგენლების დაჯილდოვება

თანდილა ჯოლოგუა — **37**
ქეთევან ნადაშვილი — **38**
ქეთევან ჭაბუკიანი — **40**
რუსუდან პიტავა — **42**
ზურაბ როსტიაშვილი — **44**
თენგიზ ბეჟაშვილი — **46**
თემურ გოგსაძე — **48**
ზურაბ ტაბიძე — **52**
რამინ პაპიძე — **54**
გელა ბერაძე — **58**
ნონა კირთაძე — **61**
მარინა მანგოშვილი — **62**
თეიმურაზ მესხი — **66**

უფასო იურიდიული დახმარების სამსახური 10 წლისაა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მილოცვა — **68**

ადვოკატის პროფესიის სათავეებთან

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი — **69**
ოსიკო ბარათაშვილი — **71**
ჯამბაკურ ბაქრაძე — **72**
შალვა ალექსი-მესხიშვილი — **73**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

მოვლენათა ქრონიკა 2005–2015 — **74**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ
გაწეული საქმიანობის ანგარიში ადვოკატთა უფლებების დაცვის მიმართულებით 2015 წელი — **79**
ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს პრეზიდენტის წერილი ევროგაერთიანების საგარეო
საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს ფედერიკა მოგერინის — **84**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის ანგარიში
შესრულებული სამუშაოს შესახებ — **87**

ინტერვიუ

კახა ასლანიშვილი: მქონდა ამბიცია, საქართველოში ძლიერი ადვოკატთა კორპუსი ჩამოყალიბებულიყო — **91**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და
საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ — **95**

ადვოკატი და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის 2015 წლის ანგარიში — **101**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება — **104**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაცია — **106**

სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევრიპული სასამართლოს გადაწყვეტილება — **110**
ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა #16 (2013) — **118**

მოსაზრება

ადვოკატის როლი სამართლებრივ დავაში — **126**

ბატონებო,

ჩემო ძვირფასო და გმირო კოლეგებო, მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი, გისურვოთ სიკეთე, ბედნიერება, უფალის წყალობა და სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრება.

საქართველოში, ადვოკატის პროფესია ხშირად ასოცირდება ადამიანის უფლებების დაცვასთან, თავადადებასთან, გმირობასთან, რაც მისასალმებელია. მართალია, ჩვენ გვყავს ადვოკატები რომლებიც გვარცხვენენ, მაგრამ ადვოკატთა აბსოლუტური უმრავლესობა იმსახურებს ღირსეულად ატაროს ადვოკატის სტატუსი, რაც ჩვენი პროფესიის განვითარების და წინსვლის გარანტია.

2015 წელს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ათი წლის, მინდა მივულოცო ყველა ჩემს კოლეგას და პროფესიული განვითარება ვუსურვო. ადვოკატთა ასოციაციამ ღირსეულად აღნიშნა ათი წლის იუბილე, ყველა ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა დასწერებოდა საიუბილეო ღონისძიებას, რომელსაც სტუმრობდა ამერიკის ელჩი, ბატონი იან კელი, მან აღფრთოვანება ვერ დამალა ადვოკტთა ასოციაციის მიერ მოწყობილი ღონისძიების მიმართ. საოცარი საღამო გამოგვივიდა, საღამოს ამშვენებდნენ ჩვენი ადვოკატები საღამოს კაბებში, ამდენი ლამაზი და გაბრწყინებული სახის ხილვით ვიყავი ამაყი. ათი წლის იუბილეს ესწრებოდა ჩვენი ასოციაციის დიდი მეგობარი და დამცველი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE)

პრეზიდენტი მარია სლაზაკი. იუბილეს მოსალოცად ჩამოვიდნენ პოლონეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, სომხეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის ადვოკატთა გაერთიანებების და ასოციაციების დელეგაციები, რაც არასდროს მომხდარა. აღნიშნული ადასტურებს ადვოკატთა ასოციაციის მიმართ დიდ პატივისცემას და ჩვენ ეს უნდა გავათვითცნობიეროთ.

პირველად, ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ გამოარჩია და დააჯილდოვა ჩვენი ღირსეული კოლეგები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ადვოკატთა ასოციაციის განვითარებაში. ადვოკატთა ასოციაციის იმაღლესი ჯილდო, ილია ჭავჭავაძის პირველი ხარისხის ორდენი, რომელიც გადაეცემა 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ პიროვნებას, საერთო კრებამ მიაკუთვნა უწმიდეს და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქს ილია მეორეს. ილია ჭავჭავაძის მეორე ხარისხის ორდენი გადაეცა, ასევე, მხოლოდ ერთ პიროვნებას, ლეგენდარულ ადვოკატს ქალბატონ ქეთევან ნადაშვილს, რომელსაც ადვოკატად მოღვაწეობის 57 წლიანი უწყვეტი სტაჟი აქვს და საადვოკატო საქმიანობას აგრძელებს.

ადვოკატთა კორპუსის ლეგენდის, ლუარსაბ ადრონიკაშვილის ორდენი გადაეცა 6 გამოჩენილ ქართველ ადვოკატს: ზურაბ როსტიაშვილს, თეიმურაზ გოგსაძეს, რუსუდან პიტავას, ქეთევან ჭაბუკიანს, ზურაბ ტაბიძეს, თენგიზ ბეჟუაშვილს და ქალბატონ მარია სლაზაკს.

ადვოკატის ღირსების ორდენი გადაეცათ, ჩვენი პროფესიის ღირსეულ წარმომადგენლებს: გელა ბერაძეს, მარინა მანგოშვილს, ნონა კირთაძეს, რამინ პაპიძეს, თანდილა ჯოლოგუას, თეიმურაზ მესხს.

7 ნოემბერს, პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში, წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელიც მიეძღვნა ადვოკატის უფლებების დაცვას. ეს იყო მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელებას აღმასრულებელმა საბჭომ ერთი წელი მოანდომა, კონფერენციის მიზანი იყო, ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონდებლო ცვლილების მხარდაჭერა, რათა საადვოკატო საქმიანობისთვის ხელის შეშლა, სისხლის სამართლის დანაშაული გახდეს. ღონისძიებას საქართველოს პირველი პირი, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე ესწრებოდნენ. პრეზიდენტმა აღგვითქვა დახმარება ჩვენს საქმიანობაში, რაც ჩვენი განვითარებესთვის დიდი სტიმულია. ექვსი წელია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე გახლავართ და არსად მინახავს მსგავსი კონფერენცია, რომელსაც ასზე მეტი ადვოკატი და ოფიციალური პირი დასწრებოდა. დიდი მადლობა საერთაშორისო ორგანიზაციებს აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებისთვის, ესენია: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG), ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ და ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“.

პატივცემულო ადვოკატებო, რვა ნოემბერს, როდესაც ჩვენს სტუმრებთან ერთად ადვოკატთა ასოციაციის იუბილეს ვზეიმობდით, პოლიციის განყოფილებაში იურიდული დახმარების სამსახურის ადვოკატი გიორგი მდინარაძე აწამეს. პოლიციის უფროსმა დაადო ბორკილები ადვოკატს და ფიზიკურ შეურაცხყოფას მხოლოდ იმიტომ აყენებდა, რომ ადვოკატმა 14 წლის არასრულწოლოვანს განუმარტა, რომ დუმილის უფლება ჰქონდა. გიორგი მდინარაძე არის ღირსეული პიროვნება, რომელმაც თავისი მოვალეობა დააყენა ყველაზე მაღლა. ადვოკატის წამების ვანდალურმა ფაქტმა შეძრა მთელი კორპუსი, დაახლოებით ხუთასმა ადვოკატმა დამირეკა და მთავაზობდნენ დახმარებას. როდესაც განვაცხადე, რომ ვიწყებდი შეიმშილობას თუ 72 საათის განმავლობაში არ დააკავებდნენ პოლიციის უფროსს. ასევე, მივმართე ადვოკატებს, რათა გაფიცულიყვნენ. პოლიციელი დააკავეს. ჩემთვის, მთელი ჩემი თავმჯდომარეობა ღირს მხოლოდ იმიტომ, რომ ავიხდინე ოცნება და ადვოკატთა კორპუსი ერთ მუშტად შევკარი. ეს

არის ძლიერი კორპუსი, რომელიც უკანონობას არ აპატიებს არც-ერთ ხელისუფლებას. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ადვოკატის მიმართ განხორციელებული ელემენტარული დარღვევის ფაქტს უყურადღებოდ არ ვტოვებ. გთხოვთ, მომმართოთ თქვენი უფლებების დარღვევის ყველაზე უმნიშვნელო ფაქტის შემთხვევაში.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიმართ, რომლებმაც ერთი წუთით არ დატოვეს გასაჭირში ჩვენი კოლეგა. არ მოსცილებიან ნაწამებ მდინარაძეს. რომ არა მათი გმირობა, შეიძლება ფატალური შედეგი მიგვეღო, გმირულად დადგა იურიდიული დახმარების საბჭო, რომლის განცხადებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მდინარაძის მწამებლის დაკავებაში.

პატივცემულო კოლეგებო, ჩემთვის მთავარია ადვოკატის უფლებები იყოს დაცული, ადვოკატი იყოს ეთიკური, ადვოკატი იყოს თავისი საქმის პროფესიონალი, სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატს არ დაემუქროს ზეწოლა და ვიბრძვი ყველა მიმართულებით, რათა ჩვენი პროფესია გავხადო უსაფრთხო. მინდა ყველაფერი მოვასწრო თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში.

პატივცემულო კოლეგებო, ჩემთვის ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს ადვოკატთა ასოციაციაში ახალი, მოუმზადებელი წევრების შემოსვალა, რაც აზარალებს ჩვენს პროფესიას. აღმასრულებელი საბჭოს წევრის, ასოციაციის საერთაშორისო მდივნის დავით ასათიანის წინადადებით, მუშავდება პროექტი ადვოკატთა სკოლის შექმნის მიზნით, რომელიც გახდება სტაჟირების სავალდებულო კომპონენტი. გვსურს, ეს მოდელი ავამოქმედოთ 2018 წლის პირველი იანვრიდან. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ძალისხმევით, ადვოკატთა ასოციაციამ სასწავლო ცენტრის შენობაში, მეორე სართულზე მდებარე ფართი შეიძინა, სადაც განათლების მისაღებად მაქსიმალური პირობები შეიქმნება. თქვენ ხედავთ, ადვოკატთა ასოციაცია ერთადერთია ამ ქვყანაში, რომელიც ადვოკატების გადამზადებაზე დიდ აქცენტს აკეთებს, ტრენინგებს და თემებს ვარჩევთ თქვენი გამოკითხვის შედეგად. ასოციაციის სასწავლო ცენტრმა 2015 წელს ჩაატარა 374 ტრენინგი, რაც არცერთ უწყებაში არ მომხდარა.

ძალიან კარგად მუშაობს ეთიკის კომისია, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგად, ადვოკატებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ეთიკის კომისია ცდილობს დანერგოს ჩვენი პროფესიის განვითარების სტანდარტები, რასაც ძალიან კარგად ართმევს თავს. მთელი კორპუსის სახელით დიდ მადლობას ვუხდი ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

ადვოკატთა ასოციაციის განვითარება წამოუდგენელია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გარეშე, რომლის წევრების დიდი შემართება ჩვენი პროფესიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვენელოვანი და დასაფასებელია.

დიდი მადლობა ადვოკატთა ასოციაციის აპარატს, ჩვენს რეგიონულ მენეჯერებს თავდადებული შრომისთვის. მხოლოდ ერთობლივი შრომით არის შესაძლებელი ადვოკატის პროფესიის განვითარება და პოპულარიზაცია. მთელი კორპუსი ხედავს, თუ როგორ ვითარდება ადვოკატთა ასოციაცია, თუ ჩვენ გავაგრძელებთ შემდგომ პროფესიულ ზრდას, იმ ფონზე, როდესაც საქართველოში სამართლადამცავი სტრუქტურები დგანან ერთ ადგილზე, ჩვენს ქვეყანაში დავამკვიდრებთ სამართლიან სასამართლოს, რაც ქვეყნის განვითარების მთავარი გარანტია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ჩემო კოლეგებო, დამდეგ ახალ წელს, უფალი ჰფარავდეს ჩვენს ქვეყანას.

ზაზა ხატიაშვილი
თავმჯდომარე
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

ძვირფასო პრეზიდენტო,

პატივცემულო სტუმრებო, კოლეგებო და მეგობრებო,

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მილიონზე მეტი ევროპელი ადვოკატის სახელით (რომელთაც ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭო აერთიანებს 45 წევრი ადვოკატთა ასოციაციის სახით) გადმოგეცით სალამი და მილოცვა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ჩვენი ძალიან ძვირფასი წევრია – პროფესიის ძირითადი ღირებულებების პატივისცემისთვის ღირსეული მებრძოლი. 7 წლიანი ერთობლივი თანამშრომლობის პერიოდში, ვფიქრობ, ბევრ რამეს მივაღწიეთ.

ძალიან კარგად მასხოვს 2010 წელი და 100-ზე მეტი დაპატიმრებული ქართველი ადვოკატი; თუმცა, ამავდროულად, ადვოკატთა უფლებების სხვა სახის დარღვევებსაც ჰქონდა ადგილი. ადვოკატთა ასოციაციის და განსაკუთრებით, თქვენი თავმჯდომარის – ზაზა ხატიაშვილის გმირული ძალისხმევის შედეგია ის, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გვაწვდის ინფორმაციას პოლიციის და პროკურორების

მხრიდან ადვოკატთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფების მრავალი შემთხვევის შესახებ; მათ შორის ფიგურირებს ადვოკატებისთვის ხელის შეშლა კლიენტებისგან კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით; ადგილი აქვს ზეწოლას ადვოკატებზე და მათ ოჯახებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იცავენ ადამიანებს, რომლებიც არ არიან პოპულარული საზოგადოებაში (რაც არის თითოეული მოქალაქის უფლების აშკარა დარღვევა – თუნდაც დაცვის ქვეშ მყოფი პირი იყოს ტერორისტი). CCBE-ი ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ აცნობებს საქართველოს მთავრობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მოქალაქეთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, პასუხისმგებელია უზრუნველყოს ქართველი ადვოკატების მიერ პროფესიული საქმიანობის შესრულება ყოველგვარი სახის დარღვევის, მუქარის ან არასათანადო ინტერვენციის განხორციელების გარეშე. სამწუხაროდ, როგორც წესი, ხსენებული წერილები ადრესატებისგან უპასუხოდ რჩება და ამიტომ ვთვლი, რომ დღევანდელი დისკუსიის თემა ძალიან მნიშვნელოვანია.

მსურს გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და დიდი მადლობა გადავუხადო ელჩს – იანოშ ჰერმანს CCBE-სთან თანამშრომლობისთვის და საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის ხელშეწყობისთვის; მოსამართლეს – რენატა ვინტერს ყველა მისი ინიციატივისთვის, რომელიც მიმართულია საქართველოში სასამართლო სტანდარტების გაუმჯობესებისკენ და ყველას, ვინც დახმარება აღმოუჩინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მიმდინარე ბრძოლაში, რათა ამ ლამაზი ქვეყნის მოქალაქეებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი ადვოკატების მომსახურების მიღების საშუალება, კომუნიკაციის კონფიდენციალურობის და სხვა სტანდარტების დაცვით. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ყველა ქართველი ადვოკატის მიმართ, რომლებიც მამაცურად ჩაერთვნენ მოქალაქეების უფლებების დაცვის მიზნით წამოწყებულ ბრძოლაში.

CCBE-ის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც წლის დასაწყისიდან მშობლიურ ენაზე ვრცელდება ევროპელი ადვოკატებისთვის. მადლობას გიხდით მისი ქართული თარგმანისთვის. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ნებისმიერი შენიშვნის, მოსაზრების თუ წინადადებების გასაზიარებლად.

იმედი მაქვს, საიუბილეო კონფერენცია კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესების კუთხით და თითოეული მოქალაქის ინტერესი კომპეტენტური ადვოკატის მიერ იქნება წარმოდგენილი სასამართლოში, რადგან, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მოქალაქეთა უფლებების სათანადო დაცვა.

მარია სლაზაკი
ევროპის ადვოკატთა ასოციაციების
და სამართლის საზოგადოებების
საბჭოს პრეზიდენტი

მეგობრებო გულითადად გილოცავთ იუბილეს!

უკვე ათი წელია დაუღალავად იღწვით, რათა ადვოკატის საპატიო პროფესიას ღირსეული ადგილი ეკავოს ჩვენ ყოველდღიურობაში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოებაში სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება.

ადვოკატთა კორპუსის გაძლიერების, უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო სამართლებრივი განათლებისთვის შრომამ დამსახურებულად მოგიპოვათ მაღალი საზოგადოებრივი რეპუტაცია.

დაე, მომავალი მეტი წარმატებებისა და განვითარების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის.

პატივსიცემით,

გიორგი მარგველაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას,

ძვირფასო კოლეგებო,

ადვოკატთა ასოციაციის იუბილესთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გამახსენდა არა ამ ორგანიზაციის დაფუძნების პერიპეტები, რაც თავისთავად საგულისხმო ეტაპი იყო იურიდიული პროფესიის განვითარების საქმეში, არამედ უფრო ადრეული წლები; წლები, როდესაც ხდებოდა ჭეშმარიტად რევოლუციური გარდატეხები იურისტების ცნობიერებაში, ერთი მხრივ, და იურისტების შესახებ საზოგადოების ცნობიერებაში, მეორე მხრივ.

1986 წლის მაისია. თსუ იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები ჩათვლებისთვის და გამოცდებისთვის ვემზადებით. მთელი წლის მანძილზე 2 ძირითად საგანს გვასწავლიდნენ–სკკპ ისტორიას და პოლიტეკონომიას. შიგადაშიგ, ფორმით მაინც იურისპრუდენციის შემსწავლელ სტუდენტებს რომ ვგვანებოდით, სამართლის თეორიის და სამართლის ისტორიის ლექცია–სემინარები გვიტარდებოდა. თუმცა,სამართლის თეორიის კურსში მაინც ძირითადად მარქსიზმ–ლენინიზმის მოძღვებას ვეუფლებოდით, თავისი ოჯახის,კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის ენგელსისეური თეორიით და სახელმწიფოს და სამართლის გარდაუვალი კვდომის ლენინური თეორიით...და აი ამ ყოფაში, კრემლიდან დაწყებული „პრესტროიკის“ გავლენით, ფაკულტეტზე სიახლეების დანერგვა დაიწყო. ერთ – ერთი ასეთი „რევოლუციური სიახლე“ გახლდათ სტუდენტებისთვის იმის კითხვა და სტუდენტებისგან იმაზე ხმამაღლა პასუხის გაცემა, თუ სამარათლის რომელ დარგში და პროფესიული საქმიანობის რომელ სფეროში გვსურდა მუშაობა. 118 პირველკურსელიდან 116 – მა მიუთითა „სისხლის სამართალი“ და „პროკურორი“. ასეთი იყო წარმოდგენა იურისტის პროფესიაზე – აუცილებლად სახელმწიფოს სახელით ადამიანებუ უნდა დაგვესაჯა...

1988 წლის მაისია. ორწლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ დავბრუნდი საქართველოში და უნივერსიტეტს მივაშურე. ისტორიკოსები და ფილოლოგები პირველი კორპუსის ეზოში მიტინგს ატარებდნენ გარეჯის სამონასტრო კომპლექსის პრობლემებზე. ჩემი მეგობარი იურისტი სტუდენტები ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს ჰყავდა ცალკე შეკრებილი და მიტინგის ტერიტორიაზე წესრიგის დასაცავად წითელ სამკლაურებს ურიგებდა. ასეთი იყო წარმოდგენა იურისტის როლზე საზოგადოებაში – აუცილებლად სახელმწიფო უნდა დაგვეცვა ადამიანებისგან...

1990 წლის მაისია. იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსელ ფრიადოსანთა უდიდესი ნაწილი ახალშექმნილ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე გადავიდა და იქ ადამიანის უფლებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, უცხო ენებს, საკუთრების თეორიას, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების სწავლა დაიწყეს ...ასე გათავისუფლდა იურისტის პროფესია საბჭოთა მარწუხებისგან.

წარმატებას გისურვებთ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში! რატომ ბრძოლაში? იმიტომ, რომ 2015 წელს ბევრისთვის ჯერ კიდევ 1986 წელია...

დავით უსუფაშვილი
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ულოცავს 10 წლის იუბილეს.

2005 წლის 26 თებერვლის საერთო კრებაზე საფუძველი ჩაეყარა ადვოკატთა ასოციაციის, როგორც წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომელიც აგრძელებს და ავითარებს ქართველ ადვოკატთა სკოლის საუკეთესო ისტორიულ ტრადიციებს.

საიუბილეო თარიღამდე განვლილი გზა, არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტით, მათ შორის მრავალი მღელვარე და ემოციური საკითხით არის დატვირთული.

მოხარული ვარ, რომ როგორც სამართლის პროფესორს, მომიწია უშუალოდ მემუშავა, კოლეგებთან ერთად, ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში. მახსენდება არაერთი საქმიანი, დაუღალავი და პროფესიული კამათი, ხმაურიანი მსჯელობები, რომლებიც ეძღვნებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმას, ჰუმანიზაციის პრინციპის გატარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ადვოკატები, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართალწარმოებაში და მოიაზრებიან იმ პროფესიონალებად, რომელთა განსწავლულობა და მაღალი ეთიკური სტანდარტები კონკრეტულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში, მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე, არაერთი დისკუსია და მსჯელობა შედგა. ჩამოგვიყალიბდა კარგი ტრადიცია, როდესაც მოსამართლეები მართლმსაჯულების მონაწილე პირებთან ერთად მსჯელობენ აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე, ჰიპოთეტურ შემთხვევებზე, რათა სამოსამართლო და საადვოკატო პროფესიული პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემების დაძლევა მოხდეს პირის უფლებისა და კანონის დაცვის სტანდარტით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ წარმატებებს პროფესიული განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერების სწრაფვისაკენ მიმავალ რთულ გზაზე. გისურვებთ, რომ თქვენი დაუღალავი შრომა ნაყოფიერი ყოფილიყოს იმ პირთა უფლებების საკეთილდღეოდ, რომელთა დაცვის საპასუხისმგებლო ფუნქციაც გაკისრიათ.

ნინო გვენეტაძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოსა
და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელით, მაქვს პატივი მივულოცო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას დაარსებიდან 10 წლის იუბილე.

ეს ათი წელი არაერთი სირთულით იყო სავსე. მთავარიპრობლემა კი, როგორც თქვენც, მეც და ჩემს ორივე მოადგილეს – ალექსანდრე ბარამიძესა და მიხეილ სარჯველაძეს, ყოფილ ადვოკატებს, კარგად გვახსოვს, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული და დაცვის მხარის ინტერესის შესაბამისი სამართლებრივი რეფორმების განხორციელების შეუძლებლობა იყო.

დღეს, იუსტიციის სამინისტრო თქვენი პარტნიორია და ის თქვენთან ერთად ქვეყნის პროგრესისათვის მუშაობს. ჩვენს საქმიანობაში სამართლებრივ რეფორმებს მთავარი ადგილი უჭირავს. ბოლო სამი წლის განმავლობაში, იუსტიციის სამინისტროს მიერ არაერთი ისეთი რეფორმა განხორციელდა, რომელიც ადვოკატებს ხელს უწყობს, უფრო ეფექტურად დაიცვან თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი პირები.

მაგალითად, ადვოკატებს მიეცათ შესაძლებლობა, ისე გაასაჩივრონ აღკვეთის ღონისძიების შესახებ

განჩინება, რომ ამისათვის არ მოუხდეთ დროის მცირე მონაკვეთში დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის მოპოვება;

დაცვის მხარესდა, ბუნებრივია, მათ შორის, ადვოკატებს მიეცათ შესაძლებლობა იშუამდგომლონ ჩხრეკა-ამოღების ჩატარების თაობაზე;

ადვოკატებს აღარ აქვ თვალდებულება ექსპერტის დასკვნა მაინცდამაინც სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებისაგან მოიპოვონ;

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმის კვალდაკვალ, დაცვის ქვეშ მყოფი პირები და მათი ადვოკატები აღარ არიან მთლიანად დამოკიდებული ბრალდების მხარის ნებაზე, რადგან მთელი პროცესი ახლა ბევრად უფრო გამჭვირვალეა და მოსამართლის როლიც ამ პროცესში ბევრად უფრო გაზრდილია;

ბევრად მეტისა პროცესო შესაძლებლობა გაიხსნა იმ ადვოკატების სასარგებლოდ, რომლებიც დაზარალებულის ინტერესებს იცავენ;

ადვოკატთა კორპუსს მიეცა უფლება, ღირსეულად წარმოადგინოს თავი საჯარო ხელისუფლების და საჯარო უფლებამოსილებების განმახორციელებელ სხვადასხვა ორგანოებში, მათ შორის, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში და ა.შ., რითაც ადვოკატებს ექნებათ შესაძლებლობა გავლენა იქონიონ სხვადასხვა დონის ორგანოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ასეთივე უფლება ადვოკატებს ექნებათ სულ მცირე ხანში პროკურატურის საზედამხედველო ორგანოშიც – საპროკურორო საბჭოში, რომელიც „პროკურატურის შესახებ“ კანონში ცვლილებების მიღების შემდეგ ამოქმედდება;

საქართველოსადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებიდა ცალკეული ადვოკატებიც მონაწილეობენ სხვადასხვა მიზნის და დანიშნულების უწყებათაშორისო საბჭოებში, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათა შორის საბჭოში; ყველას გვახსოვს, მანამდე ეს შეუძლებელი იყო;

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ადვოკატებთან სამართლის სხვადასხვა სფეროში საკანონმდებლო რეფორმების განხორციელების მიზნით. მათ შორის, ადვოკატებთან აქტიური თანამშრომლობით შევიმუშავეთ ცვლილებები „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში და ადვოკატთა ერთ-ერთ პროფესიულ გაერთიანებასთან ერთად ვმუშაობთ ცვლილებების პროექტზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

ყველა ამ ცვლილებასა და სიახლეზე ჩვენ სამი წლის წინ ერთად ვფიქრობდით, მათ შორის ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის რეფორმის კომიტეტში, და არ გვეგონა, რომ მალე ეს შესაძლებელი გახდებოდა.

ცხადია, რჩებასაკითხები, რომლებიცჩვენშორისაზრთასხვადასხვაობასიწვევს. მოწმისდაკითხვისახალიწესისამოქმედებაერთ-ერთიმათგანია. მაგრამ მე მჯერა, ჩვენ ვიპოვით კომპრომისულ გზას, რომელიც ადვოკატს თავისი საქმიანობის სწორად და ეფექტურად განხორციელების საშუალებას მისცემს, ხოლო გამომძიებელს არ წაართმევს სამუშაო ინსტრუმენტს დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოში სამართლის უზენაესობის დამკვიდრების საქმეში ჩვენ ერთი და იგივე მიზნები გვაქვს. ამიტომაც გისურვებთ სიმხნევეს, ჩვეულ გამბედაობას, პროგრესულობას, ძალას მოთმინებისა და შრომისათვის, წარმატებებს, ბევრ გამამართლებელ განაჩენსა და მოგებულ საქმეს, ჯანმრთელობასა და წინსვლას!

მარად თქვენი გულშემატკივარი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელით,

თეა წულუკიანი
იუსტიციის მინისტრი

ქვა-ღორღიანი გზა

გერმანელი ადვოკატის შეზღუდული თვალით დანახული რეალობა

ნაწილი I

2010 წლის შემოდგომაზე საქართველოში ცივა. დილის 06:00 საათზე სიბნელეში მრავალი ადვოკატი შეკრებილა თბილისის მე-8 საპყრობილის კართან და ატარებენ დემონსტრაციას. ვიზიტორების შეშვებამდე, 10:00 საათიდან შეიკრიბა 100 კოლეგაზე მეტი. ადვოკატსა და მის კლიენტს შორის შეხვედრებისათვის გამოყოფილია მხოლოდ ორი ოთახი. დემონსტრაცია მიმდინარეობს პატიმრობის ადამიანური პირობების გასაუმჯობესებლად, კლიენტის საკმარისი ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად, საპატიმროებში ძალადობის დასასრულებლად.

ქართველი ადვოკატების 5% იმყოფებოდა ან იმყოფება საპყრობილეებში. ადვოკატების დაპატიმრება ხდება არადამაჯერებელი დასაბუთებით. ევროპული სასამართლოები კი ამას სკანდალად მიიჩნევენ. ადვოკატს, რომელიც 05:00 საათზე არ მივა სასჯელაღსრულების დაწესებულების ჭიშკართან, შეშვების არანაირი შანსი არ გააჩნია.

ყოველდღიურად უზარმაზარი რიგებია და მრავალი კოლეგა იძულებულია უკან გაბრუნდეს. დაუცველია მინიმალური სტანდარტებიც კი, რის გამოც სამართლიანობა არ არსებობს. ადგილზე მოდიან ტელევიზიები და რადიორეპორტიორები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და სხვა ადვოკატები აფასებენ მდგომარეობას. როგორც ერთადერთი უცხოელი ადვოკატი, ვცდილობ, კამერის წინ გამოვხატო ჩემი აღშფოთება.

შემდგომ დღეებში გამოცხადდება, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის გასასაუბრებლად დაახლოებით 40-მდე დამატებითი ოთახია გამოყოფილი.

შემდგომ თვეებში საპატიმროების თანამშრომელთა მიერ ქვეყნდება ძალადობის ამსახველი ფოტოები.

ხდება ხელისუფლების შეცვლა.

დაპატიმრებული კოლეგების დიდი ნაწილი თავისუფლდება.

წარმატება?

ნაწილი II

საქართველოში ცივა 2015 წლის ნოემბერში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აღნიშნავს დაარსების მე-10 წლისთავს.

საქართველოს პრეზიდენტი გამოდის და გადასცემს ზაზა ხატიაშვილს ორდენს, აქებს მას ადვოკატურისათვის გაწეული დამსახურებისათვის. საღამოს ტარდება დიდი გალა-ვახშამი.

ყველაფერი რიგზეა?

შესაძლოა, გვეფიქრა, რომ არ წამომდგარიყო ადვოკატთა და მათი კლიენტების უფლებების დამცველი – მარია სლაზაკი – CCBE-ს – ევროკავშირის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც მის ქვეყანაშიც დიდი გამბედაობით იბრძოდა ადვოკატებისა და მათი კლიენტების უფლებების დასაცავად. სწორედ ის ითხოვს სიტყვას საზეიმო ღონისძიებაზე: მე არაერთი წერილი მივწერე საქართველოს მთავრობას და დავინტერესდი ჯერ კიდევ პატიმრობაში მყოფი კოლეგების ბედითა და პატიმრობის მიზეზებითო. სამწუხაროდ, პასუხი არ მიმიღიაო. ის პირობას დებს, კიდევ დაინტერესდეს ამით და იმსახურებს ტაშს.

გაგრძელდება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ბრძოლა და უნდა გაგრძელდეს კიდეც!

ნაწილი III

ვუზივარ ჩემ საწერ მაგიდას ბრემენში და მინდა, დავწერო სტატია ქართული საადვოკატო საიუბილეო გამოცემისათვის. როგორც სტუმარი, რომელიც კოლეგებმა უდიდესი სტუმართმოყვარეობით მიიღეს, მინდა, გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა, რომელიც ჩემთვის თვალშისაცემი იყო.

დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საღამოს წვეულებაზე არ ყოფილან მიპატიჟებული ან არ მოვიდნენ სასამართლო სისტემის წარმომადგენლები. ძალიან უჩვეულო მოვლენაა ჩვენი გადმოსახედიდან. თუმცა ერთგვარად სიმპტომატურად მეჩვენება, რომ სასამართლო და ადვოკატურა ესაუბრებიან არა ერთმანეთს, არამედ მხოლოდ სხვებზე საუბრობენ. გერმანელი მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც ნამყოფი არიან საქართველოში, ადასტურებენ ამ რეალობას. დღემდე ვერ ხერხდება მოსამართლეებისა და ადვოკატების ერთ მაგიდასთან დასმა. ძალზე დიდია ორმხრივი უნდობლობა.

კარგი იქნებოდა ერთხელ ერთობლივი ღონისძიების ჩატარება, მაგალითად, საქმის ზეპირი განხილვა ქართველი მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების, ასევე გერმანელი მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების მონაწილეობით. განგვეხილა ერთი და იგივე საქმე ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით. სასურველია ორივე პროცესის გადაღება და ერთად განხილვა. იქნებ, IRZ-მა და იუსტიციის სამინისტრომ მხარი დაუჭირონ ამ გეგმას.

დასაწყისი?

მეჩვენება, რომ ნდობა საერთოდ არ არსებობს. ნდობა კი ნიშნავს სხვისი როლის გაგებას. ბრემენის სახალხო მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონმა ერთხელ განაცხადა: „რაც უფრო მეტს იბრძვით საკუთარი კლიენტის ინტერესების დასაცავად, მით უფრო უკეთ შემიძლია ვიძინო, რამეთუ დარწმუნებული ვარ, არ მომიწევს არასწორი გადაწყვეტილების მიღება“. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ როლების ურთიერთგაგება დაეფუძნება ნოყიერ ნიადაგსა და ყველა დარწმუნებული იქნებოდა, რომ მოსამართლე ეყრდნობა კანონს და დარწმუნებულია, რომ ადვოკატიც კანონის შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ეს სასარგებლოა სამართლიანობისა და კლიენტისათვის, რამეთუ ყურს დავუგდებთ ერთურთს.

მხოლოდ თავისუფალ, სახელმწიფო თვითნებობის მუქარის ქვეშ არმყოფ ადვოკატს ხელეწიფება მისი კლიენტის ინტერესების იმგვარად წარმოდგენა, როგორც ეს მას მოეთხოვება სამართლებრივ სახელმწიფოში. ნებისმიერმა პოლიტიკოსმა, ნებისმიერმა მოსამართლემ, პროკურორმა თუ პოლიციელმა კარგად უნდა გააცნობიეროს:

იქნებ მეც დამჭირდეს ერთ მშვენიერ დღეს ადვოკატი, რომელიც თავისუფლად და დამოუკიდებლად დაიცავს ჩემს უფლებებს.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ მიმავალ გზაზე.

ბევრ გამბედაობას, ძალისხმევასა და წარმატებებს ვუსურვებ ქართველ ადვოკატებს სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ მიმავალ ქვა-ღორღიან გზაზე.

ადვოკატი ერიჰ იოსთერი
ბრემენი (გერმანია)

ბატონებო,

სარევიზიო კომისიის სახელით გილოცავთ საიუბილეო თარიღს.

დიდი და ძნელი გზა გავიარეთ სანამ აქამდე მოვიდოდით, ბევრიც ვიბრძოლეთ. ვფიქრობ, სხვანაირად ვერ დავდებდით ამ შედეგს რაც გვაქვს.

მე, თქვენთან ერთად, მეამაყება, რომ ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და თქვენთან ერთად შემაქვს ჩემი წვლილი ამ კორპუსის გასაძლიერებლად.

წინ დიდი გზაა გასავლელი, ჩვენ ხომ ის კორპორაცია ვართ, ვინც მიღწეულით არ კმაყოფილდება და უფრო მეტი მწვერვალების დაპყრობა სურს. ვიმედოვნებ, ერთად დგომით, შრომით ბევრს მივაღწევთ.

ათი წლის წინ, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ადვოკატთა ასოციაცია იქნებოდა ლიდერი ყველა პროფესიულ გაერთიანებას შორის არამარტო საქართველოში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ პროფესიულ წინსვლას.

პატივისცემით,

ლიანა მასიკაშვილი
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ 10 წლისაა

ძვირფასო კოლეგებო,

ჩვენთვის, ადვოკატთა ასოციაციის არსებობა და ფუნქციონირება დიდი მონაპოვარია. ის პირდაპირ-პროპორციულია ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობასთან, ინსტიტუციურ გაძლიერებასთან, ეთიკურ სტანდარტებთან, მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან.

ადვოკატთა კორპუსის ერთ კორპორაციად გაერთიანება გულისხმობს ერთიან, ევროპულ საადვოკატო სტანდარტებს.

დღეს, როცა ესე მყარად ვდგავართ ფეხზე, როცა ქართველი ადვოკატების პრაქტიკული საქმიანობა და ეთიკური სტანდარტები გაუტოლდა ევროპულ სტანდარტებს, როცა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ევროპაში ჩვენი კოლეგები აღიარებენ ქართველი ადვოკატების წარმატებებს, აი ამ ფონზე, მინდა მოგილოცოთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იუბილე და გისურვოთ წინსვლა და გამარჯვება.

პატივისცემით,

ციცინო ცხვედიანი
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ბატონებო,

პირველ რიგში ყველა ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საიუბილეო თარიღი მინდა მივულოცო. ათი წლის წინ, ძალიან ცოტა ადამიანს სჯეროდა რომ ჩვენ, ადვოკატები შევძლებდით დამოუკიდებელი, თვითრეგულირებადი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის შექმნას და მართვას. ადვოკატთა ასოციაციამ რთული, წინააღმდეგობებითა და პრობლემებით აღსავსე პერიოდი გაიარა. განსაკუთრებულად რთული გამოდგა პირველი წლები, როდესაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეგზისტენციალური საკითხების მოგვარება უწევდა. შემდგომი წლები თითოეული ჩვენგანისთვის ნებისყოფის, პრინციპულობისა და პროფესიისადმი ერთგულების გამოცდად იქცა. საბედნიეროდ, პრობლემები და სირთულეები ერთობლივად დავძლიეთ და საზოგადოებას პროფესიონალიზმის, ერთიანობის და თანადგომის სანიმუშო მაგალითები ვუჩვენეთ.

ამაში კი, განსაკუთრებული წვლილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოების წევრებს მიუძღვით. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და სირთულისა, მათ ღირსეულად ატარეს პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი, რისთვისაც თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო.

ასევე, მინდა, იუბილე მივულოცო და მადლობა გადავუხადო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს და აპარატის თანამშრომლებს. მათი თავდაუზოგავი შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ორგანიზაციის არსებობა.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ განსაკუთრებულად აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციების განუზომლად დიდი და დადებითი როლი ასოციაციის განვითარებაში. მათი მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ასოციაციის შექმნა და განვითარება.

ადვოკატთა ასოციაციის ათი წლის იუბილე მინდა მივულოცო მოსამართლეებს, პროკურორებს და იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენელს, რადგან, განვითარებული და წარმატებული ადვოკატის ინსტიტუტის გარეშე არ არსებობს სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა და დემოკრატული სახელმწიფო.

ათი წლის წინ, პროფესიონალი ადვოკატების ერთიანი კორპუსის ჩამოყალიბება, პროფესიული ეთიკის კოდექსის შექმნა და ადვოკატთა მუდმივ განვითარებაზე ორიენტირება იყო მთავარი გამოწვევა. ჩვენ ეს გამოწვევა მივიღეთ და დღეს გვაქვს ერთიანი, საერთო პროფესიულ ფასეულობებზე დაფუძნებული და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენელთა მიერ წარმატებულ ინსტიტუციად აღიარებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

მიმაჩნია, რომ მომავალი წლების მთავარ გამოწვევად უნდა განვიხილოთ მოსამართლეებთან, პროკურორებთან და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან მჭიდრო და თანასწორი ინსტიტუციური ურთიერთობის ჩამოყალიბება. იმედი მაქვს, რომ ამ გამოწვევასაც ღირსეულად ვუპასუხებთ და უახლოეს მომავალში შევძლებთ იმ სირთულეების დაძლევას, რაც ჩვენი პროფესიის სწრაფ და ეფექტურ განვითარებაში გვიშლის ხელს.

კიდევ ერთხელ, მინდა მივულოცო ყველა ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილე და ვუსურვო წარმატებები როგორც პროფესიულ, ასევე პირად ცხოვრებაში.

ბონდო ალასანია
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო!

ჩვენი ერთიანი ასოციაცია10 წლის იუბილეს ზეიმობს.

2005 წელს საფუძველი ჩაეყარა ჩვენი პროფესიული განვითარების და კორპორატიული პასუხისმგებლობის ერთიან სისტემას. ჩვენ შევძელით და გავერთიანდით, რათა დაგვეცვა ადამიანის უფლებები, მოქალაქეების და ბიზნეს კომპანიების ინტერესები და დაგვემკვიდრებინა ხარისხიანი მართლმსაჯულება. ინსტიტუციური გაძლიერებისკენ სავალი გზა არ იყო მარტივი. თუმცა ჩვენ გამოწვევა მივიღეთ და უკან დახევას არ ვაპირებთ.

დღეს, როცა ვაჯამებთ 10 წლის შედეგებს, სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, ერთი დღითაც არ შეგვისუსტებია ბრძოლა სამართლიანობისათვის. ჩვენ, ყველა კოლეგასთან ერთად, დავნერგეთ ევროპული ღირებულებები, დავამკვიდრეთ თვისობრივად ახალი ეთიკური სტანდარტები, ადვოკატთა პროფესია გავხადეთ რეალურად დამოუკიდებელი და ერთიანი.

მინდა აღვნიშნო თითოეული ადვოკატის წვლილი პროფესიის განვითარებაში, რომ არა თქვენი ეს კოლეგიური სოლიდარობა, ერთად დგომის და ბრძოლის უნარი, ასოციაციის ხელმძღვანელობას, ნამდვილად, ძალზედ გაგვჭირდებოდა ყველა გამოწვევის გამკლავება.

აქვე, არ შემიძლია გულწრფელი მადლობა არ გადავუხადო ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს და უცხელ კოლეგებს, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ასოციაციის შექმნისა და გაძლიერების საქმეში. ჩვენ, ყოველთვის ვგრძნობდით თანადგომას ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციებისგან, როგორებიცაა: CCBE, IBA,ABA, USAID, EWMI, UN, EU, COE, BRAK, GIZ, IRZ, UNDP, UNHRC და სხვები.

გვეამაყება, რომ ჩვენი ადვოკატთა ასოციაციის განვითარების მოდელი სამაგალითოა პოსტსაბჭოთა სივრცეში და არამხლოდ.

ჩემო მეგობრებო, გულთბილად გილოცავთ პროფესიულ იუბილეს და გპირდებით, სამართლიანობის იდეის და პროფესიული ინტერესების გამარჯვებისათვის, რეფორმებისა და განვითარების პროცესს კვლავაც აქტიურად გავაგრძელებთ.

გისურვებთ წინსვლას და ღირსეულ მომავალს.

დავით ასათიანი
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

კოლეგებო,

მსურს ვისარგებლო შესაძლებლობით და მთელ ადვოკატთა კორპუსს მივულოცო ეს მნიშვნელოვანი საიუბილეო 10 წლისთავი. ადვოკატთა ასოციაციამ ამ წლების მანძილზე ურთულესი გზა გამოიარა. ამ რთულ გზაზე ცალკეული ჯგუფების მხრიდან იყო მცდელობები პოლიტიკური მიზნებისათვის მომხდარიყო ადვოკატთა ასოციაციის გამოყენება და საბედნიეროდ ადვოკატთა ასოციაციის მთელმა კორპუსმა სრული ერთიანობა გამოავლინა, რითაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სირთულეების დაძლევის საქმეში.

ადვოკატთა ასოციაცია ღირსეული გამგრძელებელია იმ მდიდარი ტრადიციებისა, რომელიც საქართველოში ვექილის ინსტიტუტის სახით არსებობდა საუკუნეების მანძილზე, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ილია ჭავჭავაძე. ეს ჩვენს პასუხისმგებლობას განსაკუთრებით ზრდის მომავალი თაობების წინაშე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრიორიტეტები წლების მანძილზე იცვლებოდა. ბუნებრივიცაა, საწყის ეტაპზე სხვა პრიორიტეტები გვქონდა, რადგან ასოციაციას უნდა დაემტკიცებინა, რომ შეეძლო დემოკრატიული პროცესების აქტიური თანამონაწილე გამხდარიყო და საზოგადოების ნდობა მოეპოვებინა, რაც წარმატებით განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებში, მთელს ადვოკატთა კორპუსთან ერთად, განსაკუთრებული დამსახურება აქვს მოქმედ თავმჯდომარეს ზაზა ხატიაშვილს. ჩემთვის საამაყოა, რომ ამ ღირსეული გუნდის თანამებრძოლს წარმოვადგენ.

ასევე უნდა აღინიშნოს ჩვენი ნაყოფიერი და სისტემატური ურთიერთობა ჩვენს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოსთან და ადვოკატთა მსოფლიო ასოციაციასთან. ჩვენ, მადლიერები ვართ იმ მხარდაჭერისთვის რომელსაც ეს ორგანიზაციები გვიცხადებენ ყოველდღიური საქმიანობის პროცესში.

ეს მნიშვნელოვანი თარიღია ადვოკატთა ასოციაციის ისტორიაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ განვლილი წლების სუსტი და ძიერი მხარეები. ადვოკატთა ასოციაციას და მის თითოეულ წევრს ვუსურვებ გაძლიერებას და პროფესიული განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას, რათა ქვეყნაში დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა და გარანტირებული გახდეს ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის ხელშეუხებლობა, აგრეთვე ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

გიორგი თევზაძე
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

მეგობრებო!

ეს 10 წელი იყო ძიების და თვითდამკვიდრების, ბრძოლის და შეცნობის, განვითარების და დამცირების, ერთობის და გამარჯვების, იზოლაციის მცდელობის და საერთაშორისო აღიარების რთული წლები.

ჩვენ, მიუხედავად დაძაბული და რთული გარემოებებისა, ერთობის და პატივისცემის შენარჩუნება შევძელით. დავამკვიდრეთ რა მაღალი ეთიკური სტანდარტები, ერთმანეთის თანადგომა და პროფესიისათვის ღირსების შენარჩუნება. ჩვენ, ყველამ ერთად დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია თვითრეგულირება და კორპორატიული აზროვნება, სწრაფვა განვითარებისაკენ და ცოდნის გაღრმავებისაკენ. ჩვენ შევძელით, გავხდით დამოუკიდებელი, თავისუფალი, ერთიანი კორპუსი და ჩამოვაყალიბეთ კოლეგიურობის და სოლიდარობის განცდა.

პროფესია ადვოკატი, საამაყო და საპასუხისმგებლო გახდა, არა მხოლოდ იურისტებისათვის, არამედ ზოგადად საზოგადოებისათვის. ყველამ გაათვითცნობიერა, რომ თავისუფალი საზოგადოება წარმოუდგენელია ძლიერი ადვოკატთა კორპუსის გარეშე. ასოციაცია გახდა ნავთსაყუდელი და ფორფოსტი სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების გზაზე, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ 10 წელია, წინ ბევრი სირთულე და გამოცდა გველის, განვითარების სხვა ეტაპებია გასავლელი, რაც მომავალი თაობების ხვედრია. დღეს კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია შედგა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული პროფესიული გაერთიანება.

ასეთია ადვოკატთა ასოციაცია 10 წლის თავზე, თავისი ჩამოყალიბების და განვითარების საწყის ეტაპზე და იმედია მომავალი თაობებისთვის უფრო ძლიერი, თვითმყოფად და ანგარიშგასაწევ ინსტიტუტად გადაიქცევა.

ყველას გილოცავთ!

დავით ლანჩავა
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ძვირფასო კოლეგებო,

ჩემთვის, როგორც ადვოკატისათვის, მნიშვნელოვანია, რომ 10 წლის წინ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნით, საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ და დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ადვოკატთა უფლებების დაცვით, არამედ წარმატებით ზრუნავს თავის ინსტიტუციურ განვითარებაზეც. სასიხარულოა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, თავისი არსებობის მოკლე პერიოდში, მიაღწია არნახულ წარმატებებს, ხოლო თავისი საქმიანობის შედეგებით არათუ გაუთანაბრდა ევროპის მოწინავე ქვეყნების ადვოკატთა პალატებს, არამედ ბევრ საკითხში გადაასწრო კიდეც მათ.

ორმაგად, სასიხარულოა ისიც, რომ ადვოკატთა ასოციაცია, როგორც დამოუკიდებელი პროფესიული ინსტიტუტი შედგა და უკვე 10 წლის იუბილეს ზეიმობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ 10 საიუბილეო წლიდან ასოციაცია საქმიანობდა 9–წლიანი „ნაციონალური რეჟიმის“ პირობებში, როდესაც ადვოკატების გარკვეული ნაწილი, თავისი კლიენტების დაცვის გამო, თავად გახდა რეპრესიების მსხვერპლი და რეჟიმმა ისინი ციხეებში გამოკეტა. მიუხედავად, მისი წევრების რეპრესიებისა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მაინც შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადობა და იგი დღეს როგორც ერთ–ერთი ძლიერი ინსტიტუტი აგრძელებს თავისი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელებას.

ამიტომ მემაყება, რომ თავიდანვე მომიწია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნების სათავეებთან დგომა და ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანა ასოციაციის სრულყოფასა და განვითარებაში.

როინ მიგრიაული
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

კოლეგებო,

მართალია 10 წელი ისტორიისთვის ცოტაა, მაგრამ ამ პერიოდის შეფასებისას ობიექტური საზოგადოება დაინახავს თუ როგორ იბრძოდა, იღწვოდა ქართველი ადვოკატების უმრავლესობა იმისთვის, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები დაცული ყოფილიყო და საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო.

მართალია ასოციაცია ათი წლისაა, მაგრამ ადვოკატურის ისტორია გაცილებით დიდი და საამაყოა. მნიშვნელოვანია, რომ 10 წლის მანძილზე ბევრი გაკეთდა ადვოკატის როლის გაზრდისა და ადვოკატის უფლებების დაცვის კუთხით.

ჩვენ გამოვიარეთ ცხრაწლიანი რეჟიმი და უკანონო და დაუსაბუთებელი დევნა, რეპრესიები. მიუხედავად ამისა გავუძელით და უფრო მეტიც, თითოეული ჩვენგანის უფლებებისთვის ერთმანეთის თანადგომით ვიბრძოდით და წარმატებებსაც მივაღწიეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის პროფესია რისკის შემცველია, ამაყი ვარ ბევრ ჩემს კოლეგასთან ერთად, რომ მიწევს ბრძოლა ქვეყანაში სამართლებრივი სივრცის გაჯანსაღებისთვის და ადამიანის უფლებების დაცვისთვის.

ადვოკატების ძალისხმევით და ღრმა ცოდნით სასამართლოში დამკვიდრებული არაერთი მანკიერი პრაქტიკა შეიცვალა და ეს მისასალმებელია.

უფრო დიდი იმედი და რწმენა მაქვს, რომ განვითარდება ქართული სახელმწიფოებრიობა, საქართველო ჩამოყალიბდება სამართლებრივ სახელმწიფოდ და ამაში ადვოკატთა ასოციაციის და თითოეული ადვოკატის როლი უდიდესი იქნება.

იუბილეს ვულოცავ ყველა კოლეგას. ჩვენ გვაქვს გამორჩეული პროფესია, რაც საამაყოა. ადვოკატობა არ ნიშნავს მხოლოდ ადვოკატის მოწმობის ქონას. საზოგადოებაში ადვოკატის როლის გაძლიერებისთვის და ავტორიტეტისთვის ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა. კიდევ ერთხელ გილოცავთ – გისურვებთ მუდამ ვიყოთ საზოგადოების მეოხი.

მამუკა ნოზაძე
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

პირველი სადამფუძნებლო კრება 2005 წელს ჩატარდა და დღეისათვის ადვოკატთა ასოციაცია ოთხიათასამდე ადვოკატს აერთიანებს, რომლის მოწესრიგებული მუშაობა და სისტემის მდგრადობა პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის დამსახურებაა.

დღეს, ადვოკატთა ასოციაციაცია 10 წლისაა,

ძვირფასო კოლეგებო,

ადვოკატებო,გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღეს, თქვენი დამსახურებით ამაღლდა ადვოკატის როლი საზოგადოებაში და იურისპრუდენციაში მეტად სანდო ფიგურა გახდა.

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკისა და სარევიზიო კომისიის, ყველა წევრს, ასოციაციის აპარატს და სასწავლო ცენტრს მადლობას ვუხდი ერთგული მუშაობისთვის. ვულოცავ ყველა იმ წარმატებას, რასაც ამ მცირე დროის მანძილზე მიაღწიეს. მათი ძალისხმევითა და მონდომებით დიდ წარმატებას მიაღწია ადვოკატთა კორპუსმა.

ვიმედოვნობ, ეს მხოლოდ დასაწყისია წარმატებების, საძირკველი, რომელიც 2005 წლიდან დღემდე ასოციაციის მუშაობის დროს ჩაიყარა, განაპირობებს მრავალი წარმატებული პროექტის განხორციელებას მომავლში.

ცისმარი ონიანი
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ბატონებო,

მართალია ადვოკატთა ასოციაცია 10 წლისაა, მაგრამ საადვოკატო საქმიანობას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ამან შექმნა საფუძველი ჩამოყალიბებულიყო დღევანდელი ადვოკატთა კორპუსი. საქართველოს სამართლის სკოლა არასოდეს განიცდიდა კვალიფიციური ადვოკატების ნაკლებობას.

მართალია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია 10 წლისაა, მაგრამ ამ დროის მანძილზე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, რაც მიმაჩნია, ბევრწილად ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის დამსახურებაა.

ადვოკატთა ასოციაციის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, როგორც 30 წლიანი ადვოკატის სტაჟის მქონე ადვოკატისთვის, არაერთგვაროვანი ემოცია მაქვს: სიამაყის, სხვათაშორის 1985 წლიდან, უნივერსიტეტის დამთავრების დღიდან, ვემსახურები ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვას. ამ ხნის მანძილზე, ბევრი გამარჯვების სიხარული, ბრძოლის ჟინი გამომივლია.

ვულოცავ ჩემს მეგობრებს, კოლეგებს, ადვოკატთა კორპუსის ღირსეულ წევრებს. ვუსურვებ პოლიტიკისგან დამოუკიდებლად, ღირსეულად განახორციელონ კლიენტთა უფლებების დაცვა.

ბევრი წარმატება, პროფესიული მიღწევები მინდა გისურვოთ იმ უდუდესი მისიის შესრულებაში, რაც ჩვენ, იურისტებს და მითუმეტეს ადვოკატებს გვაკისრია სამართლიანობისა და მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

პატივისცემით,

ზურაბ როსტიაშვილი
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ძვირფასო კოლეგებო,

საიუბილეო თარიღია და მინდა მთელ ადვოკატთა კორპუსს მივულოცო ეს დღე! 10 წელი არ არის ბევრი, თუმცა ქართული საადვოკატო სკოლა არაერთ ათეულ წელს ითვლის და სწორედ ეს წარსული არის ჩვენი დღევანდელი პროფესიული განვითარების განმსაზღვრელი.

10 წელი არ არის ბევრი, თუმცა ამ მცირე ხანში ჩვენმა ასოციაციამ ბევრი რამ შეძლო და დაიმკვიდრა თავი, როგორც იურიდიული პროფესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი მართლმსაჯულების ერთიან სისტემაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ამ მცირე ხნის მანძილზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საერთაშორისო დონეზე, ის ფაქტი, რომ ასოციაციის იუბილეს წამყვანი ევროპული ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ჩვენთან ერთად საქართველოში ზეიმობენ ამ დღეს, სწორედ ხაზგასმაა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიმართ ჩვენი უცხოელი კოლეგების განწყობისა და პატივისცემისა, ეს დიდი გამარჯვებაა 10 წლის ისტორიის მქონე ასოციაციისთვის.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, სრულიად ადვოკატთა კორპუსს, ასოციაციის მოქმედ მმართველ რგოლს კარგად გვაქვს გაანალიზებული ჩვენი პასუხისმგებლობა ხარისხიან მართლმსაჯულებაზე, ჩვენი პროფესია არის განმსაზღვრელი რგოლი კანონის უზენაესობის რეალური იმპლემენტაციისა ქვეყანაში და აღნიშნული პრინციპების ცხოვრებაში გატარებას ვემსახურებით ჩვენი მარწმუნებლების სასიკეთოდ და ქვეყანაში კანონიერების დამკვიდრების მიზნებისთვის.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია თანმიმდევრულად, გეგმაზომიერად ვითარდება, დასახულია მრავალი რეფორმა, რაც ორგანიზაციის ინსტიტუციურ განვითარებას და კიდევ უფრო გაძლიერებას მოემსახურება, რის წარმატებით დასრულებას ადვოკატები ერთიანი ძალებით განვახორციელებთ.

წარმატებები ჩვენს ასოციაციას!

ირაკლი ყანდაშვილი
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ბატონებო, ძვირფასო კოლეგებო!

ადვოკატის პროფესია ჩემთვის და დარწმუნებული ვარ თქვენთვის, არის ყველა პროფესიათა შორის ყველაზე საპატიო და საამაყო. მე, თქვენთან ერთად, ვარ ამაყი და ბედნიერი იმიტომ, რომ ჩვენი პროფესია გახდა უფრო ძლიერი, უფრო პრესტიჟული და უფრო ეთიკური.

რა უნდა იყოს იმაზე უფრო, საპატიო, ვიდრე დაიცვა ადამიანის უფლებები, ალბათ არაფერი. 10 წელი არ არის ბევრი, თუმცა ჩვენ შეუძლებელი შევძელით, ეს დამსახურებაა ჩვენი პროფესიული ტრადიციების და საამაყო წარსულის. ადვოკატის სკოლას ყავდა ღირსეული წარმომადგენლები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ადვოკატის ინსტიტუტს. მათ ჩაუყარეს და ჩვენ გავაგრძელეთ და ჩვენს შემდეგ, კიდევ გაგრძელდება.

დღეს შეგვიძლია ვიამაყოთ მიღწეულით!

ძვირფასო ადვოკატებო, გულითადად გილოცავთ იუბილეს, გისურვეთ პროფესიულ წარმატებებს.

პატივისცემით,

ირმა ჭკადუა
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2015 წლის 24 ოქტომბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაწესებული , ილია ჭავჭავაძის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქარველოს კათოლიკოს -პარიარქს ილია მეორეს.

ორდენის მინიჭება ხდება ათ წელიწადში ერთხელ, ქვეყნის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2015 წლის 24 ოქტომბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაწესებული ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი მიენიჭა.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტს მარია სლაზაკს.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) საინფორმაციო წერილი

2015 წლის 7 ნოემბერს CCBE პრეზიდენტი მარია სლაზაკი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მე-10-ე საიუბილეო წლისადმი მიძღვნილ კონფერენციას დაესწრო თბილისში. კონფერენციის თემა გახლდათ: „ადვოკატთა პროფესიის თავისუფლება და ინსტიტუციონალური გარანტიები“. გაიმართა ნაყოფიერი დისკუსია იმ პრობლემების გარშემო, რომელთაც ქართველი ადვოკატები აწყდებიან ყოველდღიურ საქმიანობაში. დისკუსიის დროს გამოიკვეთა საჭიროება, რომ ეს საკითხები გამუდმებით წამოიჭრას, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. კონფერენციის ფარგლებში, მარია სლაზაკი დაჯილდოვდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ განვითარებასა და ადვოკატთა უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის. მარია სლაზაკი არის პირველი უცხოელი ადვოკატი, რომელსაც „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ორდენი გადაეცა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ საერთაშორისო კონფერენცია გამართა

7 ნოემბერს, სასტუმროში „ქორთიარდ მერიოტი“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ადვოკატთა პროფესიის თავისუფლების და ინსტიტუციური გარანტიებს შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს(CCBE) პრეზიდენტი მარია სლაზაკი, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში კრისტიან ურსე, ევროკავშირის დელეგაციიდან ბ-ნი შტეფან შტორკი და USAID-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭრა საქართველოში პროექტის ხელმძღვანელი ბ-ნი ჰერბერტ ბოუმანი.

კონფერენცია გახსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა, რომელმაც საქართველოში ადვოკატის პროფესიის თავისუფლებაზე და უფლებებზე ისაუბრა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საადვოკატო გაერთიანებების და ასოციაციების დელეგაციებმა ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები დაინტერესდნენ, ადვოკატის უფლებების და თავი-

სუფლების ევროპული სტანდარტებით, ასევე მართლმსაჯულების პროცეში ადვოკატის როლის და მისი განხორციელების დეტალებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო მსჯელობა ადვოკატირების პროფესიული დაცვის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებზე, ადვოკატების მიერ საკუთარი კოლეგების დაცვის გამოცდილებასა და საადვოკატო პრაქტიკის ექსკლუზიურობის პრინციპსა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევებზე.სასამართლოში ადვოკატის წარმომადგენლობა, ევროკავშირის წესები.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ სასამართლო ხელისუფლების, იუსტიციის საბჭოს, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ევროპის ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციების დელეგაციები.

კონფერენცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG), ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით გაიმართა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონფერენციას დაესწრო.

გიორგი მარგველაშვილმა ასოციაციის თავმჯდომარეს ზაზა ხატიაშვილს მადლობა გადაუხადა ადვოკატთა უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის. რისთვისაც სახელმწიფოს მეთაურმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

საზეიმო მიღება

ადვოკატთა ასოციაციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ მიღებაზე ადვოკატებმა და მოწვეულმა სტუმრებმა წითელ ხალიჩაზე გაიარეს. დაწესებული იყო დრესკოდი ქალბატონებისთვის საღამოს კაბა და მამაკაცებისთვის ბაფთა. დარბაზი განსაკუთებულად ბრწყინავდა და ვიოლინო სტუმრებისთვის უკრავდა. მსუბუქი აპერატივი თავისშექცევის და კოლეგებთან „ჭორაობის“ ფუფუნებას იძლეოდა. ცოტახანს დაივიწყეს პროცესები, ციხეები: „რა ბედნიერებაა, საღამოს კაბა დიდი ხანია არ მცმია“, „ეს ბაფთა ძალიან გიხდებათ კოლეგავ“, „შეგეშველებით კიბეებზე ასვლაში“, „რა ბედნიერი ვარ“, „,ყოველ წელს გავმართოთ“ – რეპლიკები, რეპლიკები და ბედნიერებით სავსე სახეები. ადვოკატთა ასოციაციის ისტორიაში, პირველად გაიმართა ღირსეული, ადვოკატთა შესაფერისი, კორპორატიული წვეულება, რომელსაც მოსამართლეები, პროკურორები, ნოტარიუსები, პარლამენტის წევრები, საქართველოს პრეზიდენტის ოფისიდან სტუმრები დაესწრენ. თუ არ მეშლება, პოსტსაბჭოთა სივრცეში, პირველად, ქართველმა ადვოკატებმა გამართეს მსგავსი წვეულება, რომლის მსგავსი ევროპაში იმართება.

ამერიკის ელჩი საქართველოში, ბატონი იან კელი თხუთმეტი წუთით მოვიდა და ორი საათი დარჩა და გულით მოილხინა, ადვოკატებთან ფოტოები გადაიღო, ბევრი კარგი და თბილი სიტყვა თქვა და წავიდა. მადლობა მას მხარდაჭერისთვის.

საქართველოს ადვოკატების დიდი მეგობარი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს პრეზიდენტი ქალბატონი მარია სლაზაკი, ვატყობ, რომ ბედნიერი და გახარებულია, აშკარად არ ნანობს სტუმრობას. ქართველი ადვოკატებისთვის უკვე შენაურივითაა, ხომ იცით ჩვენი წესი, რამდენჯერმე გვერტუმრება და უკვე ოჯახის წევრივითაა, ხოდა, ქალბატონი სლაზაკი ქართველ ადვოკატთა ოჯახის წევრია.

კოლეგები პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ნიდერლანდებიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან თავს კომფორტულად გრძნობენ და გვასაჩუქრებენ დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩვენ ხომ ჯერ ბავშვები ვართ, სამაგიეროდ რამდენი

მოვასწარით და გავაკეთეთ აქ არ ჩამოვთვლი. ახალი აღარ არის ადვოკატთა ასოციაციის პოპულარობის მასშტაბები.

სტუმარს და მეგობარს დაფასება, რომ სჭირდება, ეს კარგად ვიცით, ხოდა მეგობრები მედია სივრცეში დავაჯილდოვეთ, მოვეფერეთ და ჩვენც გავიხარეთ: თამთა კაკაურიძე – „გურია ნიუსი“, მერაბ მეტრეველი – „მედია პალიტრა“, ნელი ვარდიაშვილი – „ფოსტალიონი“, ნინო მიქიაშვილი – „ობიეტივი“, ვინც ვერ მოვიდა ოფისებში გავუგზავნეთ სიგელები.

ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა უშუალო ძალისხმევით შევძელით სამაგალითო გავმხდარიყავით მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათი დამსახურებაა, ეთიკური და პროფესიონალი ადვოკატი, რომელსაც სისტემატურად მიეწოდება ყველა საკანონმდებლო ნოვაცია და თანამედროვე უნარ–ჩვევები.

ჩვენ ისინიც დავასაჩუქრეთ: ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA ROLI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG), ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, ევროპის საბჭოს ოფისი, ევროკავშირის ოფისი საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამას საქართველოში (UNDP), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს (UNICEF), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR). მადლობა მათ მეგობრობისთვის.

ადვოკატთა იუბილესთან დაკავშირებული წვეულების კულმინაცია, ჩვენი ძვირფასი, საამაყო ადვოკატების დაჯილდოვებაა, პროფესიული დამსახურებისთვის. ჩვენ, კიდევ ბევრი გვყავს სასახელო და მათ მომავალ შეკრებაზე დავაჯილდოვებთ. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი მადლობას უხდის სტუმრებს, ადვოკატებს, ადვოკატთა ასოციაციის აპარატს და ვხედავ რომ ბედნიერია.

თანდილა ჯოლოგუა

1996 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;

1999 წლიდან არის ადვოკატი და ქ. ზუგდიდის „იურისტთა ასოციაციის“ წევრი;

2006 წლიდან ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

ქეთევან ნადაშვილი

დაიბადა 1924 წელს 14 ოქტომბერს ლაგოდეხში, ენერგიული ბავშვი იყო, თითქმის ყველა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა. სასკოლო ოლიმპიადებში იმარჯვებდა და გუნდში ლიდერობდა. 1943 წლიდან თბილისში ცხოვრობს, სწავლა თბილისის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, იმედი ჰქონდა გამოცდების წარჩინებით ჩაბარების შემდეგ სამედიცინო ფაკულტეტზე გადავიდოდა. სამომავლო გეგმები ბიძაშვილმა, უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივანმა დაუნგრია. მის დაუკითხავად საბუთები იურიდიულ ფაკულტეტზე გადაიტანა, რადგან თვლიდა, რომ მსგავსი ენერგიისა და ბრძოლის უნარის მქონე ახალგაზრდისაგან საუკეთესო იურისტი დადგებოდა.

ბიძაშვილის დღემდე უსაზღვროდ მადლიერია.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სასამართლო კურსებზე სტაჟირებისთვის გაანაწილეს. კურსები წარმატებით გაიარა, მაგრამ მოსამართლედ ერთი დღეც არ უმუშავია.

ჩუღურეთის რაიონულ ადვოკატურაში ალიოშა ჭილაძემ მიიყვანა. ახალგაზრდა იურისტი ცნობილი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის ბიძას, ადვოკატ ბიძინა ჩხიკვაძეს ჩააბარა და წარმატებები უსურვა.

მიღებული აქვს არაერთი სიგელი და მადლობა. დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით: „ ვმუშაობდი, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, დღეისათვის ვარ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი ადვოკატი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.

1955 წლიდან დღემდე ვმუშაობ ადვოკატად, რითაც ვამაყობ. ადვოკატობა არის რთული, ღირსეული, დასაფასებელი პროფესია. აღიარებული ადვოკატი ნიშნავს, განათლებულ და ერუდირებულ პიროვნებას. ასევე, საჭიროა იყო კეთილშობილი, რათა ყველა გაჭირვებულის დახმარება და მათი უფლებების დაცვა შეძლო“.

ადვოკატი საქმის გაცნობისას მყისიერად ხვდება რა სურს დაზარალებულს. რამდენი პროცენტია დღეს მოგების შანსი და ბრალის რა ტაქტიკა უნდა აირჩიოს. კანონის შესაბამისად მოქმედებს და მაქსიმალურად ახერხებს სასურველი შედეგის მიღებას. მისი გამოსვლა გამართული მეტყველებით გამოირჩევა. კარგი ქართულით, მჭერმეტყველებითა და დამაჯერებელი საუბრით სასამართლოს შემადგენლობაზე შთაბეჭდილებას ახდენს. არასოდეს არღვევს ეთიკის ნორმებს.

,,პროცესუალურ ნორმებს ზედმიწევნით ვიცავ. აგრესიულობა არ მჩვევია. მოწინააღმდეგე მხარეს პატივს ვცემ. ჩემი აზრის, პოზიციის დასამტკიცებლად თავხედობა არასოდეს დამჭირვებია. ადამიანებს ადამიანური ურთიერთობა გამოარჩევს სხვა ცოცხალი სამყაროდან და ეს არ მავიწყდება“.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ილია ჭავჭავაძის მეორე ხარისხის ორდენით.

„მე ამაყი ვარ, რომ მთელი ცხოვრება ადვოკატი ვარ“

ალბათ ბევრს გაუკვირდება რასაც ახლა ვიტყვით, მაგრამ ქეთევან ნადაშვილს ადვოკატად მუშაობის 60 წლიანი სტაჟი აქვს. „თავდაპირველად ბიოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, შემდეგ ახლობელმა მირჩია და მე- 4 კურსიდან დამატებითი გამოცდების გარეშე გადამიყვანეს იურიდიულ ფაკულტეტზე. გავიარე სამოსამართლეო პრაქტიკა უზენაეს სასამართლოში, შემდეგ შემომთავაზეს ნოტარიუსობა, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე, მოძრავი ადამიანი ვარ და კაბინეტში ვერ ჩავიკეტებოდი. თავდაპირველად მუშაობა ჩუღურეთის რაიონის ადვოკატურაში დავიწყე, შემდეგ გავხდი იურიდიული კონსულტაციის გამგე და დღემდე ამ თანამდებობაზე ვმუშაობ. ახლაც მოქმედი ადვოკატი ვარ“ – გვითხრა ქალბატონმა ქეთევანმა და პრაქტიკიდან რამდენიმე საინტერესო საქმე გაიხსენა.

ქეთევან ნადაშვილი:

ერთხელ მე ავიღე მკვლელობის საქმე, რომელიც მოხდა თიანეთში, ძალიან რთული და ჩახლართული იყო. მკვლელობა ჩაიდინა ორმა მოქალაქემ, თუმცა დანაშაულს შემთხვევითი თვითმხილველი გამოუჩნდა, რომელიც დამნაშავეებმა დაიჭირეს და უთხრეს, თუ მკვლელობას საკუთარ თავზე არ აიღებ და აღიარებით ჩვენებას არ მისცემ, ცოლსა და ოთხ შვილს დაგიხოცავთო. სწორედ ეს – „შემთხვევითი მოწმე“ გახლდათ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი. საქმე ძალზე რთულად იყო, ვინაიდან შეშინებული პატიმარი თავგამოდებით ირწმუნებოდა, რომ მკვლელი თვითონ იყო, თუმცა თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ცრუობდა და ამას რაღაც გარემოება აიძულებდა. პროცესი თიანეთში ტარდებოდა. ერთ-ერთი სხდომის დროს მოვითხოვე შესვენება, რა დროსაც პატიმარს ვკითხე, თუ რატომ იქცეოდა ასე? როგორც იქნა გამოვტეხე, რომ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა და აუცილებლად თვლიდა ასე მოქცეულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს ოჯახს საფრთხე ემუქრებაო. მაშინ ვუთხარი, რომ მისი ცოლი და ოთხი შვილი გარეთ ელოდებოდა და თუ სიმართლეს არ აღიარებდა და ციხეში ჩაჯდებოდა, ამ საქციელით თავად დაღუპავდა ოჯახს. დამიჯერა და მართლა ისე მოიქცა როგორც ვურჩიე. იმდენი მოვახერხე, რომ საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცა, მალევე გაიხსნა და გათავისუფლდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არავითარი პრობლემა ჩემი 60 წლიანი მუშაობის განმავლობაში არ შემქმნია, არც ადრე და არც ახლა, ვინაიდან, მე ვარ ადვოკატი, რომელიც სასამართლოსაც პატივს სცემს და პროკურატურასაც. შესაბამისად, მათაც ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ ჩემდამი _ძალიან მაფასებენ და ღირსეულ ადვოკატად მთვლიან.

რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადვოკატს, შეფასება „კარგი“ რომ დაიმსახუროს?

ადვოკატმა კარგად უნდა იცოდეს მშობლიური ენა, იყოს განათლებული, ფლობდეს უცხო ენებს, რომელიმეს მაინც და რაც მთავარია, პატივი უნდა სცეს თავის პროფესიას, ჩაცმულობითაც კი. ადვოკატი, რომელიც არ არის ზომიერი, არ აქვს ის მანერები, რასაც მოითხოვს ადვოკატის სპეციფიკა, არ არის კულტურული და ზრდილობიანი, არ სცემს პატივს სასამართლოს, მას აუცილებლად ექმნება პროფესიული პრობლემები. დღევანდელმა თაობამ მხოლოდ ის იცის რაც კოდექსში წერია და ასე მუშაობა ცხადია გაუჭირდებათ.

მე ამაყი ვარ იმით, რომ მთელი ცხოვრება ადვოკატი ვარ, ჩემს პროფესიას ძალიან დიდ პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ ეს არის ყველაზე ღირსეული პროფესია, პროფესიებს შორის. როდესაც საზღვარგარეთ მიწევდა ყოფნა და ვამბობდი_ „მე ადვოკატი ვარ“, უკვე აღარ იყო საჭირო მესაუბრა ჩემს განათლებასა და სხვა თვისებებზე. ეს თავისთავად ნიშნავდა ღირსეულობას.

ქეთევან ჭაბუკიანი

1965 წელს დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

1966–1973 წლებში მუშაობდა ახლანდელი მთაწმინდის და რესპუბლიკურ პროკურატურაში;

1974–1991 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში უფროს კონსულტანტად;

1992–1995 წლებში მუშაობდა საქართველოს „აგრომრეწვბანკში“ იურიდიული განყოფილების უფროსად;

1995–1999 წლებში მუშაობდა შპს მთაწმინდის რაიონის სამართლებრივ მომსახურებაში „იურისტი“ ადვოკატად;

1999 წლიდან იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი;

2006 წლიდან არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაჯილდოვებულია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით.

„ადვოკატის გზა ია-ვარდით არ არის მოფენილი, მაგრამ პროფესიული გამჭრიახობითა და გამბედაობით უნდა გადალახო ყველა სიძნელე“

ადვოკატ ქეთევან ჭაბუკიანს იურისტის 50 წლიანი სტაჟი აქვს. მუშაობდა პროკურატურაში, უზენაეს სასამართლოში, „აგრომრეწვ“ ბანკის იურიდიულ სამსახურში. ადვოკატის საპატიო საქმეს კი, 20 წელია ემსახურება.

ქეთევან ჭაბუკიანი:

ჩემს მასწავლებლებად მივიჩნევ რესპუბლიკის პროკურატურიდან უდიდეს ადამიანს, აწ გარდაცვლილ მიშა ბინაძეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, აწ გარდაცვლილ აკაკი კარანაძეს. „აგრომრეწვ“ ბანკიდან – ვალერი შარიქაძეს და გივი ჯიღაურს, ხოლო ადვოკატურაში უანგარო მეგობარს და დიდ პროფესიონალს – ქეთევან ნადაშვილს. მათი მოსწავლისთვის სამართლიანობა პროფესიონალიზმთან ერთად, ადამიანის ღირსების განმსაზღვრელია. ადვოკატურაში მუშაობის პირველივე დღეებიდან მძიმე კატეგორიის საქმეებზე მომიწია მუშაობა. სასამართლოში იშვიათად ხდებოდა ჩემი დაცვის ქვეს მყოფთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება.

ყველა საქმე საინტერესო იყო როგორც პოლიტიკური, ისე ჩვეულებრივი თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღვნიშნავ ქ. ბათუმის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, ზურაბ კონცელიძის, მაია თოფურიას, ასევე 26 მაისის დაზარალებულთა საქმეებს. გამოვყოფ ზურაბ კონცელიძის საქმეს, რომელსაც ბრალად დასდეს, საბრძოლო იარაღის უკანონოდ შეძენა- შენახვა.

იქნებ გვესუბროთ ამ საქმეზე, რატომ მიიჩნევთ მას განსაკუთრებით საინტერესოდ?

ბათუმის საქალაქო სასამართლოში, საქმის განხილვის წინა საღამოს, აჭარის სატელევიზიო გადაცემაში, ბატონ ასლან აბაშიძეს შეკითხვით მიმართა ჟურნალისტმა ზურაბ კონცელიძის საქმესთან დაკავშირებით, რაზედაც პასუხად მიიღო, რომ მას მოახსენეს, თითქოს ზ. კონცელიძე სამართალდამცავებმა დააკავეს მის კუთვნილ მსუბუქ ავტომანქანაში საბრძოლო არსენალის აღმოჩენის გამო. ჩხრეკვის ოქმით კი, მის ბინაში ერთი ყუმბარა აღმოჩნდა, რომელსაც საბრძოლო მდგომარეობაში მოსაყვანად დეტალები აკლდა და ტაბელური იარაღი, რომლის ჩაბარებაც დააგვინდა. ამით გამოიკვეთა ის, რომ ბატონი ასლან აბაშიძე რეალური მდგომარეობის საქმის კურსში არ იყო და საგამოძიებო ორგანოებმა შეცდომაში შეიყვანეს.

სასამართლოში მოსულ ტელევიზიის წარმომადგენელს ინტერვიუ მივეცი, რითაც მივანიშნე, რომ ასლან აბაშიძე შეცდომაში იყო შეყვანილი და რომ ძ. კონცელიძეს საერთოდ არ გააჩნდა საკუთარი ავტომანქანა და არც საბრძოლო იარაღის არსენალი ჰქონდა. ფაქტიურად საქმე გამოუძიებელი იყო. თუმცა ბათუმის სასამართლომ ზ. კონცელიძის ბრალი დადასტურებულად ჩათვალა და სასჯელი ღონისძიებაც, თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით განუსაზღვრა, რაც ძალაში დატოვა აჭარის უმაღლესმა სასამართლომ.

საქმე საკასაციო წესით განიხილა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, ბატონი მ. ტურავას თავმჯდომარეობით. მან ზ. კონცელიძე დაუყოვნებლივი წესით გაათავისუფლა პატიმრობიდან.

საქმის აჭარაში დაბრუნების შემდგომ ბატონმა ასლან აბაშიძემ უპრეცედენტო ზომები მიიღო- თანამდებობიდან გათავისუფლა ყველა პასუხისმგებელი პირი, რომლებსაც შეხება ჰქონდა საქმესთან. სამსხურიდან გაათავისუფლა საგამოძიებო სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე, გამომძიებელი და რაც მთავარია, შს მინისტრის მოადგილე. აი, მაგალითი პირველი პირის მიერ რიგითი მოქალაქის უფლებების დაცვისა.

რას ნიშნავს თქვენთვის ადვოკატის პროფესია?

არ ვნანობ რომ ეს პროფესია ავირჩიე, რამეთუ მრავალთა ბედის შეცვლაში მეც მიმიძღვის მოკრძალებული წვლილი. ვერ ვიტყვი, რომ ადვოკატის გზა ია-ვარდით არის მოფენილი, მაგრამ მთავარია პროფესიული გამჭრიახობითა და გამბედაობით გადალახო სიძნელეები.მიუხედავად ასაკისა, დღესაც ვაგრძელებ საადვოკატო საქმიანობას პროფესიონალ ადვოკატთა კორპუსთან ერთად, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს, ადვოკატების კანონიერი ინტერესების დამცველი, ბატონი ზაზა ხატიაშვილი. ახალბედა ადვოკატებს, რომელნიც პირველ ნაბიჯებს დგამენ ვურჩევ, ბევრი იმუშაონ კანონმდებლობასა და საკუთარ თავზე. უყვარდეთ ადამიანები, გაითვალისწინონ უფროსი თაობის, გამოცდილ ადვოკატთა შეგონებები და წარმატებაც არ დააყოვნებს.

რუსუდან პიტავა

1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

1967–1975 წლებში მუშაობდა საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროში სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე;

1975–1977 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად;

1977–1985 წლებში არჩეული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად;

1985 წლიდან იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი;

2006 წლიდან არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი;

2006-2009 წლები ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებული იქნა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით.

„ვიცავდი ქალბატონს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ის იყო რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ მეორის ქალიშვილი – ანასტასია“

ქალბატონი რუსუდან პიტავა ადვოკატად 1985 წელიდან მუშაობს. მის მიერ წარმოებული საქმეები ყოველთვის მისი კლიენტის გამარჯვებით მთავრდება, რაც ფაქტობრივად ადვოკატის დიდი შრომის, ცოდნისა და გამოცდილების შედეგია. თავად ქალბატონი რუსუდანი ამ წარმატებას ადვოკატობამდე პროკურატურასა და სასამართლოში მუშაობის გარკვეულ გამოცდილებასაც მიაწერს და აცხადებს: ადვოკატი რომ გავხდი, ამ დროისთვის უკვე მქონდა პროკურატურასა და სასამართლოში მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ვფიქრობდი, ამ გამოცდილებასა და ცოდნას საადვოკატო საქმიანობაში გამოვიყენებდი. ნამდვილად არ შევმცდარვარ და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვიფიქრე და მინდოდაო.

რუსუდან პიტავა:

პირველი საქმე იყო საბინაო დავაზე, რომელიც ჩემი მარწმუნებლის სასარგებლოდ გადაწყდა. ჩემს მასწავლებლად ყოველთვის ვთვლიდი და ამჟამადაც ვთვლი აწ გარდაცვლილ ქალბატონს, მაყვალა ხუციშვილს.

ახალბედა ადვოკატს წინააღმდეგობები ალბათ გხვდებოდათ. როგორ უნკლავდებოდით მას?

ადრე მოქმედი სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა საზედამხედველო ინსტანციის კონტროლს, რაც იწვევდა სამოქალაქო საქმეთა გაჭინურებას. 1999 წლიდან ეს ინსტანცია აღარ არსებობს, მაგრამ საქმეთა გაჭიანურება რიგ შემთხვევებში მაინც ხდება სამოქალაქო საქმეთა დიდი რაოდენობისა და მოსამართლეთა მცირე რიცხოვნობის გამო.

თქვენს მიერ წარმოებულ საინტერესო საქმეების შესახებ მოგვიყევით?

მე მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე ვიღებ მონაწილეობას და სამოქალაქო საქმეთა უმრავლესობა საზოგადოებისათვის საინტერესო არ არის. თუმცა საინტერესო საქმედ შეიძლება ჩაითვალოს მე-20 საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს ჩემი მონაწილეობით განხილული სამოქალაქო საქმე, რომლითაც თბილისში მცხოვრები ასაკოვანი ქალბატონი ითხოვდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას იმის შესახებ, რომ იგი იყო რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ მეორის ქალიშვილი ანასტასია. მე ამ ქალბატონის ინტერესებს ვიცავდი, მაგრამ მას უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ეს ქალბატონი როგორც ვიცი გარდაიცვალა.

ხომ არ ნანობთ ადვიკატის პროფესია რომ აირჩიეთ?

რა თქმა უნდა, არ ვნანობ. საადვოკატო საქმიანობამ საშუალება მომცა გამეცნო მაღალი ზნეობის მქონე უამრავი ადამიანი – ცნობილი მეცნიერები, ხელოვნების წარმომადგენლები. მათთან დღეს ვმეგობრობ კიდევაც. ახალგაზრდა ადვოკატებისა და საერთოდ, თითოეული ჩემი კოლეგის მიმართ გამოვხატავ დიდ პატივისცემას, ვუსურვებ მათ ბედნიერ ცხოვრებას და დიდ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

ზურაბ როსტიაშვილი

საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს 1985 წლიდან;

1985 წელს – დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

2006 წლიდან – ადვოკატთა ასოციაციის წევრი;

1995 წლიდან – „ზურაბ როსტიაშვილის საადვოკატო ბიურო“ – მმართველი პარტნიორი;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში არჩეულია 2013 წლის დეკემბერში;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით.

ზურაბ როსტიაშვილი: ექსპერტს სამი კითხვა დავუსვი და აფექტში ჩავაგდე

ზურაბ როსტიაშვილი ქართული ადვოკატურის ბერმუხაა. 30 წელია ის ამ საქმეს მაღალპროფესიულად ემსახურება.

ზურაბ როსტიაშვილი:

უნივერსიტეტი დავამთავრე და სამუშაოდ იუსტიციის სამინისტროში გამანაწილეს. იმ პერიოდში ადვოკატთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ პენსიაში გასული ყოფილი პროკურორები, გამომძიებლები და მოსამართლეები. არსებულმა რეალობამ მიბიძგა გავმხდარიყავი კარგი ადვოკატი და საკუთარი წვლილი შემეტანა ამ პროფესიის განვითარებაში. მაშინ ჩვენი პროფესია არც ისე პოპულარული იყო, ბევრი დამცინოდა კიდეც, მეკითხებოდნენ, რა გინდა ახალგაზრდა კაცს ადვოკატურაშიო? ამან მე არ დამაბრკოლა და არასდროს მინანია, რომ ეს პროფესია ავირჩიე.

საადვოკატო სფეროში თქვენთვის ვინ იყო მისაბაძი მაგალითი?

გადაჭრით ვერ ვიტყვი, თუმცა დიდ პატივს ვცემდი და ნამდვილად მისაბაძ ადამიანად მიმაჩნდა ჩემი ლექტორი ბატონი სერგო ჯორბენაძე, რომელიც უაღრესად განათლებული და კეთილშობილი პიროვნება იყო. კიდევ ბევრი კარგი ლექტორი მყავდა. როდესაც ადვოკატობა დავიწყე, ჯერ 6 თვიანი სტაჟირება გამატარეს. იქ ჩემი ხელმძღვანელი იყო ადვოკატი ლუცია ჯიქია, ძალიან კარგი და პატიოსანი ქალბატონი გახლდათ.

რა სირთულეები გხვდებოდათ ახალგაზრდა ადვოკატს?

ჩვენი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სირთულეების წინაშე ახალგაზრდობაში კი არა, ეხლაც ხშირად აღმოვჩნდები ხოლმე. მის დაძლევას კი ისევ საკუთარი თავის დახმარებით ვახერხებ. რაც უფრო რთულია საქმე, მით უფრო ადვილი დასაძლევია იგი. ადვოკატის პროფესია ისეთია, რომ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნო, შეიძლება სხვა კოლეგასაც დაეკითხო, მაგრამ სასამართლო განხილვის დროს მაინც მარტო რჩები და გამოსავალი შენ თვითონ უნდა იპოვნო. შუამდგომლობას ხომ ვერ დააყენებ, შესვენება გამომიცხადეთ და ვინმეს დავეკითხები-თქო.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ცნობილ, წარმატებულ ადვოკატად ჩამოყალიბდე?

ცნობილი ადვოკატის გასაღები ბევრ რამესთანაა დაკავშირებული. იმისთვის, რომ ცნობილი და წარმატებული ადვოკატი გახდე საჭიროა სხარტი გონება, დაკითხვის ტაქტიკა, რომლითაც მოწმეს „გაანადგურებ“ ისე, რომ რაც სინამდვილეში დაინახა, იმის გადმოცემა ვერ შეძლოს. კარგი ვერსიის ჩამოყალიბება, ძალიან ბევრი მუშაობა საკუთარ თავზე, დამაჯერებელი დასკვნითი სიტყვის თქმა და ა. შ.

იმ პერიოდში, როდესაც ადვოკატობა დავიწყე პრესა და ტელევიზია არ აშუქებდა სისხლის სამართლის საქმეებს, ამიტომ ცნობადი მალე ვერ გახდებოდი მედიაპეარის საშუალებით, თუმცა იურისტთა წრეში მალე მოვიპოვე პოპულარობა. ძირითადად ციხეში გავხდი პოპულარული და ჩემს შესახებ პატიმრები ერთმანეთს უყვებოდნენ.

ახალბედა ადვოკატებს რას ურჩევთ?

ახალგაზრდა ადვოკატებს ვურჩევ, რომ იმუშავონ საკუთარ თავზე, პრაქტიკა გაიარონ ჩვენთან, დაეუფლონ დაკითხვის ტაქტიკას, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, დაკითხვის ტაქტიკა გადამწყეტ როლს ასრულებს საქმეში. სწორედ მოწმის დაკითხვის სწორი ტაქტიკით, რომელიც 3 დღის განმავლობაში გრძელდებოდა დადგა გამამართლებელი განაჩენი 7 პირის მკვლელობის საქმეზე.

რაიმე კურიოზულს ხომ ვერ გაიხსენებთ თქვენი მუშაობის პერიოდიდან?

ერთხელ დენიკინის დროინდელ აგენტს ვკითხავდი მოწმედ, მან მოსამართლეს უთხრა, ეს კაცი მომაშორეთ, ვიცი აქ დამტოვებს და ინფარქტს მიმაღებინებს, დანარჩენებთან კი ერთი თვის განმავლობაში ვივლი და დამკითხეთო.

მეორედ, ექსპერტ ქალბატონს ვკითხავდი, რომელმაც გასცა დასკვნა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მკვლელობის ჩადენის დროს აფექტში არ იმყოფებოდა, ექსპერტს სამი კითხვა დავუსვი და თვითონ ჩავაგდე აფექტში, მიატოვა დაკითხვა და სასამართლოდან გაიქცა.

თენგიზ ბეჟაშვილი

დაიბადა 1948 წელს სიღნაღში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში პარალელურად დაამთავრა უნივერსიტეტში ხელოვნების საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი კინოდრამატურგიის სპეციალობით;

1978 წელს მუშაობას იწყებს სოფლის მეურნეობის სამმართველოში იურიდიული ჯგუფის უფროსად;

1979 წლიდან საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრია და მუშაობას იწყებს სიღნაღის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატად;

1993 წელს დაინიშნა სიღნაღის რაიონული ადვოკატურის გამგედ;

1990 წელს მაჟორიტარული წესით არჩეული იყო საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად;

აქტიურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, 1995-2002 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს;

გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამართლებრივ საკითხებზე;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი.

„სამართლებრივ პრობლემებს ყოველთვის ქმნიან გავლენიანი თანამდებობის პირები, რომელთა სურვილებიც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე კანონი“

ადვოკატი თენგიზ ბეჟაშვილი 37 წლის სტაჟის მქონე, წარმატებული და ცნობილი ადვოკატია. როგორც თავად გვითხრა, მისი ადვოკატობა განაპირობა სურვილმა, დაეცვა უდანაშაულო ადამიანები და ებრძოლა სიმართლისთვის.

თენგიზ ბეჟაშვილი:

ადვოკატობა ჩემი პირადი სურვილი იყო. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დროს განსაკუთრებით პედაგოგები – ბეჟან ხარაზიშვილი, ბორის ფურცვანიძე და ვალერიან ედიშერაშვილი დამამახსოვრდა. მიუხედავად ამისა, ჩემი მომავალი ცხოვრება ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლამაც განაპირობა და ამაში ჩემმა ლექტორებმა – აკაკი ბაქრაძემ, ოთარ იოსელიანმა, მიხეილ ჭიაურელმა და ანგია ბოჭორიშვილმა ითამაშეს დიდი როლი. მათი აზროვნება იყო ნათელი, მკვეთრი და თავისუფალი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი ჩემს ქალაქ სიღნაღში და მუშაობა სოფლის მეურნეობის სამმართველოში, იურიდიული ჯგუფის უფროსად დავიწყე. სავალდებულო სტაჟის გავლის შემდეგ, 1978 წლის ოქტომბერში კი გავხდი ადვოკატთა კოლეგიის წევრი და პრაქტიკული მუშაობა დავიწყე სიღნაღში. მაშინ ადვოკატები ძირითადად ასაკოვანი და დიდი სტაჟის მქონე ადამიანები იყვნენ, მათში საპენსიო ასაკის ადვოკატებსაც იპოვნიდით, რომელთაც არჩეული ჰქონდათ „შემგუებლური“ მუშაობის სტილი. დრო საკმაოდ რთული იყო, საპროცესო კოდექსი – მკაცრი, ბრალდებულთა პირობები კი აუტანელი. პირველივე დღეებიდან გავხდი „უხერხული კოლეგა“ და აღმოვჩნდი უთანასწორო პირობებში გამოძიებასთან, ვინაიდან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული, გამოძიების დამთავრებამდე იყო სრულიად დაუცველი.

ანუ „უხერხულ კოლეგებს“ სამართალდამცავები პრობლემებს უქმნიან?

რა თქმა უნდა. პრობლემებს, როგორც წესი, წარსულშიც და აწმყოშიც ქმნიან გავლენიანი თანამდებობის პირები, რომელთა სურვილებიც უფრო მეტია და გაცილებით მაღლა დგას ვიდრე კანონი. მათი გავლენა დღეს ზენიტშია და კანონდარღვევის შემთხვევაში საკითხი უდრტვინველად, ასევე მართლმსაჯულების განმახორციელებელი ჩინოვნიკების მიერ, გავლენიანი პირების სასარგებლოდ და ამავდროულად კანონის საწინააღმდეგოდ წყდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცვალა, რომლის თანახმადაც, მოსამართლე აღარ არის დამოუკიდებელი ფიგურა, მას კითხვის დასმის უფლებაც აღარ აქვს. იგი ვალდებულია, როგორც არბიტრმა, გადაწყვეტილება გაამყაროს იმ მტკიცებულებათა ბაზაზე, რომლებიც უფრო უპირატესადაა დასაბუთებული. ჩემი აზრით და კანონის არსით, აქ არსად არის ადგილი ე.წ. „მოსამართლის შინაგანი რწმენის“. უსამართლობის ჩადენას არსაიდან არ უნდა შეეწყოს ხელი.დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ხდება, მოსამართლეთა წახალისება და მათი ნებისმიერი დარღვევის გათეთრება.

კანონთან წინააღმდეგობა ხელისუფლებისგან, სამართალდამცავებისგან, ანუ მათგან ვინც კანონს ზედმიწევნით უნდა იცავდეს ყოველთვის იყო, არის და იქნება?

ჩვენ გვინდა, რომ ეს აღარ იყოს და კანონს ყველა ადამიანი იცავდეს, მაგრამ სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, სამართლებრივ ბრძოლას უფრო მეტი პერსპექტივა ჰქონდა, ვიდრე დღევანდელ საქართველოში. თუმცა საქართველოში მაშინ უზენაესი სასამართლო იყო „ცეკა“ და შეგეძლო საკავშირო დონეზე გაგესაჩივრებინა.

ის, რომ 37 წლია ადვოკატი ვარ განპირობებულია მხოლოდ სურვილით, დავიცვა უდანაშაულო ადამიანები და ვიბრძოლო სიმართლისათვის.

თემურ გოგსაძე

თემურ გოგსაძე არის ჟურნალისტი, ეკონომისტი (ფინანსისტი, საბანკო საქმე) იურისტი (სამართალმცოდნე) და სამივე პროფესიას დაეუფლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, მიუხედავად პროკურატურაში განაწილებისა, მან აირჩია ადვოკატის პროფესია და 1988 წლიდან დღემდე, ღირსეულად ემსახურება ამ საქმეს.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი – რობერტ ლამონტი, რომელიც ახალბედა ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ რეფორმებს სწავლობდა, ახალგაზრდა სამართალმცოდნე თემურ გოგსაძეს ასე აფასებდა:

„... ჰოლივუდის დრამატიზმს დაუმატეთ უფრო მკაცრი რეალობა – შეიარაღებული პირების ზეწოლის ქვეშ მიმდინარე სასამართლო სხდომები და ამ ფონზე – უპრეცედენტო პრინციპულობა, ფაქტების, მოვლენების ლოგიკური დალაგებისა და გადმოცემის, ზუსტი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების უნიკალური უნარი და დახვეწილი ორატორის მანერები. . . . პროფესიონალი ადვოკატისათვის ეს ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა საქართველოში საამისო გარემო არ არის და საოცარია, როგორ მოახერხა ასეთი ზრდა ამ ახალგაზრდა კაცმა“.

ამგვარ შეფასებებსა და ორდენის მინიჭების ფაქტზე, თავად თემურ გოგსაძე ამგვარ კომენტარს აკეთებს – „ბუნებრივია, ნებისმიერ ადამიანს ესიამოვნებოდა ამგვარი შეფასება, არც მე ვარ გამონაკლისი, განსაკუთრებით კი, უნიკალური ქართველი ადვოკატის – ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენმა გამახარა, თუმცა თავის დროზე, ბატონ რობერტ ლამონტს ოფიციალუარდ თუ პირად საუბრებში, ისე როგორც, ადვოკატთა ასოციაციის მართლაც არაჩვეულებრივ საიუბილეო წვეულებაზე, მე განვუცხადე ჩვენს უცხოელ მეგობარ-პარტნიორებს, რომ ქართული ადვოკატურის ფესვები, უნიკალური და უძველესი ქართული სამართლიდან მომდინარეობს, რომ „მეოხთა“ ინსტიტუტი (ანუ დამცველთა ინსტიტუტი) ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა და რომ „შემდგომად ამათ ქმნეს სამართალი კაცთა მეოხებისა საყოველთაო...“ დააკვირდით, თანამედროვე გაგებით, განა ეს საერთაშორისო სამართალი არ არის?!

ქართული ადვოკატურისადმი, ამგვარი დამოკიდებულების, ადვოკატთა ქართული სკოლის განვითარებაში, ადამიანის უფლებათა და თავისუფალი დაცვის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათის, ნაყოფიერი პრაქტიკული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2003 წელს, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით – თემურ გოგსაძეს მიენიჭა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საპატიო წევრის წოდება.

ვფიქრობთ, ამ ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ პორტრეტს კარგად წარმოაჩენს მისი ბიოგრაფიული შტრიხების მცირე ჩამონათვალიც კი. კერძოდ:

თემურ გოგსაძე 1985-1987 წლებში იყო – საქართველოს ახალგაზრდული პრესცენტრის ხელმძღვანელი;

1985-1991 წლებში – საქართველოს ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტი;

1999-2008 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იურიდიული სამსახურის უფროსი;

მისი თაოსნობით დაარსდა მეცნიერებათა აკადემიაში – ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებათა დაცვის ცენტრი. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნა აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელად;

2003-2007 წლებში საერთაშორისო არქეოლოგიურ პროექტ – „ტროა-უდაბნოს“ აღმასრულებელი დირექტორი;

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1978 წელს ჩამოაყალიბა ჯგუფი „მეოხი“, რომელიც 1997 წლიდან დაფუძნდა, როგორც ქართული სამართლის ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი სამართლებრივი ჟურნალი „ადვოკატი-მეოხი“ და ამავე სახელწოდების იურიდიული კომპანია;

1991 წელს აირჩიეს – ნაძალადევის საკრებულოს და თბილისის საკრებულოს წევრად, იყო იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;

მრალავფეროვანია მისი საადვოკატო საქმიანობა – 1988 წლიდან დღემდე, პროფესიული გამოცდილება მოიცავს სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა სამართლის დარგში პრაქტიკულ საქმიანობას, მათ შორის არიან გახმაურებული საქმეები. თემურ გოგსაძე დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, ამჟამად არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორი;

ცნობილია მისი შემოქმედებითი გატაცებებიც, არის რამდენიმე ათეული ფერწერული ტილოს ავტორი, გამოცემული აქვს სამი პოეტური კრებული – „ლოცვასავით თქმული“, „მონანიების მელოდია“ და „სიყვარულის მარადისობა“;

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაჯილდოვებულია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით.

„მე ადვოკატი სხვა ცხოვრებიდანაც ვარ“

ადვოკატი თემურ გოგსაძე აცხადებს, დღეს ყველა საშუალებაა იმისათვის, რომ მაღალპროფესიონალი ადვოკატი გახდე. ეს სიტუაცია ახალმა თაობამ უსათუოდ უნდა გამოიყენოსო.

თემურ გოგსაძე:

მოდით დავიწყოთ ნახევრად ხუმრობით..., მე ადვოკატი სხვა ცხოვრებიდანაც ვარ და ეს ჩემი შინაგანი ფილოსოფიაა, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომ მივედი, მაშინვე გადაწყვეტილი მქონდა ადვოკატობა, ამიტომ დამთავრებისთანავე, მიუხედავად პროკურატურაში განაწილებისა, ცხადია ავირჩიე ადვოკატის პროფესია და 1988 წლიდან დღემდე, ვცდილობ ღირსეულად ვემსახურო ამ საქმეს.

ასევე ვარ ჟურნალისტი, ეკონომისტი (ფინანსისტი, საბანკო საქმე) და იურისტი (სამართალმცოდნე). განსაკუთრებით მეამაყება, რომ სამივე პროფესიას დავეუფლე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

რატომ და როგორ აირჩიეთ ეს პროფესია?

კონკრეტულ ფაქტს თუ მოვლენას არ უკავშირდება ჩემი არჩევანი. გავიმეორებ, რომ ეს ჩემი შინაგანი სამყაროა, ამას საწყის ეტაპზე არ ვიტყოდი, თუმცა 28 წლის გადასახედიდან, მაღალფარდოვან განაცხადად ამას არავინ ჩამითვლის. მითუმეტეს ისინი არ ჩამითვლიან, რომლებიც თვალს ადევნებდნენ ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟსა და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მართლაც ეკლიან გზას, რომლის შუაგულში მეც სხვებთან ერთად ვიდექი.

მოდით გაიხსენეთ თქვენი პირველი ნაბიჯები საადვოკატო საქმიანობაში?

უდავო ფაქტია, რომ ადვოკატთა კოლეგიაში ჩარიცხვისთანავე დაიწყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი – 1988 წლის ნოემბრის შიმშილობები. ცხადია, ამ პროცესის თანამდევი იყო უამრავი დაპატიმრება ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი კუთხით და მეც მიწევდა „სირბილი“ სხვადასხვა მილიციის განყოფილებებსა თუ უშიშროების „ჯურღმულებში“.

იმ პერიოდისათვის საადვოკატო საქმიანობაში რა სირთულეები გხვდებოდათ?

ყველაზე გახმაურებულ მოვლენა-ფაქტს წარმოადგენდა სისხლიანი დროშის საქართველოში ჩამოტანა. ალბათ, ეს იყო უნიკალური სინთეზი – ჟურნალისტური გამოძიებისა და იურიდიული საქმიანობის. 1989 წლის აპრილის მოვლენების შემდგომ, განსაკუთრებით აუტანელი გახდა ქართველი ჯარისკაცების მდგომარეობა, გახშირდა სიკვდილიანობის, ცემის, წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სისასტიკის ფაქტები. საბჭოთა არმიის ნაწილებში ჩავატარეთ ფართომასშტაბიანი ჟურნალისტური გამოძიება, რომლის მასალებიც გადავეცით სსრკ გენერალურ პროკურატურას (სამხედრო პროკურატურას), ხოლო შემდეგ, როგორც დაზარალებულების (ქართველი ჯარისკაცების) ადვოკატი, უშუალოდ ვმონაწილეობდი სასამართლო პროცესებში, პრაქტიკულად სსრკ-ს მთელს ტერიტორიაზე. „სისხლიანი დროშა“, რომელიც ახლა ჩვენი არქივის კუთვნილებაა, შორეული აღმოსავლეთიდანაა ჩამოტანილი, ცხრა აპრილის სისასტიკის საპროტესტოდ, ქართველი ჯარისკაცების სისხლითაა დაწერილი და ის სამშობლოს თავისუფლების უნიკალური სიმბოლოა.

გამოვყოფდი ასევე, არასრულწლოვანი ქართველი პატიმრების რუსეთის ციხე-კოლონიებიდან საქართველოში გადმოყვანის საკითხებსაც. 1988-1990 წლების პერიოდში, მოხერხდა დაახლოვებით 300-ზე მეტი ქართველი და კავკასიელი ეროვნების არასრულწლოვნების „გამოგლეჯვა“ იმ ჯურღმულებიდან. აქვე დავძენ, რომ არა იმჟამინდელი ჩვენი ზოგიერთი პროკურორის (ნათელა ჩერქეზია, რომელიც ამჟამად ადვოკატია) და შს სამინისტროს მაღალჩინოსნების (დემურ მიქაძე და სხვები) პიროვნული დამოკიდებულება, არავინ იცის, რით დასრულდებოდა უამრავი არასრულწლოვანი პატიმრის ბედი რუსეთის საპყრობილეებში.

ვინ იყო თქვენთვის გამორჩეულად საყვარელი მასწავლებელი, რომელმაც გავლენა მოახდინა თქვენს ჩამოყალიბებაზე?

რაც შეეხება მასწავლებლებს, მათი უსაზღვრო მადლიერი ვარ, უპირველესად ქალბატონი რუსუდან წეროძე უნდა გავიხსენო (სხვათაშორის ის მსახიობ დუდუხანა წეროძის და გახლდათ და მქონდა ბედნიერება ამ ოჯახთან ურთიერთობის). ყველამ იცის, ჩემი და ბატონ ჯამბაკურ ბაქრაძის მეგობრობის შესახებ, რომელსაც ახლა მის ვაჟიშვილებთან ვაგრძელებ. ვერ გამოვტოვებ ვლადიმერ ბარათაშვილს, შალვა რჩეულიშვილს, გოგმარ გაბუნიას, კუკური ჭუმბურიძეს და უამრავ სხვა ღირსეულ ადვოკატს.

შეუძლებელია იმ პრობლემათა უბრალო ჩამოთვლაც კი, რომლებიც იმ პერიოდისათვის ხელს გვიშლიდა პროფესიულ საქმიანობაში. დღეს, არცერთ ჩემს კოლეგას, ძველს, თუ ახალგაზრდას, ალბათ ვერ დააჯერებ, რომ სასამართლო დარბაზებში, პირდაპირი გაგებით ავტომატ მომარჯვებული ადამიანები მედგნენ თავზე და აქ არ იგულისხმება საბადრაგო სამსახური. ერთ-ერთი ვისაც ამის შესახებ ხშირად ღიმილით ვესაუბრები ხოლმე, მაშინდელი მოსამართლე და ამჟამად ადვოკატი – ვახტანგ თალაკვაძეა.

რასაც ახლა გეტყვით, იმედია არ ჩამეთვლება გადამეტებულ თავის ქებაში, თუმცა ფაქტია, რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი – რობერტ ლამონტი, რომელიც ახალბედა ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ რეფორმებს სწავლობდა, ხშირად ესწრებოდა ჩემს პროცესებს და „ჩემთვის უხერხული შეფასებებიც“ კი გამოაქვეყნა: „... ჰოლივუდის დრამატიზმს დაუმატეთ უფრო მკაცრი რეალობა – შეიარაღებული პირების ზეწოლის ქვეშ მიმდინარე სასამართლო სხდომები და ამ ფონზე – უპრეცედენტო პრინციპულობა, ფაქტების, მოვლენების ლოგიკური დალაგებისა და გადმოცემის, ზუსტი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების უნიკალური უნარი და დახვეწილი ორატორის მანერები. . . პროფესიონალი ადვოკატისათვის ეს ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა საქართველოში საამისო გარემო არ არის და საოცარია, როგორ მოახერხა ასეთი ზრდა ამ ახალგაზრდა კაცმა“. ამაზე მე ვპასუხობდი, უძველესი ქართული სამართლის ფესვებიდან მოვდივარ მეთქი! დღემდე ამ აზრს ბევრი სკეპტიკოსი ჰყავს, თუმცა მათი ზერელე დამოკიდებულება არ მაღელვებს, ვინც მეცნიერებათა აკადემიის ან სხვა არქივთა მონაცემებში ჩაიხედავს, ამაში უსათუოდ დარწმუნდება.

რა შეიცვალა მას შემდეგ? ბევრი რამ, ხშირად ვიხსენებ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას რომ ვუხსენებდი, პრაქტიკულად დამცინავი ღიმილით მიყურებდნენ, ახლა ეს ნორმები, განაჩენებსა და გადაწყვეტილებებში თანდათანობით ჩნდებიან. რაღა თქმა უნდა, წინ უზარმაზარი სამუშაო და ბრძოლა გველოდება, რომ ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ მინიმალურ სტანდარტებს.

გვიამბეთ რომელიმე განსაკუთრებით საინტერესო საქმეზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდით?

განსაკუთრებით გამოვყოფ ორი პრეზიდენტის საქმეს – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უპრეცედენტოდ უკანონო საქმეთა ერთობლიობას და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ტერაქტის საქმეს. პირდაპირი გაგებით ეს არ იყო საქმე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი იყო აფხაზეთის საოკუპაციო ომის შემსწავლელ-საგამოძიებო კომისიაში მონაწილეობა. საადვოკატო საქმიანობის პერიოდში არაერთი სკანდალური საქმე მქონია, თუმცა ერთ-ერთ მათგანს ნახევრად იუმორით გავიხსენებ. სხვათაშორის მის შესახებ ჟურნალ „მეოხშიც“ დაიბეჭდა, სათაურით: „პატიმარი უცხო პლანეტელმა მოიტაცა“. საქმის საიდუმლოება რომ არ დავარღვიოთ, გეტყვით, რომ უშუქობის ჯოჯოხეთი ვრცელდებოდა ციხეებზეც და ერთ-ერთი კოლონიიდან, შუქების გათიშვის დროს, გასასვლელიდან გაიპარა პატიმარი, თუმცა ის მალევე დააკავეს.

ცხადია, დაიწყო გამოძიება, თუმცა რაიმე კვალი (გვირაბი, გაჭრილი მავთულბადე და ა.შ) ვერავინ იპოვა და პასუხისმგებლობის წინაშე დგებოდა უამრავი პირი. ყველანი ისევ პატიმრის ჩვენებამ იხსნა. მან განაცხადა, რომ – დაწესებულების ეზოში მდგარი სახურავიდან უცხო პლანეტელმა (მფრინავმა თეფშმა) მოიტაცა. ამგვარი, ჩემი სკანდალური შემოქმედების მიუხედავად, შედეგი იყო მთავარი, საქმე შეწყდა...

ბედნიერებაა, როდესაც მტკიცებით შემიძლია განვაცხადო, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. რაც მთავარია, ეს არის უამრავ ადამიანთა გალერეა, რომლებსაც ნამდვილი ბედნიერება და სიხარული განვაცდევინე. ამ გრძნობას არაფერი შეედრება.

რას ურჩევთ ახალბედა ადვოკატებს?

თქვენ, ზევით, კოლეგა-მასწავლებლებზე მკითხეთ, როცა ადვოკატობას ვიწყებდი, ჩემთვის უზარმაზარი ავტორიტეტი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ფენომენი, ამიტომ, განსაკუთრებით სასიხარულო იყო მისი სახელობის ორდენის მიღება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახალბედა ადვოკატებმა უნდა გააცნობიერონ და შეისისხლხორცონ ქართული ადვოკატურის მემკვიდრეობა. რა თქმა აუნდა, მთავარია, გიყვარდეს ეს პროფესია და იყო ღირსეული, მებრძოლი ადამიანის უფლებებისათვის, რასაც დაუღალავი შრომა და პრინციპულობა სჭირდება. რომ გახდე მაღალპროფესიონალი ადვოკატი, დღეს ყველა საშუალება და პირობაა, რაც ახალმა თაობამ უსათუოდ უნდა გამოიყენოს.

ზურაბ ტაბიძე

1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

1979 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი და სამი მოწვევის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი;

2006 წლიდან არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი;

2006–2009 წლებში არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებული იქნა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენით.

„ახალგაზრდა რომ ვიყო, პროფესიად ისევ ადვოკატობას ავირჩევდი “

ზურაბ ტაბიძე 38 წელია ადვოკატის პროფესიას წარმატებით ემსახურება და როგორც თავად ამბობს, ამ პერიოდის განმავლობაში არც ერთი საქმე არ წაუგია.

ზურაბ ტაბიძე:

იურისტი ვარ 1979 წლიდან. ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ ვმუშაობდი პოლიგრაფიაში, წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის იურისტ-კონსულტად, 1978 წლიდან კი მიმიღეს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში სტაჟიორად, სადაც პირველი ჩემი მასწავლებლები ანუ ხელმძღვანელები იყვნენ ადვოკატები, ბატონები სერგო სიხარულიძე და ავთანდილ თავართქილაძე. ეს პროფესია კი შემაყვარა ჩემმა ბიძამ გიორგი ჩხენკელმა, რომელიც წლების განმავლობაში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. მის პროცესებს ხშირად ვესწრებოდი და ვხედავდი მის მიერ მიღწეული შედეგებით კმაყოფილ კლიენტებს. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე, მეც ამ საქმიანობას გავყოლოდი. გავყევი და ბევრ კარგ შედეგსაც მივაღწიე. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში თითქმის არცერთი საქმე არ წამიგია, არაერთგზის მიმიღია სხვადასხვა სიგელი. რამდენჯერმე „წლის საუკეთესო ადვოკატის“ წოდებაც მომანიჭეს. 1979 წლიდან 27 წლის განმავლობაში ვიყავი ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი.

თქვენს მიერ წარმოებული საქმეებიდან იქნებ რომელიმე გაიხსენოთ?

არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი საქმე. სახაზინო წესით ვიცავდი ბანდიტობასა და მკვლელობაში მონაწილე ძმებიდან ერთ-ერთს, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტის მუხლი ჰქონდა წაყენებული. ეს საქმე შემთხვევიდან 20 წლის შემდეგ გაიხსნა. პროცესი წელიწადნახევარი მიმდინარეობდა. ყოველი პროცესის მსვლელობა „ამერიკის ხმის“ მიერ იმავე საღამოს გადაიცემებოდა. საბოლოოდ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს მკვლელობისა და ბანდიტიზმის ბრალდება მოეხსნა და მხოლოდ იარაღის ტარებისთვის გაასამართლეს. მეორე ძმას და დანარჩენ შვიდ პირს კი დახვრეტა მიუსაჯეს.

1988 წლიდან ჩემი საადვოკატო საქმიანობა დაკავშირებული იყო ერთ-ერთ უძლიერეს და სახელგანთქმულ, არამარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში, ადვოკატ შალვა რჩეულიშვილთან, მასთან ურთიერთობის პერიოდში არცერთი საქმე არ წაგვიგია.

საადვოკატო საქმიანობის დროს ალბათ ია-ვარდებით მოფენილ გზაზე არ გიწევდათ სიარული, არა?

ცხადია, აუარებელი პრობლემა იჩენდა ხოლმე თავს. ადვოკატებს ძალიან ბევრი წინააღმდეგობა გვხვდება წინ, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მეტნაკლებად ვცდილობთ, ყველა პრობლემა მოვაგვაროთ.

პროფესიულად ყველაზე საინტერესო საქმედ რომელს მიიჩნევთ?

ყველა საქმე, რომელშიც მიმიღია მონაწილეობა, თავისებურად საინტერესო იყო. მაგალითად, შვიდი წელი ვიცავდი ბიძაშვილების მკვლელობის ბრალდების საქმეზე ერთ პიროვნებას, საქმე ცხრაჯერ დაბრუნდა დამატებით ძიებაში და შვილი წლის პატიმრობის თავზე, როგორც საერთოდ უდანაშაულო, მის მიმართ საქმე შეწყდა.

ბოლოს მონაწილეობას ვიღებდი საქართველოს ყოფილი პრემიერის, ბატონი ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის სიკვდილის საქმესთან დაკავშირებით. ვიცავდი ექსპერტ ლევან ჩაჩუას, რომელმაც ორივე გვამს ექსპერტიზა ჩაუტარა. იგი რვა თვე იმყოფებოდა პატიმრობაში. საბოლოოდ კი მოსამართლემ მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

ასე, რომ პროფესიის არჩევაში არ შევმცდარვარ, არ მინანია და ახლა რომ ახალგაზრდა ვიყო და პროფესიას ვირჩევდე, კვლავ ადვოკატობას ავირჩევდი. მახსენდება ერთი შემთხვევა, პოლიციის სამმართველოს უფროსმა საგამოძიებო განყოფილების უფროსობა შემომთავაზა, მე დაუფიქრებლად უარი ვუთხარი, რადგან რომელიმე თანამდებობაზე ან საჯარო სამსახურში საქმიანობის სურვილი არასდროს გამჩენია.

ახალბედა ადვოკატებს რას ურჩევდით?

ვურჩევდი ახალგაზრდა ადვოკატებს, რომ გულთან მიიტანონ დასაცავი პირის მდგომარეობა და კეთილსინდისიერად, დიდი პროფესიონალური შემართებით აწარმოონ გზას აცდენილი ან გაჭირვებული ადამიანების საქმეები.

რამინ პაპიძე

1999 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი;

2000 წლის 17 ოქტომბრიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას;

2000-2001 წლებში მუშაობდა შპს „ცენტურიონი“-ში ადვოკატად;

2001 წლიდან 2004წლამდე იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის მთაწმინიდს ადვოკატურის ადვოკატი;

2001-2003 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ქ. თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიური ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ასწავლიდა სანივთო და ვალდებულებით სამართალს, ასევე ადვოკატურის საფუძვლებს;

2003 წელს გაიარა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებული ადვოკატთა საატესტაციო გამოცდები საერთო სპეციალიზაციით და მიიღო ადვოკატის შესაბამისი სერტიფიკატი;

არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ დამფუძნებელი წევრი;

2004 წლის აგვისტოს თვიდან საადვოკატო საქმიანობას ეწევა ქ. ბათუმში, სადაც 2005 წელს პარტნიორებთან ერთად დააფუძნა საადვოკატო კომპანია სპს „რამინ პაპიძე და პარტნიორები“, რომლის დირექტორიც 2015 წლის ივნისამდე იყო;

2015 წლის ივნისის თვიდან დღემდე მუშაობს შპს „პაპიძე, მარკოიძე და პარტნიორებში“ ადვოკატად;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

„დღევანდელ ხელისუფლებას არ აწყობს, როინ შავაძის მკვლელობაში დამნაშავე პირები დასაჯოს“

ადვოკატი რამინ პაპიძე 15 წელია რაც ამ საქმეს ესახურება. როგორც თავად გვითხრა, უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ხშირად ესწრებოდა უზენაეს სასამართლოში სხდომებს, სადაც მასზე შთაბეჭდილებას მოსამართლეებზე და პროკურორებზე მეტად ადვოკატები ახდენდნენ. ისინი ცოდნით, კარგი მეტყველებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით ნამდვილად გამოირჩეოდნენო.

რამინ პაპიძე:

ადვოკატების საკასაციო საჩივრები და სხვადასხვა სახის შუამდგომლობები უფრო კარგად იყო დასაბუთებული, ვიდრე სახელმწიფო ბრალმდებელების, რომლებიც გენერალური პროკურატურიდან იყვნენ. შესაბამისად ადვოკატებს შედეგებიც კარგი ჰქონდათ. იყო სასჯელის შემცირების ფაქტებიც, კვალიფიკაციების ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვლა, საპატიმრო სასჯელებისაგან გათავისუფლება და ა.შ. იმ პერიოდში ადამიანებს ხშირად ფალსიფიცირებული მტკიცებულებების საშუალებით უშვებდნენ ციხეში. მესმოდა ისეთ ფაქტების შესახებაც, როცა პოლიციის განყოფილებებში ადამიანებს სცემდნენ, მათ მიმართ ადგილი ჰქონდა წამებას და არაადამიანურ მოპყრობას. ყოველივე ამან გამიჩინა განცდა, რომ ადამიანის უფლებები დაცული არ იყო და ის ხშირად ირღვეოდა. ადვოკატებს შორის შემიძლია გამოვარჩიო შალვა შავგულიძე, იოსებ ბარათაშვილი, ია პატარავა, გულიკო გაბაიძე, გოგმარ გაბუნია, ოთარ გამყრელიძე... ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში ჩემი ლექტორი (მასწვლებელი) იყო ადამიანის უფლებების სამართალში. ყველა ზემოთ აღნიშნულმა გარემოებამ მოახდინა ჩემზე გავლენა და გადავწყვიტე ამ პროფესიის დაუფლება. ამ სფეროს დაუფლების დროს ერთი კონკრეტული მასწავლებელი არ მყოლია. საადვოკატო პროფესიაში გარკვევას შეიძლება ითქვას ჩემი სხვადასხვა კოლეგებისგან მიღებული მწირი რჩევა-დარიგებებით ვცდილობდი.

საადვოკატო საქმიანობა სად დაიწყეთ?

- საადვოკატო საქმიანობა დავიწყე შპს „ცენტურიონი“-ს საადვოკატო კომპანიაში, 2000 წლის ოქტომბერში. პირველი იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამოქალაქო დავის საქმე. ის წარმოებაში მქონდა იმ დროს ჩემსავით ახალბედა ადვოკატ გურამ ღოთვაძესთან ერთად. აღნიშნულ კომპანიაში ვიმუშავე დაახლოებით ერთი წელი. 2002 წლიდან გავხდი საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის მთაწმინდის ადვოკატურის ადვოკატი, სადაც ფაქტობრივად დამოუკიდებლად დავიწყე საადვოკატო საქმიანობა. ძირითადად მონაწილეობას ვიღებდი სახაზინო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვაში. მთაწმინდის ადვოკატურაში მუშაობდნენ იოსებ ბარათაშვილი, შალვა შავგულიძე, გივი პაპაშვილი, მაია ახმეტელაშვილი, მალხაზ ჯანგირაშვილი, ირმა ჭკადუა, გულიკო გოცირიძე, რომელიც ამავე დროს იყო მთაწმინდის ადვოკატურის გამგე და ჩემი თანაკურსელი.

19 წლის მანძილზე ცხადია მქონდა უამრავი წარმატებით დასრულებული საქმე, მაგრამ ამჯერად მაინც პრობლემებს შევეხები. დაკავებულებთან შეხვედრა განსაკუთრებით დროებით დაკავების იზოლატორებში იყო პრობლემა. სასამართლოები ჩაფლული იყვნენ კორუფციაში, პოლიციაში

და პროკურატურაში ადვოკატებს გვეზღუდებოდა საქმის მასალების გაცნობა. იყო შემთხვევები, როცა ცდილობდნენ საქმეში დაცვის უფლების განსახორციელებლად არ დავეშვით. სამოქალაქო საქმეებზე ჭიანურდებოდა განხილვები და გადაწყვეტილებების მიღება. არ არსებობდა ერთიანი პრაქტიკა.

ამ დროისათვისაც არის პრობლემები: ადგილი აქვს არამატერიალურ კორუფციას ანუ მოსამართლე პროკურატურის შიშით ან სხვა ხელმძღვანელთა შიშით თუ ზემოქმედების შედეგად არ იღებს ობიექტურ გადაწყვეტილებებს. საქმეების განხილვა მიმდინარეობს ზერელედ. დაცვის მხარე რეალურად არათანაბარ პირობებში ვართ ბრალდების მხარესთან. მაგალითად დაცვას ბრალდების მხარისგან განსხვავებით არ აქვს უფლება მოიპოვოს კომპიუტერული ინფორმაცია იმის გათვალისწინებით, როცა ხშირია იმის აუცილებლობა; უარს გვეუბნებიან და დაცვის მხარეს არ გააჩნია უფლება მივიღოთ გარე სათვალთავალო კამერების მეშვეობით დაფიქსირებული ინფორმაცია. საქართველოს სსსკ 136-ე მუხლი ასეთ უფლებას მხოლოდ პროკურორს აძლევს. ასევე პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ამგვარი მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუცილებელია პროკურორის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება. სასამართლოში ადვოკატების შუამდგომლობა ასეთი სახის ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით არ კმაყოფილდება ზემოთ ხსენებული ნორმიდან გამომდინარე.

დღეისათვის ცალკეულ სასამართლოებში, მოქმედი მოსამართლეთა ნაწილი მეტ-ნაკლებად გათავისუფლდა სახელისუფლებო ზეწოლებისაგან. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბრალდებულთათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას და არა საქმის არსებითი განხილვისას. მოსამართლეთა მეტ-ნაკლებად თავისუფლებას ხელი შეუწყო 2012 წელს ქვეყნის ხელისუფლების ცვლილებამ. სამოქალაქო საქმეებზე კი განხილვის ვადები ირღვევა, ვერ ვიღებთ დროულად კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს და სააღსრულებო ფურცლებს. სასამართლო ხშირად უარს ამბობს სახელმწიფო ბაჟის გადადებაზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც მოქალაქეებს უძნელებს დავების წარმოებას სასამართლოებში.

საინტერესო საქმეების შესახებ მოგვიყევით?

საინტერესო იყო ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე, სადაც ჩემი დაცვის ქცეშ მყოფს, 2008 წელს, აჭარის პროკურატურა ბრალს დებდა ნარკოტიკული ნივთიერებების დიდი ოდენობით თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოტანის გამო. ხსენებულ საქმეზე დადებითი შედეგის მოლოდინი საქმეში ჩემი ჩართვის მომენტისათვის, შეიძლება ითქვას საერთოდ არ არსებობდა. ბრალდების მხარემ ხსენებულ საქმეზე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სასჯელის სახით 25 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, საბოლოოდ კი სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დააყენა. გამართლება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბრალდება დაფუძნებული იყო ამავე საქმეში სხვა ბრალდებულ პირთა ე.წ. განთქმით ჩვენებებზე, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში ხსენებულმა ბრალდებულებმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვალეს ჩვენებები.

ერთ-ერთი საინტერესო საქმე 2005 წელს დაიწყო და 2009 წელს დასრულდა. საქმე ეხებოდა აჭარის აქციზური მარკების სამსახურის უფროსისთვის სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ბრალდებას. საქართველოს მთავარი პროკურატურის ბრალდება საქართველოს სსკ 333 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში პირველი ინსტანციის სასამართლომ გადააკვალიფიცირა გულგრილობაზე, რაც სააპლაციო ინსტანციის სასამართლომ უცვლელად დატოვა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ ქალბატონ ნინო გვენეტაძის თავმჯდომარეობით გააუქმა, ანუ პროკურატურას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარი უთხრა. რაც შეეხება დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, ეს ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული; კერძოდ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და პალატის სხვა შემადგენლობას მისცა მითითება, გაერკვიათ გულგრილობა რითი იყო გამოწვეული, მსჯავრდებულის მიერ მისი უფლება-მოვალეობების უცოდინრობით, თუ გამოუცდელობით. რაც ორივე შემთხვევაში ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. შემდგომ სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდების დამძიმების მიზნით, საქმე განსახილველად დაუბრუნა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურაში. ხსენებული სასამართლო გადაწყვეტილება ჩვენს მიერ გასაჩივრებულო იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატაში კერძო საკასაციო საჩივრით და მოვითხოვეთ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, რაც საკასაციო პალატამ დაკმაყოფილა და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. საბოლოოდ, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული კვლავ გულგრილობის ბარლდებით იქნა დამნაშავედ ცნობილი.

სკანდალური საქმე ამჟამადაც მაქვს წარმოებაში. ის ეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცის, სერჟანტ როინ შავაძის მკვლელობის საქმეს. გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ჯარისკაცი შავაძე დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტთან დაკავშირებით. დაკავება განხორციელდა 2018 წლის 16 აგვისტოს ქ. ბათუმში ე.წ. ოქროს ბირჟის მიმდებარე ტერიტორიაზე. მისი დაკავების შემდგომ თითქოსდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ბადრაგირებას ახდენდნენ ქ. თბილისში, დროებითი დაკავების იზოლატორში, რა დროსაც გურია-აჭარის ადმინისტრაციულ საზღვართან მისვლისას, შავაძის თხოვნით, ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, თითქოსდა შეჩერებულ იქნა ბადრაგირება, რა დროსაც მათ ხელბორკილი ახსნეს შავაძეს. თითქოს ამით ისარგებლა დაკავებულმა და შეეცადა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია სპეც. დანიშნულების რაზმის 9 თანამშრომლისათვის, რასაც შედეგად შავაძის ფიზიკური ლიკვიდაცია მოჰყვა. რეალურად შავაძე შემთხვევის ადგილიდან მისი მოკვლის მიზნით იქნა გაყვანილი და არა ქ. თბილისში ბადრაგირების მიზნით.

2012 წელს ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებების შედეგად გააქტიურდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რის შედეგადაც დაახლოებით ასი მოწმე იქნა დაკითხული. მათი დაკითხვის შედეგად დადგინდა, რომ დაახლოებით 40 მოწმე თვითმხილველი იყო შავაძის დაკავების ფაქტის და დაკავების მომენტში მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის. მათივე განმარტებით არანაირი საგამოძიებო მოქმედებები დაკავებულის მიმართ არ განხორციელებულა; კერძოდ, არავითარი ჩხრეკა შავაძეს არ ჩაუტარებია და შესაბამისად, არანაირი კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან საგანი მისგან არ ამოღებულა. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ ფაქტებს დღემდე არ მისცემია შესაბამისი სამართლებრივი შეფასება და შავაძის მკვლელები დღემდე დაუსჯელებია არიან. რეალურად დღევანდელ ხელისუფლებასაც ჩვენთვის გაურკვეველი, კონკრეტული მიზეზების გამო არ აწყობს ამ საქმეში დამნაშავე პირების დასჯა.

გელა ბერაძე

1994 წელს დაამთავრა ივანოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი;

1999 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი;

გაიარა ტრენინგები: HR მენეჯმენტის უნარ-ჩვევები; სისხლის სა ტრენინგები მართლის საპროცესო კოდექსი; მედიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები; ადმინისტრაციულ მენეჯმენტში;

ივლისი, 2008 – იანვარი, 2009 – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი;

ივლისი, 2008 – იანვარი, 2009 – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ს.ს.სი.პ. „იურიდიული დახმარების სამსახური“, იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ზესტაფონის განყოფილების უფროსი;

ივლისი – ნოემბერი 2007 – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ს.ს.ი.პ. „იურიდიული დახმარების სამსახური“, იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი;

2005-2007 – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ს.ს.ი.პ. „საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური“, ზესტაფონის ტერიტორიული ბიუროს კონსულტანტი;

2002-2005 -შპს „საქარის მარანი“-იურსიტი;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

„უპირველესი პრობლემა არაობიექტური სასამართლო, უფლებაშეზღუდული პროკურორები და არაკვალიფიციური გამოძიებაა“

ადვოკატი გელა ბერაძე რვა წელია საადვოკატო სამიანობას ეწევა. უპირველეს პრობლემად ის არაობიექტურ სასამართლოს, უფლებაშეზღუდულ პროკურორებს და არაკვალიფიციურ გამოძიებას მიიჩნევს.

გელა ბერაძე:

იურისტობაზე ფიქრი ბავშვობიდანვე მომყვებოდა. ამის მიზეზი არტურ კონონ დოილის „შერლოკ ჰოლმსი“, აგატა კრისტის მოთხრობების და სხვა დეტექტიური ნაწარმოებების წაკითხვა გახდა. თუმცა, ჩემი თავი ბარიერის მეორე მხარეს, გამომძიებლად უფრო წარმომედგინა. ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე და ჩემს მიერ საადვოკატო საქმიანობის დაწყება შემთხვევის გამო მოხდა. ზესტაფონში დაიწყო უფასო იურიდიული დახმარების პროექტის პილოტირება და მეც, ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილე გავხდი. უკვე საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას აღმოვაჩინე, რომ ადვოკატობა, ადამიანის უფლებების დაცვა, სულაც არ ყოფილა ნაკლებ საინტერესო, ვიდრე გამომძიებლობა. პირიქით, რვა წელია უკვე ადვოკატი ვარ და ვთვლი, რომ ადვოკატობა საკუთარ თავში აერთიანებს გამომძიებლობას და ადამიანის უფლებათა დაცვას. სამწუხაროა, მაგრამ ხშირად სხვადასხვა ნაწარმოებებში თუ ფილმებში ადვოკატები უარყოფით პერსონაჟებად არიან წარმოდგენილი და ალბათ ესეცაა იმის მიზეზი, რომ ბავშვები, ისევე როგორც, ეს მე დამემართა, ადვოკატობაზე ნაკლებად ოცნებობენ.

გაიხსენეთ თქვენი პირველი ნაბიჯები საადვოკატო საქმიანობაში და პირველი წარმატება?

ჩემი საადვოკატო საქმიანობა კონსულტაციების გაწევით დაიწყო. შემდეგ კი სასამართლოებში საადვოკატო საქმიანობასაც ვახორციელებდი. რაც შეეხება წარმატებას, საადვოკატო საქმიანობაში წარმატების ცნება საკმაოდ ფარდობითია. მაქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია. ბევრი რამის გამო მწყდება გული. მაგალითად ის, როდესაც გამამტყუნებელი განაჩენი დგება მითვისების დაკვალიფიცირებულ ქმედებაზე და საქმეში დაზარალებული არავინაა; ან როდესაც უამრავი ადამიანი ამტკიცებს, რომ ბრალდებული დანაშაულს ვერ ჩაიდენდა, რადგან ის დანაშაულის დროს სულ სხვა ადგილას იმყოფებოდა და მხოლოდ დაზარალებულის ვარაუდზე დაყრდნობით ხდება გამამტყუნებელი განაჩენის დაყენება; ან როდესაც მოსამართლე ჩაილაპარაკებს: „კი უნდა დამეყენებინა გამამართლებელი, მაგრამ....“ და ა.შ. მართალია, ასეთ საქმეებშიც შედეგი იმაზე უკეთესი დგებოდა, ვიდრე ეს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე იქნებოდა, მაგრამ ძნელია ამ შედეგს რეალური წარმატება უწოდო.

რა სახის პრობლემები შეგხვედრიათ და ამის მიზეზად რას მიიჩნევთ?

უპირველესი პრობლემა ალბათ არაობიექტური სასამართლო, უფლებაშეზღუდული პროკურორები და არაკვალიფიციური გამოძიებაა. ამას ემატება მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მხარეთა თანასწორობას მხოლოდ დეკლარირებს, მაგრამ რეალურად დაცვის მხარის უფლებებს ყველანაირად ზღუდავს.

ყველაზე საინტერესო საქმე, რომელშიც მონაწილეობას იღებდით?

ძნელია, რომელიმე კონკრეტული საქმის გამოყოფა. ყველა საქმე სადაც სადავოა ფაქტობრივი ან პროცესუალური საკითხები, საინტერესოა. ხოლო

უინტერესოა, როცა ხელმოსაჭიდი არაფერია და იძულებული ხარ პროკურატურის ან სასამართლოს „მოწყალებაზე“ იყო დამოკიდებული.

ერთხელ, სასამართლოში, მკვლელობის საქმეზე ვახორციელებდი საადვოკატო მომსახურებას. საქმის წარმოება 1998 წლის საპროცესო კოდექსით მიმდინარეობდა. ის უცნაური იყო იმ მხრივ, რომ დასაცავი პირი არ ლაპარაკობდა – არც მე და არც სხვა ვინმეს ხმას არ სცემდა. არადა საქმე მისი ჩვენების საფუძველზე იყო გახსნილი – აღიარა დანაშაული, გამოძიებას მიუთითა გვამის დამარხვის ადგილი, აჩვენა დანაშაულის იარაღი და ა.შ. და ყველაფერ ამის შემდეგ დადუმდა. ამის გამო ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი. დაცვის სტრატეგიის არჩევა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. უცნობი გახლდათ ისიც, რას ნიშნავდა ეს დუმილი – იყო ეს დუმილის უფლების გამოყენება, თუ ფსიქიკური ნაკლის გამოვლინება. არადა დაცვის სტრატეგიის განსაზღვრა სრულად იყო ამ გარემოებაზე დამოკიდებული. მის გარეშე იძულებული ვიყავი ყველაფერზე ერთად მემსჯელა – უდანაშაულობაზე, აფექტზე, მსუბუქ სასჯელზე და თან ისე, რომ ჩემი პოზიციით არ დარღვეულიყო დაცვის უფლება. ერთ-ერთი მთავარი შუალედური მოთხოვნა დასაცავისათვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება იყო. ექსპერტიზის ნებისმიერი შედეგი საშუალებას მომცემდა დაცვის განხორციელებისას ამერჩია ერთი კონკრეტული მიმართულება, რაც გაცილებით უკეთესი შედეგის წინაპირობა იქნებოდა. თუმცა, ექსპერტიზის შედეგები საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩენილიყო ბრალდებისთვისაც და ამის გამო, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ და ასევე, სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის დანიშვნის გადაწყვეტილებაზე უარი თქვა. ცხადი გახდა, რომ შედეგი ყველაზე ცუდი დადგებოდა. ამიტომ ვერც მე დავფარე გაღიზიანება და პროტესტის ნიშნად მეც დავდუმდი – უარი ვთქვი საკამათო სიტყვის წარმოთქმაზე. ახლა სასამართლო აღმოჩნდა ცუდ მდგომარეობაში – სხდომას ესწრებოდა განსასჯელიც და ადვოკატიც, მაგრამ არცერთი არ ლაპარაკობდა, არადა საბოლოო სიტყვის წარმოთქმა აუცილებელი იყო. ასეთი სიტუაცია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. როცა სასამართლოს მხრიდან თითქმის ერთსაათიანმა თხოვნამ არ გაჭრა, სასამართლო იძულებული გახდა შესვენება გამოეცხადებინა. მეც გაურკვევლობაში ვიყავი – არ ვიცოდი ჩემი საქციელი რას გამოიწვევდა. თუმცა საბოლოოდ მაინც იმ დასკვნამდე მივედი, რომ არსებობდა საშიშროება სასამართლოს საქმიდან ჩამოვეცილებინე, რაც გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობასაც წამართმევდა. ამის გააზრების შემდეგ, საბოოლოოდ მაინც წარმოვთქვი საკამათო სიტყვა.

ამ საქმის მთელი აბსურდულობისა და ტრაგიზმის მაჩვენებელი სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმში ჩაწერილი შემდეგი სიტყვები გახდა: „სასჯელის გამოცხადების შემდეგ პ. ქ-მ (განსასჯელმა) იღმუვლა.“

ოდესმე თუ გინანიათ, ეს პროფესია რომ აირჩიეთ? ამჟამად რა პრობლემების წინაშე დგას ადვოკატთა კორპუსი და როგორ უნდა მოხდეს გამოსწორება?

არა, ნამდვილად არ ვნანობ. პრობლემები მრავლადაა, როგორც სამართლდამცავ ორგანოებში, სასამართლო სისტემაში. კანონმდებლობაში, ასევე საადვოკატო საქმიანობაში. სამწუხაროდ ყველა არსებული პრობლემის გამოსწორება ადვოკატთა კორპუსის ძალებს აღემატება, მაგრამ თუ ადვოკატები უფრო ორგანიზებული და ძლიერი ძალა ვიქნებით, ეს იმის საწინდარი გახდება, რომ შესაბამისმა სტრუქტურებმა ჩვენი მოთხოვნები ყურად იღონ და გაითვალისწინონ. ამიტომ პრობლემების გამოსწორება ალბათ სწორედ ადვოკატთა კორპუსიდან უნდა დავიწყოთ, რათა აღმოიფხვრას ჩვენში პრობლემები და საზოგადოებაში გაიზარდოს ნდობა და პატივისცემა ადვოკატთა კორპუსისადმი. საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერა კი ნებისმიერი საკითხის გადაჭრის საფუძველია.

ნონა კირთაძე

1987 წელს დაამთავრა თბილისის კოოპერაციის ინსტიტუტი (მოსკოვის ფილიალი);

2000 წელს დაამთავრა შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

2002 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას;

2006 წლიდან არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

„ადვოკატთა კორპუსი ხელისუფლების მხრიდან მეტ მხარდაჭერას საჭიროებს“

ნონა კირთაძე უკვე 13 წელია ადვოკატად მუშაობს. იგი ხელისუფლების მხრიდან ადვოკატებზე ზეწოლის მსხვერპლიც გახდა, თუმცა თავის საქმიანობას უფრო შემართებითა და მონდომებით აგრძელებს.

ნონა კირთაძე:

გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ვამაყობ ჩემი პროფესიით, რადგან უამრავი ადამიანის სითბო და სიყვარული დავიმსახურე. პროფესიული არჩევანი განაპირობა ჩემმა შეუგუებელმა დამოკიდებულებამ ადამიანთა ჩაგვრისადმი. ადვოკატთა კოლეგიაში მიღების დღესვე, პირველივე საქმის წარმატებულად გავართვი თავი. წარმატება მალევე მეწვია.

რა სახის პრობლემები შეგხვედრიათ და რას მიიჩნევთ ამის მიზეზად?

საადვოკატო საქმიანობის პერიოდში მთელ სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ სასამართლო არ იყო ბოლომდე დამოუკიდებელი და რიგ შემთხვევებში მოსამართლეები პროკურატურის დაკვეთებს ასრულებდნენ, რის გამოც უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაცვა მიწევდა.თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი მუშაობის პერიოდში ძალიან ბევრი საინტერესო საქმე მქონდა, მაგრამ, ვინაიდან ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა კონფიდენციალურია, რომელიმე მათგანის დასახელებისგან თავს შევიკავებ.

ამჟამად რა პრობლემების წინაშე დგას ადვოკატთა კორპუსი და როგორ გესახებათ მისი გამოსწორების გზები?

მიუხედავად ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის მიერ, ადვოკატის ინსტიტუტის დაცვისა და გაძლიერების მიზნით ჩატარებული მრავალი ღონისძიებისა, ადვოკატთა კორპუსი ხელისუფლებისგან საჭიროებს მეტ მხარდაჭერასა და უფლებების გაზრდას, რადგან ხელი არ შეგვეშალოს პროფესიული უფლებამოსილების შესრულებისას.

მარინე მანგოშვილი

1982 წელს დაამთავრა ქუთაისის აკ.წერეთლის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენის სპეციალობით;

1986-1988 წლებში სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე;

1996 წელს დაამთავრა თელავის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი;

1996 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანიბას საერთო სპეციალიზაციით;

2005 წლამდე კითხულობდა ლექციებს ქუთაისის ჰუმანიტარულ და სამართლის ინსტიტუტში;

2006 წლიდან არის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი;

2007 წლიდან მუშაობს ადვოკატად სამოქალაქო სპეციალიზაციით;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.

„პროცესის მოგებით განცდილ სიხარულს ვერაფერი შეედრება “

მარინა მანგოშვილი თვლის, რომ ადვოკატის პროფესიის ღირსება მის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაშია. ის 19 წელია ადვოკატად მუშაობს და ცხადია, ამ საქმეში დიდი ცოდნა-გამოცდილება დააგროვა.

მარინა მანგოშვილი:

მეექვსე კლასის მოსწავლე ვიყავი, მომავალ პროფესიად იურისტობა რომ ავირჩიე. პაპიდა მყავდა სამხედრო ექიმი, რომელმაც სთხოვა ჩემს მშობლებს, რვა კლასის დამთავრების შემდეგ, მასთან ჩავსულიყავი რუსეთში და სწავლა გამეგრძელებინა სამედიცინო განხრით. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც იურისტის პროფესიისადმი სიყვარულმა გადამძალა და დღემდე ვგრძნობ, რომ ეს პროფესია ჩემია. თუმცა მიზანი იოლად მისაღწევი არ აღმოჩნდა. ბევრი იმედგაცრუება, უსამართლობის განცდა და სანერვიულო შემხვდა, რომელმაც უფრო განმიმტკიცა ხასიათი. სანამ სტუდენტი გავხდებოდი ვმუშაობდი დედასთან, ერთ-ერთ სამკერვალო გაერთიანებაში. შემდეგ მოვხვდი მოსკოვის კოსიგინის სახ. საფეიქრო ინსტიტუტში და მხატვარ-მოდელიორის სპეციალობას დავეუფლე. ეს არ იყო ის, რაზეც მთელი ბავშვობა ვონებობდი. ისეთი განცდა მქონდა, რომ სხვას, ვისაც ძალიან უნდოდა მოდელიორობა, წავართვი ადგილი და მის მაგივრად ვსწავლობდი. ამ „გაჭირვებაში“ ხატვაც ვისწავლე. გავითავისე გოგი ცაბაძის სიმღერა, რომელსაც ხშირად ვმღეროდი ხოლმე მარტოობისას:

„რა საშინელი ყოფილა, ჩემო დედავ და ხატო
როდესაც ხატვა არ გინდა, და მაინც უნდა ხატო“

თუმცა არც იმ წლებს არ ვემდური, რადგან სილამაზის სხვაგვარად აღქმა მასწავლა. იმ დღიდან განსაკუთრებულ პატივს ვცემ მხატვრებს. ბოლოს მშობლების დაუკითხავად გამოვიტანე საბუთები ინსტიტუტიდან და ჩავაბარე მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის მოსამზადებელ გამყოფილებაზე. ამის გამო, ოჯახში ჩემი და-ძმის გარდა ყველა მემდუროდა. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ აქაც კომუნისტური წყობის რეჟიმმა „დამჩაგრა“. უგამოცდოდ ჩარიცხეს ავღანეთის ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და მე ინსტიტუტის გარეთ დავრჩი. სამეგობრო მეხუმრებოდა: “ ისეთ ინსტიტუტებს, რომ ირჩევ, სადაც კოსიგინის და გორბაჩოვის შვილები სწავლობენ, ჩამოდი საქართველოში ჩააბარე და ნახავ თუ არ მოხვდებიო“.

მერე, არ დაუჯერეთ მეგობრებს?

დავუჯერე. მას შემდეგ აქ ვარ და ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ მიუხედავად იმისა, რომ ყოფილა გულისწყვეტა, უსამართლობის განცდა, გულგრილობა, მაინც იგივე პროფესის ავირჩევდი დღეს, რომ აჩევანის წინაშე ვიდგე, რადგან პროცესის მოგებით განცდილ სიხარულს არაფერი შეედრება. მადლიერი ადამიანის დალოცვას არაფერი სჯობს. რომელიც ხვდება, რომ მისთვის დაიხარჯე და მისი ინტერესების დასაცავად მაქსიმუმი გააკეთე. თუმცა იყო შემთხვევები უმადურობაც მიგრძვნია და მითქვამს „ღმერთო გაუნათე დაბნელებული გონება და დაანახე ჩემი სიმართლე მეთქი“.

განვლილი 19 წლიდან განსაკუთრებით რომელი საქმე გადამახსოვრდათ?

თითქმის ათი წელი ქუთაისის სამართლისა და ჰუმანიტარულ ინსტიტუტშიც ვკითხულობდი ლექციებს და პირველი სწორედ ჩემი აფხაზეთიდან ლტოლვილი სტუდენტების, საქმე იყო, რომლებსაც ქურდობისთვის ასამართლებდნენ. აღკვეთ ღონისძიებაზე ბრალის წარდგენისას აკაკის „გამზრდელი"-დან ჰაჯი უსუპის სიტყვების თქმაც დამჭირდა . ბიჭებმა აღიარეს დანაშაული, მაგრამ იმაზე მეტს აბრალებდა პროკურატურა რაც არ მოუპარავთ. ჩემს მეგობარ კოლეგასთან, ფერიდე ჩახუნაშვილთან ერთად ბევრი ვიბრძოლე, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფებს მხოლოდ იმისთვის ეგოთ პასუხი რაც ჩაიდინეს. სხვა ყველა ბრალდება მოვუხსენით და საბოლოოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

საადვოკატო საქმინობაში არსებულ პრობლემებზეც გვესაუბრეთ?

თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ პირადად არასდროს მიგრძვნია ვინმესგან უპატივცემულობა. ვფიქრობ ჩემი პროფესია თავად წარმოშობს ერთგვარ კრძალვასა და პატივისცემას. მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ადვოკატი მას შემდეგ დაფასდა, რაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ბატონი ზაზა ხატიაშვილი. მე და არა მარტო მე, თავდაჯერებული ვარ, რადგან ვიცი, რომ თუ ჩემს პროფესიაში რაიმე სირთულეს წავაწყდები, ვინმე დაუმსახურებლად მომექცევა, როგორც ადვოკატს და შეურაცხყოფს ჩემს პროფესიას, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შემიძლია დავურეკო ბატონ ზაზას და ისიც მაშინვე ჩემს გვერდით გაჩნდება. ეს დიდი სტიმულია თითოეული ჩვენგანისთვის.

ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს განგრძობადი იურიდიული განათლების შესახებ, რომელმაც საშუალება მოგვცა უფრო მეტად განვითარებისა პროფესიული თვალსაზრისით.

ადრე, ასე არ იყო. მაშინ არავინ ზრუნავდა ადვოკატებისთვის პროფესიის სიღრმისეულ შესწავლაზე. ახლა ტარდება საინტერესო ტრენინგები. მისასალმებელია ისიც, რომ დღეს შეიცვალა ადვოკატის გამოცდის ჩაბარების ფორმაც. იოლად ველარ გახდები ადვოკატი, ამისათვის უკვე დიდი შრომა და სწავლაა საჭირო. ვერავინ ვერ უნდა გაბედოს სიტყვის _ „ვადვოკატობ" თქმა, რადგან ადვოკატობა ხელწამოსაკრავი პროფესია არ არის. საერთოდ რთული საქმეები მიყვარს. ამ მხრივ აჭარის რეგიონი გამოირჩევა. იქ ხშირადაა ისეთი სამკვიდრო დავები, რომლის გადაწყვეტასაც წლები სჭირდება.

ერთი სამოქალაქო საქმე 2007 წელს დავიწყე. ძმებს შორის მამის დანატოვარ ქონებაზე იყო დავა. 2010 წელს წარმატებით დავამთავრე საქმის წარმოება, მაგრამ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციას არ ახდენდა საჯარო რეესტრი და მის წინააღმდეგ მომიხდა ბრძოლა. დავარეგისტრირე ჩემი მარწმუნებელი მესაკუთრედ. ამის შემდეგ ნაკვეთთან მისასვლელი გზაც სადაო გამიხადა და მასზეც უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება. წაგებულმა მხარემ 2014 წელს კვლავ უაზროდ დაიწყო ისევ საქმის წარმოება, როგორც ადმინისტრაციული (საჯარო რეესტრს უჩიოდა, რატომ დაარეგისტრირეო), ასევე სამოქალაქო კუთხით. 2015 წლის ივნისში უზენაესმა სასამართლომ დაამთავრდა საქმის წარმოება. თითქმის რვა წელი მიმდინარეობდა დავა.

სკანდალური საქმეებიც მქონდა. ფოთის სასამართლოში, ნაციონალური პარტიიდან საკრებულოს ერთ-ერთი წევრის, წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის გამარჯვებით დამთავრდა. ეს საქმეც არანაკლებ სანერვიულო იყო, რადგან მოსარჩელე პარლამენტარი გახლდათ და იყო მოლოდინი, რომ რაიმე სახით მოახდენდა გავლენას სასამართლოზე. სამართალმა აქაც ჭამა პური.

არასდროს დამავიწყდება საქმე, რომელიც 2000 წელს დავამთავრე. სამეზობლო დავა 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მაშინ საადვოკატო ბიუროს ბატონი გია კილასონია ხელმძღვანელობდა. მთხოვა გავცნობოდი საქმეს და თუ

სურვილი მექნებოდა, კლიენტს გავყოლოდი უზენაეს სასამართლოში. საქმეს გავეცანი. ეს ქალბატონი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკმაყოფილეს, სააპელაციო სასამართლოში პროცესი წაგო, თუმცა პალატის ერთ მოსამართლეს თურმე განსხვავებული აზრი ჰქონდა. ამ ქალბატონს გამარჯვების იმედი აღარ ჰქონდა. ამბობდა, რომ მისი მოწინააღმდეგე გავლენიანი პირი იყო და ფიქრობდა, რომ მაინც თავისას გაიტანდა. მთხოვა „ლამაზად წამაგებინე" პროცესიო. გამეღიმა. არ ვიცოდი ეს რას ნიშნავდა. მითხრა „მე ვერაფერს ვამბობ და ვინმე ისეთი მინდა, ვინც ილაპარაკებს ჩემს მაგივრად და უსიტყვოდ მაინც არ წავაგებ პროცესსო." ფეხმძიმედ ვიყავი და სასამართლო პროცესზე შეუძლოდ გავხდი. მხოლოდ რამოდენიმე წუთით გადავდე საქმის განხილვა . „ლამაზად წაგების " რა მოგახსენოთ და ლამაზად კი მოვიგე ის პროცესი. საკასაციო სარჩელში ჩემი პოზიცია საპელაციო სასამართლოს მოსამართლის აზრსაც დაემთხვა. საადვოკატო საქმიანობის მანძილზე სხვადასხვა ხასიათის ადამიანებს ხვდები. მათთან ურთიერთობამ ადამიანის ფსიქოლოგიაც შემასწავლა. არის კურიოზული შემთხვევებიც.

ასეთ საქმეებზეც მოგვიყევით?

2011 წელს მომმართა ერთმა ქალბატონმა ქობულეთიდან, რომელიც წლების განმავლობაში ვერ შედიოდა მშობლების დანატოვარ სახლში მისი დის შიშით, რომელსაც პოლიციის ძალით გამოუსახლებია იგი სახლიდან. გავეცანი საქმეს. გამოსახლების აქტის გასაჩივრებას ხანდაზმულობის გამო აზრი არ ქონდა. ამიტომ სხვა კანონიერი გზით ვცდილობდი ამ ქალბატონის დახმარებას. მოვიძიე და გამოვკითხე მოწმეები, რომლებიც ფაქტობრივ ფლობას ადასტურებდნენ. ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას მოწმედ დაიკითხა ერთი ადამიანი და საქმე მოვიგეთ. გადაწყვეტილები ს გამოცხადების შემდეგ დამირეკა და მკითხა მოწმეები სად მოგიყვანოთო. მე დავუწყე ახსნა, რომ მოწმე აღარ გვჭირდებოდა, რადგან სასამართლომ მის სასარგებლოს გამოიტანა გადაწყვეტილება. გაბრაზებულმა მითხრა „როგორ, ჩემმა დამ ათი მოწმე მოიყვანა და მე ერთი უნდა მყავდესო"? დღემდე გაბრაზებულია ის ქალი ჩემზე. ყოფილა მუქარაც, შეურაცხყოფაც, მაგრამ ჩემი პროფესიული ვალი არასდროს დამვიწყებია. კლიენტი გასაჭირში არასდროს მიმიტოვებია.. ჩემი ხარჯითაც ბევრჯერ მივლია კლიენტის საქმეზე. მართალია არ დაუფასებია, მაგრამ მთავარია უფლის წინაშე ვიყო მართალი. როცა ადვოკატი ფიცს დებს და პროფესიულ ღირსების დაცვაზე საუბრობს, მიმაჩნია, რომ ჩემი პროფესიის ღირსება მის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაშია. იყო ადვოკატი, ნიშნავს იყო უშიშარი, გაბედული, გაწონასწორებული. მშვიდად განახორციელო დაცვა ისე, რომ მართლმსაჯულების პრინციპები არ შელახო.

ახალბედა ადვოკატებს ვურჩევდი არ შეუშინდნენ უსამართლობას. მუდამ მზად იყვნენ ადამიანის უფლებების დასაცავად, თუნდაც მრავლად ჰქონდეთ ხელისშემშლელი პირობები. პირველ რიგში მათ თავისი პირადი უფლებების დაცვა უნდა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ განახორციელებენ კლიენტის დაცვას. ბევრი იკითხონ და არასოდეს შერცხვეთ მასზე გამოდილებთან ურთიერთობის. იმეგობრონ უფროს კოლეგებთან. მარცხს ნუ შეუშინდებიან, ისწავლონ თავიანთი შეცდომების აღიარება და წარმატება აუცილებლად მოვა.

თეიმურაზ მესხი

1997 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სამართალმცოდნების უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი;

1993-99 წლებში მუშაობდა შსს ორგანოებში;

1999-2005 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი;

2005 წლიდან დღემდე არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი წევრი, ადვოკატი;

2010 წლიდან დღემდე არის „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“ (GLIP) დამფუძნებელი და გამგეობის წევრი;

2003 წელს ჩააბარა დვოკატთა საერთო ტესტირება;

2003 წლის ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა;

2006 წელს მონაწილეობდა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის და ცენტრალური ევროპის და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის მიერ ჩატარებულ ტრენინგში;

2006 წელს მონაწილეობდა „რაულ ვანენბერგის“ სახელობის ინსტიტუტის და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ ჩატარებულ ტრენინგში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით;

2006 წელს წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი;

2010 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და UNICEF-ის მიერ ორგანიზებულ სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები და ქართული კანონმდებლობა“;

2010 წელს მონაწილეობა მიიღო ტრენინგში „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების და დაცვის მექანიზმების შესახებ“;

2011 წელს მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები“;

2012 წელს მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის მიერ ორგანიზებულ სემინარში, თემაზე „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ევროპული კონვენცია და ქართული კანომდებლობის ანალიზი“;

2012 წელს გაიარა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლებრივი ინიციატივის მიერ ჩატარებული ტრენინგი სამართლებრივი მართლწერა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას;

2012 წელს მონაწილეობა მიიღო „გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის და საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“ მიერ ჩატარებულ ერთობლივ სემინარ-ტრენინგში, რომელიც მიეძღვნა იურიდიული პროფესიის განვითარების საკითხებს და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას საქართველოში;

2012 წელიდან გავლილი მაქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგები;

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაფილდოვებულია ღირსების ორდენით.

„მე ადვოკატობა გენმა მიბიძგა“

„რატომ ავირჩიე ადვოკატობა? ალბათ, გენმა მიბიძგა„ – გვითხრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრმა თეიმურაზ მესხმა და თავისი წინაპრების შესახებ მოგვიყვა:

ჩემი უშუალო, დიდი წინაპრები ივანე მესხი და სიმონ მესხი მე-19 საუკუნის 40-90 წლების პერიოდში ემსახურებოდნენ მართლმსაჯულებას, კერძოდ, სიმონ მესხი მოღვაწეობდა როგორც ადვოკატი (ვექილი). ასევე გარკვეული პერიოდი მუშაობდა სახელმწიფო სამსახურში – ქუთაისის გუბერნიის მდივნად. რაც შეეხება ივანე მესხს, მან პეტერბურგში უმაღლესი სასწავლებელის დამთავრების შემდეგ, სამაგისტრო განათლება მიიღო ბერლინის უნივერსიტეტში სამართლის კუთხით, რის შემდეგაც ცოტა ხნით მუშაობდა მისი ბიძაშვილის, სიმონ მესხის საადვოკატო ბიუროში, შემდგომ კი ჯერ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში. ბათუმის გათავისუფლების შემდეგ, სამუშაოდ გადასულა ბათუმის ქალაქი თვითმართველობაში.

შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი პირველი საქმე ადვოკატურაში?

2005 წლამდე, ანუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნებამდე, საქართველოში საადვოკატო საქმიანობა წესრიგდებოდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის მიერ, რომლის წევრიც ასევე გახლდით მეც. იმ პერიოდში არ არსებობდა იურიდიული დახმარების სამსახური (ე.წ. სახაზინო ადვოკატურა), მაგრამ ჩვენ, კოლეგიის წევრები ვითავსებდით სახაზინო ადვოკატის ფუნქციებს. ჩემი პირველი საქმე გახლდათ ზუსტად სახაზინო წესით წარმოებული საქმე, რომელსაც იხილავდა იმ პერიდში არსებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანცია. ჩემს დასაცავ პირს (დანაშაულებრივი ჯგუფის წევრს) სახელმწიფო ედავებოდა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კვალიფიკაციის მქონე სულ ცოტა ხუთი მუხლით დასჯად ქმედებას, რომელთაგან ერთ-ერთი ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას. ღვთის წყალობით ახალბედამ შევძელი და გავამართლე ეს ადამიანი ზუსტად იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას.

სამწუხაროდ, ხშირად მქონია საქმე პასუხისგებაში მიცემული პიროვნებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან, როგორც გამოძიების მწარმოებელი ორგანოს, ისე სასამართლოს მხრიდან. ვთვლი, რომ ამის უპირველესი მიზეზია არაპროფესიონალიზმი და ღვთისადმი უპატივცემულობა.

განსაკუთრებულად საინტერესო საქმე ჩემს პრაქტიკაში კი იყო ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორის გატაცების საქმე, ასევე 2012-2014 წლებში რიგი მაღალჩინოსნების საქმე, სამოქალაქო დავების ნაწილშიც მქონდა შეხება საკუთრების უფლების შეზღუდვის, წართმევის საინტერესო ფაქტებთან.

ალბათ არ ნანობთ, ეს პროფესია რომ აირჩიეთ?

არა, ნამდვილად არ ვნანობ, ვთლი, რომ ეს პროფესია ჩემი სულის შემადგენელი ნაწილი გახდა, ხოლო ადამიანი სულის გარეშე არარაობაა.

რა სახის პრობლემები გხვდება დღეს საადვოკატო საქმიანობაში?

ზოგადად ადვოკატის პრობლემა ქვეყანაში არ დგას, მთავარია სახელმწიფოს დამოკიდებულება შეიცვალოს მართლმსაჯულების სისტემისადმი. ამისათვის აუცილებელია, დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა და არ მოხდეს ვინმეს, თუნდაც სახელმწიფოს „უპირობო“ ძალის დემონსტრირება კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის „სათავისოდ“ გადაწყვეტის მითითებით. ამისათვის კი აუცილებელია თავისუფალი სასამართლო – მეტი არაფერი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მილოცვა

მეგობრებო,

ძვირფასო კოლეგებო,

საქართველოში, პირველად აღინიშნება ძლიერი ინსტიტუტის, უფასო იურიდიული დახმარების 10 წლის იუბილე. კიდევ ერთი გაერთიანება, რომელიც უანგაროდ იცავს ადამიანის უფლებებს და ის საინტერესო ისტორიით და განვითარების დინამიურობით გამოირჩევა. ამ ორგანიზაციამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის და პროფესიული განვითარებისთვის რთული გზა განვლო, თუმცა არასდროს უღალატია ინსტიტუციური ერთობისთვის, პროფესიონალიზმისთვის. იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების საბჭო დიდ როლს თამაშობს უფასო იურიდიული დახმარების ინსტიტუტის განვითარებაში.

საგულისხმოა ბოლო დროს მომხდარი ფაქტი, როცა პროფესიული უფლებამოვალეობის განხორციელებისას საფრთხე შეექმნა ადვოკატის სიცოცხლეს, როგორი ერთიანობა და პროფესიული სოლიდარობა გამოიჩინა მთელმა ინსტიტუციამ, დამდგარიყო პროფესიული ღირსების დაცვის სადარაჯოზე. რადგან, მათ შეგნებული აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა, დაუცველი და სუსტი ადვოკატი ნიშნავს დაუცველ კლიენტს, დაუცველი კლიენტი ნიშნავს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვას, რაც ქვეყანაში გამოწვევს დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების საბოლოო დასამარებას. სწორედ ამ პასუხსმგებლობის გრძნობით არის მომართული დღეს მთელი კორპუსი.

მე მჯერა, ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს ადვოკატის ინსტიტუტის განვითარებას და ინსტიტუციურ გაძლიერებას.

პატივისცემით,
ზაზა ხატიაშვილი
თავმჯდომარე,
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი



თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1892 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. 1894 წელს დატოვა პეტერბურგი და ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა გერმანიაში, სწავლობდა ფილოსოფიას ჰაიდელბერგში კუნო ფიშერთან, ხოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტის ვილჰელმ ვინდელბანდთან. პარალლურად ესწრებოდა გამოჩენილი გერმანელი იურისტების ელინეკისა და ლაბანდის ლექციებს სახელმწიფო სამართალში.

1897 წელს ბრუნდება პეტერბურგში და ორი წლის შემდეგ წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. 1899წელს შევიდა რუსეთის ადვოკატურაში. იყო „პოლიტიკურ დამცველთა“ ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მონაწილეობდა ისტორიული მნიშვნელობის ასზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში. იგი იცავდა შეიარაღებულ აჯანყებათა და დემონსტრაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს (ბათუმის დემონსტრაციის საქმე, 1903; ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით აჯანყებულ შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა სევასტოპოლის პროცესი, 1906; პეტერბურგის პეტერბურგთა მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესი, 1906; „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმე, 1908-1909); რევოლუციონერ-ტერორისტებს (პეტერბურგის ქალაქის მმართველის გენერალ ლაუნიცის მკვლელობის საქმე, 1907; სახელმწიფო საბჭოს წევრის გრაფ იგნატიევის მკვლელობის პროცესი, 1907; ნიკოლოზ II-ის მომზადების საქმე, 1907); რევოლუციური პრესას (ბოლშევიკთა პირველი ლეგალური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციის მდივან ი. გუკოვსკის, ლ. ტოლსტოის გამომცემლების, ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტსვოს“ რედაქტორის ვ. კოროლენკოს საქმეები) და სხვა.

1917წლის აპრილს დროებითმა მთავრობამ ანდრონიკაშვილი სენატორად დანიშნა. ა. კონისთან, ნ. ტაგანცევსა და სხვა გამოჩენილ იურისტებთან ერთად იგი მონაწილეობდა სისხლის სჯულდების გადამსინჯველი საკანონმდებლო კომისიის მუშაობაში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ანდრონიკაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. კითხულობდა ახალი ფილოსოფიის კურსს ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1919-1920), სასამართლო მჭევრმეტყველებას მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში (1920-1921). 1921 წლის დამლევს იგი თბილისში დასახლდა. მის სახელთან არის დაკავშირებული უმაღლესი იურიდიული განათლების ჩასახვა და განვიტარება საქართველოში. თსუ-სა და სხვა უმარლეს სასწავლებლებში ანდრონიკაშვილი კითხულობდა სამართლის ზოგად თეორიას. სამოქალაქო სამართალს, სისხლის სამართალს და სხვა იურიდიულ დისციპლინებს. მანვე შექმნა ლექციების ორი ახალი კურსი – დანაშაულის ფსიქოლოგია და სიტყვის კულტურა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იყო თსი-ის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე (1937) და სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი.

ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში. საბჭოთა მთავრობამ იგი აშშ-ში წარგზავნა უცხოური (ჰარიმანის) კონცესიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პასუხსაგები დავალებით (1930-1931), რომელიც მან წარმატებით შეასრულა. აღსანიშნავია აგრეთვე ანდრონიკაშვილის საჯარო გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ვინ იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი?

ქართული სამართლის რაინდად წოდებულ პროფესიონალს უამრავი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის. მარტო ის რად ღირს, რომ მან თბილისის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა იურიდიულ ფაკულტეტს. საქართველოს დედაქალაქში დაბრუნებამდე კი ლუარსაბმა უდიდესი გზა განვლო, რომელიც XIX-XX საუკუნეების რუსეთსა და ცარიზმის რეპრესიებზე გადიოდა.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალევე მოახერხა პრაქტიკული საქმიანობის დაწყება. პირველი ნაბიჯები ყველაზე რთული აღმოჩნდა. ლუარსაბის პირველი პროცესი ე.წ. „კუზიანის საქმე“ გახლდათ. წარუმატებლობის შემთხვევაში კურსდამთავრებული ადვოკატი პროფესიას უნდა გამომშვიდობებოდა. ანდრონიკაშვილს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ებრაელი შინამოსამსახურის დაცვა დაევალა, რომელმაც ოჯახის უფროსი შელაპარაკების საფუძველზე დანით გამოასალმა სიცოცხლეს. გარდაცვლილის ელიტური მდგომარეობისა და საყოველთაო რუსული ანტისემიტიზმის გამო გამოუცდელ ვექილს საქმის მოგების მინიმალური შანსიც კი არ ჰქონდა, მაგრამ ანდრონიკაშვილმა სარისკო გადაწყვეტილებით მაინც სცადა წარმატების მოპოვება. სხდომის თავმჯდომარის არაერთი შენიშვნის მიუხედავად, ახალბედა იურისტმა მშვიდი, აუღელვებელი ტონით, თერთმეტჯერ ზედიზედ მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „პატივცემულო ბატონო მოსამართლე და ნაფიცო მსაჯულებო!“ გაბრაზებულმა მოსამართლემ ადვოკატის უშინაარსო გამოსვლის შეჩერება მხოლოდ ერთი გზით მოახერხა – მან უფლებადამცველს თუჯის ზარი ესროლა. ინციდენტის შემდეგ ანდრონიკაშვილმა თავისი შემაჯამებელი, გამარჯვების მომტანი სიტყვა წარმოთქვა:

“ბატონებო, მე თქვენ მოგმართეთ პატივისცემისა და თქვენი შესაფერისი წოდების შესაბამისად, ჩემი მიზანი არ ყოფილა თქვენი ან სასამართლოს შეურაცხყოფა. თქვენ ხუთითაც კი ვერ აიტანეთ ჩემი მიმართვა, რომელიც არათუ ლახავდა თქვენს სახელს, არამედ ხაზს უსვამდა მის ღრმად პატივცემულობას, ახლა კი წარმოიდგინეთ იმ ადამიანის მდგომარეობა, ვისაც ფიზიკური ნაკლის გამო გამუდმებით ამცირებდნენ...“

„კუზიანის საქმის“ შემდეგ კი დაიწყო ანდრონიკაშვილის მრავალმხრივი პოლიტიკური მოღვაწეობა. უკვე სახელმოხვეჭილი სამართალმცოდნე ვრცელი იმპერიის ყველა კუთხეში მოგზაურობდა. ლუარსაბს უწევდა აკრძალული და არალეგალურად გამოცხადებული მემარხცენე გაზეთების თანამშრომელთა დაცვა, იბრძოდა არშემდგარი ანტიცარისტული აჯანყებების მონაწილეთათვის, სიკვდილმისჯილი პატიმრების სიცოცხლისთვის. იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი იურისტი ერთპიროვნული ბრძანების საფუძველზე დათხოვნილ და დატუსაღებისათვის განწირულ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებსაც კი ეხმარებოდა რეპრესიებისაგან თავის დაღწევაში. თუმცა ყველაზე ხშირად მას დასაქმებული ადამიანების ინტერესებისთვის უწევდა ბრძოლა. კერძოდ, ანდრონიკაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული თბილისელი, ბაქოელი, რიგელი, როსტოველი და ბათუმელი მუშების სასამართლო პროცესებში, რომლებიც მეტწილად დაჩაგრული ადამიანების სასარგებლოდ მთავრდებოდა. საქართველოს ზღვისპირეთში ანდრონიკაშვილმა როტშილდების გიგანტური ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრებაც მოახერხა და მილიონერის ქარხნის ათობით თანამშრომელი მრავალწლიან პატიმრობას გადაარჩინა.

თბილისში დაბრუნებისას, პროფესორობის დროს ანდრონიკაშვილი თეატრის ხშირი სტუმარი იყო. კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელს ყველაზე მეტად პარტერში მისი გამოჩენა აღელვებდათ ხოლმე.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ფონდი 282 საარქივო საქმეს შეიცავს: 1) ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა; 2) მიმოწერა; 3) სხვადასხვა.

იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი

1874 წლის 4 ნოემბერს, ტფილისის მაზრის სოფელ ბორბალოში (ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონი) დაიბადა იოსებ (ოსიკო) ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი – ქართველი ადვოკატი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი.

1895 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, ხოლო 1900 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1905 წლიდან ეწეოდა აქტიურ საადვოკატო მოღვაწეობას. გამოდიოდა დამცველად პოლიტიკურ საქმეებზე (მაგ., არსენ ჯორჯიაშვილის საქმე, 1917). 1901 წელს იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პარტიის არსებობის მანძილზე შედიოდა მის მთავარ კომიტეტში. 1906 წელს არჩეულ იქნა რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად. სრულად იზიარებდა რა ქართველ ფედერალისტთა და პარტიის ლიდერის არჩილ ჯორჯაძის იდეას საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის შესახებ, მან ეს საკითხი დააყენა სახელმწიფო სათათბიროს წინაშე.

იმავდროულად, გამოდიოდა სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით. სათათბიროში მის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე. სათათბიროს დაშლის შემდეგ ბარათაშვილმა ხელი მოაწერა ე.წ. ვიბორგის საპროტესტო მოწოდებას, რისთვისაც სხვა ხელმომწერებთან ერთად გაასამართლეს.ბარათაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კულტურულ, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: იგი იყოქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის (აკაკი წერეთლის) მოადგილე. ამასთან, მისი პუბლიცისტური წერილები მუდმივად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში (“ივერია“, „სახალხო საქმე“ და სხვა).

1901-1917 წლებში იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1917 წელს. იმავდროულად, იგი იყო წევრი „თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოებისა“, რომლის აქტიური მხარდაჭერით 1918 წელს დაფუძნებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1917-1918 წლებში ბარათაშვილი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე მან ხელი მოაწერა“საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“. 1918 წელს იგი ასრულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოვალეობას. 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ (1921 წლის თებერვალი-მარტი) ბარათაშვილი იყო მემარჯვენე ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრი და 1924 წლის აგვისტოს ეროვნული ანტიბოლშევიკური ამბოხების დამარცხებამდე მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1923 წელს იგი დაპატიმრებულ იქნა საბჭოთა „საგანგებო კომისიის“ (ე.წ. „ჩეკა“) მიერ.

1922-1937 წლებში ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას, იყო საქართველოს დამცველთა კოლეგიის წევრი. 1923 წელს სასამართლო პროცესზე იცავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსის (ხელაიას). 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს და იმავე წელს დახვრიტეს ყოფილი“საქართველოს სსრ“-ის „შინსახკომის“ დიდი სამეულის დადგენილებით. რეაბილიტირებულ იქნა 1956 წელს.

იყო თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება, წევრი; რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო, დეპუტატი (1906-); საქართველოს დამფუძნებელი კრება, წევრი (1919-1921); საქართველოს ეროვნული საბჭო, წევრი (1917-1918); საქართველოს სოციალ–ფედერალისტთა პარტია, დამფუძნებელი, მთავარი კომიტეტის წევრი (1901-); ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, წევრი; ქართული დრამატული საზოგადოება, გამგეობის თავმჯდომარი მოადგილე.

ჯამბაკურ ბაქრაძე

ჯამბაკურ ბაქრაძე – ცნობილი ადვოკატი და სამართლის მეცნიერი, ადამიანი, რომელიც ყველას უყვარდა და რომელზეც კარგის მეტს არაფერს ამბობენ. ჯამბაკურ ბაქრაძემ ღირსეული კვალი დატოვა როგორც გამორჩეულმა ადვოკატმა, მეცნიერმა და საუკეთესო პიროვნებამ. ჯამბაკურ ბაქრაძე დაიბადა თბილისში 1929 წელს. 1947 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა მე–4 ვაჟთა სკოლა, ხოლო 1952 წელს – წარჩინებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ამის შემდეგ იწყება მისი სამეცნიერო წინსვლა და საადვოკატო საქმიანობა. 1968 წელს ჯამბაკურ ბაქრაძეს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიისა და სოციოლოგიური კვლევის ავტორი. ჯამბაკურ ბაქრაძის საადვოკატო პრაქტიკა 1953 წელს იწყება, როდესაც იგი მიიღეს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრად, ხოლო მოგვიანებით – პრეზიდიუმის წევრად. 1991 წელს ჯამბაკურ ბაქრაძე არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ადვოკატის პროფესიის განვითარებაში. კერძოდ, მნიშვნელოვანია მისი საჯარო გამოსვლები პრესასა და რადიოში. ჯამბაკურ ბაქრაძეს ახასიათებენ როგორც პრინციპულ ადამიანს, გამორჩეულს ჰუმანურობით, და რაც მთავარია, მაღალი კვალიფიკაციის იურისტს. ჯამბაკურ ბაქრაძის შესახებ მასალების ძიებისას, მის პირად საქმეში აღმოჩნდა საინტერესო მასალები, რომლებიც გვამცნობენ მისი დაჯილდოების, კარიერული სვლის, სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. საინტერესოა, მაგალითად, მისი იმდროინდელი დახასიათება (სტილი დაცულია): „ამხ. ბაქრაძეს დავალებული აქვს, როგორც იურიდიულ კონსულტაციაში, ასევე რაიკომის მიერ ლექცია–მოხსენებების ჩატარება სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებსაც იგი სისტემატურად ატარებს. 1964 წლიდან მას ჩატარებული აქვს ლექცია–მოხსენებები და კითხვა– პასუხის საღამოები, დაახლოებით 60–ჯერ. მისი ლექციები გამოირჩევა მაღალი მომზადებითა და კულტურული დონით.“ მის პირად საქმეში ასევე ინახება ინტერვიუ მისი ოჯახის წევრებთან, რომელმაც გულგრილი არ დამტოვა და მსურს გაგაცნოთ ამონარიდი, თუ როგორ იხსენებს მამას თორნიკე ბაქრაძე, ისიც ადვოკატი (ინტერვიუ ღვაწლმოსილი ადვოკატები ჯამბაკურ ბაქრაძე პროფესორი 88 დაბეჭდილია ჟურნალში „ადვოკატი და მართლმსაჯულება“ 2002 წელს): „საერთოდ, ძალიან ემოციური იყო, თუმცა ამ ემოციებს ყოველთვის კარგად ფლობდა, ძალიან იშვიათად გამოდიოდა ემოციური ტალღა მისი კონტროლიდან. გარდა ამისა, მამა იყო ის ადამიანი, რომელსაც შეეძლო ყველასათვის მოესმინა და მხოლოდ ამითაც კი კლიენტი კმაყოფილი იყო. ძალიან მკაცრიც იყო საქმეში, მაგრამ, ამ სიმკაცრის მიუხედავად, ძალიან ბევრს უყვარდა, მაშინაც როცა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა და მაშინაც, როცა სამეცნიერო საქმიანობაში იყო ჩართული. იგი იყო პირველი სოციოლოგი საქართველოში. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში აქვს არაერთი დისერტაცია და სადოქტორო ნაშრომი დაცული. ძალიან უყვარდა მუსიკა და საამისო ნიჭიც გაჩნდა, მღეროდა კიდეც ძალიან კარგად. სპორტი უყვარდა ძალიან. ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო. მახსოვს სულ მეუბნებოდა, როცა უკვე მატყობდა, რომ ადვოკატობა მინდოდა, ყოველთის უნდა იყო უკომპრომისო და, მით უმეტეს მაშინ, როცა ადამიანის ბედი და მისი ინტერესები შენს ხელთ არის. არასოდეს არ უნდა იყო ადვოკატი–მაკლერი. მისი ეს მოწოდება წითელ ხაზად გასდევდა მამის პროფესიულ საქმინობას“. ჯამბაკურ ბაქრაძე ყოველთვის, ყველა დროს ახერხებდა პროფესიული ღირსება დაეყენებინა პირველ ადგილზე.

შალვა ალექსი-მესხიშვილი

ქართველი ადვოკატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

შალვა ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 1884 წელს ქ. თელავში.

1902-1904 წლებში სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

1909 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1910 წლიდან დაიწყო საადვოკატო პრაქტიკა თბილისში. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მოგვიანებით კი პარტია დატოვა.

1918-1919 წლებში შალვა ალექსი-მესხიშვილი იუსტიციის მინისტრი იყო.

1908-1917 წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო.

1917-1918 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტს. 1919-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრი.

1921 წლის შემდეგ საადვოკატო მოღვაწეობას ეწეოდა, იყო საქართველოს დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში ორგზის იქნა დაპატიმრებული საბჭოთა რეჟიმის მიერ. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იგი ემიგრაციაში არ წასულა. მან თავი გამოიჩინა ე.წ. აჭარელთა საქმის დროს (II მსოფლიო ომის წლებში – აჭარლებმა ვითომ აჯანყება მოაწყეს და თურქებს მიემხრნენ. ამით ისარგებლეს რუსებმა და აჭარლები დაარბიეს. ამ საქმეში ბრალდებულებს შალვა ალექსი-მესხიშვილი იცავდა).

შალვა ალექსი-მესხიშვილი 1960 წელს გარდაიცვალა.

იგი ასე აღწერს თავის ბიოგრაფიას (ამონარიდი): „დავიბადე ქ.თელავში1884 წელს, 26 აპრილს ძველი სტილით. მშობლები იყვნენ ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი, მაშინ მასწავლებელი, შემდეგ სახალხო მსახიობი ლადო მეხიშვილი და დედა ნინო დიმიტრის ასული, გათხოვებამდე გვარათ ნასიზე. მშობლები ჩამომავლობით იყვნენ აზნაურები. ოჯახის შემოსავალს შეადგენდა მამას ხელფასი, ხოლო როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ-დედის ხელფასი,როგორც მკერავის.

ვსწავლობდი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც გავათავე 1902 წელს და რადგან იგი უფლებას არ იძლეოდა იმავე გაზაფხულზედ გამოცდები ჩავაბარე მესამე გიმნაზიაში, როგორც ექსტერმა.

1902 წლის შემოდგომაზედ შევედი ნოვოროსიის უნივერსიტეტში ქ. ოდესაში ჯერ ბუნების მეტყველების და შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზედ. რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, იძულებული ვიყავი თავი დამენებებინა სწავლისათვის და შემოდგომაზედ გადავედი ხარკოვის უნივერსიტეტში, რომლის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე 1909 წელს. 1910 წლიდან დავიწყე მუშაობა, როგორც ნაფიცი ვექილის თანაშემწემ და მას შემდეგ დღემდის ჩემი პროფესიას შეადგენს დამცველობა. 1921 წლიდან ყოველგვარ პარტიულ მუშაობას დავანებე თავი, 1922 წელს თებერვალში დაპატიმრებული ვიყავი იზოლაციის წესით საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ. გამანთავისუფლეს აგვისტოში. 1923 წელს თებერვალში დამაპატიმრა ა/კ საგანგებო კომისიამ. გამანთავისუფლეს დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. ამის შემდეგ არავიტარი რეპრესიები არ გამიცდია. ადვოკატურაში ვმუშაობ 1910 წელს თებერვლიდან. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დამცველთა ინსტიტუტის დაარსებიდან ვმუშაობდი დამცველთა კოლეგიის, შემდეგ ადვოკატთა კოლეგიის წევრათ“.

მოვლენათა ქრონიკა 2005–2015

- 2001 წელს ძალაში შესული საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ შესაბამისად დაიწყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბების პროცესი;

- 2005 წლის 27 თებერვალს ჩატარდა და 2005 წლის 11–12 მარტს გაგრძელდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო 904 უფლებამოსილი პირი. თუმცა, ეს მცდელობა არ დამთავრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საბოლოო ფორმირებით;

- 2006 წლის 21 იანვრის ბოლოსთვის ადვოკატთა ასოციაცია ფორმალურად ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი ასოციაცია, რომელიც უფლებამოსილია გასცეს ლიცენზია და აწარმოოს დისციპლინური დევნა, უზრუნველყოს განგრძობადი სწავლება ადვოკატებისათვის;

- 2006 წლის აპრილში მიღებულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი და დისციპლინური დევნის დებულება;

- 2006 წლის მაისში „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ“ ჩაატარა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

- ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად არის ჩართული, პროფესიული უფლებების დაცვის და შენების, სოციალურ და კულტურულ პროექტებში;

- აფართოვებს პარტნიორთა და მეგობართა წრეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ;

- მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში და დისკუსიებში;

- პოსტსაბჭოთა ქვეყნების ადვოკატები გამოცდილების გაზიარების და ქართული მოდელის თავიანთ ქვეყანაში დანერგვის მიზნით აქტიურად თანამშრომლობენ ქართველ კოლეგებთან;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მოახერხა მაღალ დონეზე ასულიყო ქართველი ადვოკატების ეთიკური და პროფესიული სტანდარტები;

- მონაწილეობს მართლმსაჯულების, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმის პროცესში;

- ქართველი ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროპის და ამერიკის სამართლის სკოლების თეორიული და პრაქტიკული განათლება და უნარ–ჩვევები;

- შეიქმნა ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, რომელიც ორგანიზებას უწევს სავალდებულო ტრენინგებს და სემინარებს. ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს და ატარებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოების საბჭოს (CCBE) და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA) წევრი;

- მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპენსიო ასაკის მქონე წევრებზე (მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა საპენსიო ასაკი განისაზღვრება 60 წლიდან, მამრობითი-65). საწევრო შეღავათის გავრცელების შესახებ. ასევე, რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებს გაუნახევრდათ საწევრო გადასახადი;

- ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობები შეიცვალა ახალი პლასტიკური ბარათებით, რომელზეც დატანილია დამცავი შტრიხ კოდი;

- ქუთაისში, ბათუმში და თელავში ადვოკატებისთვის გაიხსნა რეგიონული წარმომადგენლობები, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე საოფისე ტექნიკით და ბიბლიოთეკით;

- ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2012 წელს დამტკიცებული განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე ამოქმედდა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის სავალდებულო გახდა საგანმანათლებლო კრედიტ–საათების დაგროვება;

- შეიქმნა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, კომერციული სამართლის, სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომიტეტები. აგრეთვე, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია;

- შეიქმნა სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭო, რომელიც არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სათათბირო ორგანო, იგი შეიმუშავებს საგანმანათლებლო სტრატეგიას, პროფესიაში მიღებისა და განგრძობადი იურიდიული განათლების სტანდარტებს, წესებს და განსაზღვრავს სასწავლო ცენტრის საქმიანობის მიმართულებებს;

- ევროსაბჭოს დაფინანსებით შეიქმნა ადვოკატთა რეესტრის საძიებო სისტემა და კეის–მენეჯმენტის სპეციალური პროგრამა;

- ადვოკატის პროფესიის მარეგულირებელ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავდა რამოდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. ჯგუფი შედგებოდა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრებისგან;

- საქართველოს და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია ერთობლივი სამართლებრივი კვლევების წარმართვა, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ერთობლივი პროგრამების განხორციელება;

- გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბიბლიოთეკა, რომლის ძირითადი ბენეფიციარები ადვოკატები, სტაჟიორები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობის (UOHCHR) მხარდაჭერით, საქართველოში ჩატარდა კვლევა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში სასწავლო საჭიროებების შესახებ,“ რომლის შედეგად გამოიკვეთა ადვოკატთა თეორიული ცოდნის კონკრეტული ხარვეზები, რომლებზედაც თავად გამოკითხული ადვოკატები უთითებდნენ კვლევის პროცესში. დაისახა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული გზები და საშუალებები;

- შეიქმნა ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი, რომლს მიზანია ადვოკატების სოციალური დაცვის ხელშეწყობა, სოციალური დაცვის გაუმჯობესება; სოციალური დაცვის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება;

- ყოველკვარტალურად გამოდის პროფესიული ჟურნალი „ადვოკატი“;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და საქართველოს პროკურატურას შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში ხელი მოეწერა ადვოკატთა და პროკურორთა ეთიკურ სტანდარტებს;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ბელორუსიის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. რაც გულისხმობს საინფორმაციო–ანალიტიკური, მეთოდური და კვლევით საქმიანობას, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შემუშავებას. გაიმართება ორმხრივი შეხვედრები და თემატური სემინარები;

- შექმნა ასოციაციაში რეგისტრირებული იურიდიული ფირმების ელექტრონული კატალოგი;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი ზაზა ხატიაშვილი და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ირაკლი ყანდაშვილი და დავით ასათიანი საგანგებო ვიზიტით ერაყში, ქალაქ ბაღდათში იმყოფებოდნენ. ვიზიტი ერაყის ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციურ მხარდაჭერას და წარმატებული ქართული მოდელის ერაყის ადვოკატთა ასოციაციის მაგალითზე დანერგვას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ერაყში მიმდინარე რთული საბრძოლო მდგომარეობისა

და არსებული დაძაბული ფონისა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია მაინც გაემგზავრა ერაყელი კოლეგების მხარდასაჭერად და ქართული გამოცდილების გასაზიარებლად. კონფერენციის ფარგლებში, ქართულმა დელეგაციამ ერაყელ კოლეგებს გაუზიარა ასოციაციის ინსტიტუციური განვითარების გამოცდილება, გააცნო განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, ასოციაციის რეგიონული ოფისების მუშაობის სისტემა და იურიდიული პროფესიის როლი მართლმსაჯულების სისტემაში. ვიზიტი დსრულდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ორმხრივი მემორანდუმის გაფორმებით. ვიზიტი დაიგეგმა და განხორციელდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს/ USAID -ს პროგრამა „სამართლის ხელმისაწვდომობის“ ორგანიზებით და მხარდაჭერით;

- აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში. ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს-CCBE-ის ეგიდით, დავით ასათიანმა ადვოკატთა დამოუკიდებლობის და პროფესიული ეთიკის თემაზე ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, მან აზერბაიჯანელ კოლეგებს ქართველი ადვოკატების გამოცდილება და ამ მიმართულებით განხორციელებული წარმატებული პროექტები გააცნო. მხარეები შეთანხმდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ადვოკატთა კორპუსის შემდგომ თანამშრომლობასა და ამ პროცესის CCBE-ის მხრიდან მხარდაჭერასთან დაკავშირებით;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. პოლონეთში ქ. გდანსკში ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პლენარული სესია გაიმართა, რომელიც ლეგენდარულმა ლეხ ვალენსამ და ევროპის ადვოკატთა ასოციაციების სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტმა მარია სლაზაკმა გახსნეს. ქალბატონმა მარია სლაზაკმა გამოსვლისას განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის როლი ადვოკატის პროფესიის განვითარებაში, რაც არის უდიდესი მიღწევა ჩვენი პროფესიის განვითარებისათვის. საზეიმო ვითარებაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. შეთანხმების მემორანდუმს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა, ქალბატონმა მარია სლაზაკმა და პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ მოაწერეს ხელი;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უკრაინის ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა უკრაინის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ვალენტინ გვოზდი მიიღო. შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

სტუმარი ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობით, მიღწევებით, სამომავლო გეგმებით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციცია, ითვლება წარმატებულ პროფესიულ გაერთიანებად და მისთვის მნიშვნელოვანია, იმ პრაქტიკის და გამოცდილების გაცნობა რასაც ქართველი კოლეგები ახორციელებენ. ზაზა ხატიაშვილმა სტუმარს ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში განხორციელებული პროექტების და საქმიანობის შესახებ;

- თბილისში გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) მხარდაჭერით მრგვალი მაგიდა გაიმართა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, სომხეთისა და გერმანიის ფედერალურ ადვოკატთა პალატებს შორის გამოცდილების გასაზიარებლად მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრა გახსნეს და პრობლემურ საკითხებზე პრეზენტაციები წარმოადგინეს, გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის ვიცე-პრეზიდენტმა, დოქტორმა ჰანს -ულრიჰ ვესელსმა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა, სამხრეთ კავკასიის პროექტების ხელმძღვანელიმა (IRZ) ტერეზა ტალჰამერმა. გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის აღმასრულებელი დირექტორმა ვერონიკა ჰორერმა. მრგვალი მაგიდის ფორმატში ადვოკატებმა იმსჯელეს: ადვოკატურის თვითმმართველობა გერმანიაში – გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატისა და საერთო კრების ორგანიზაციული მოწყობა და ფუნქციები, ადვოკატურის თვითმმართველობა გერმანიაში – ადვოკატთა რეგიონალური პალატების მოწყობა და ფუნქციები, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ამოსავალი მდგომარეობა და სამართლებრივი ჩარჩო-პირობები, ადვოკატურის სიტუაცია და აქტუალური გამოწვევები, სომხეთის ადვოკატთა პალატის ამოსავალი მდგომარეობა და სამართლებრივი ჩარჩო-პირობები, ადვოკატურის სიტუაცია და აქტუალური გამოწვევები;

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის ინიციატივით შექმნილმა საკონსულტაციო ჯგუფმა მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშიბით საკუთარი კანონპროექტი შეიმუშავა. იურისტები დაცვის მხარისთვის უფლებების გაზრდას ითხოვენ. პროექტის მიხედვით ადვოკატის უფლებვამოსიელბა 20-ზე მეტ მუხლშია გაწერილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების დოკუმენტი ადვოკატებს ზაზა ხატიაშვილმა გააცნო. შეხვედრას ესწრებოდა დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, რომელმაც, ხატიაშვილის ინფორმაციით, შესაძლოა კანონპროექტის პარლამეტნში ინიცირება მოახდინოს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში ადვოკატთა უფლებების დაცვის მიმართულებით 2015 წელი

2015 წლის განმავლობაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ, რომელიც ამავდროულად არის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, განხორციელდა ინტენსიური ხასიათის ღონისძიებები, რომელიც მიმართული იყო ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტებთან მიმართებაში მყისიერი რეაგირების განხორციელებისაკენ.

აღნიშნული მიმართულებით გატარებული იქნა შემდეგი ღონისძიებები:

ადვოკატთა უფლებების დარღვევის თითეული ფაქტი შესწავლილი იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ და განხორციელდა შესაბამისი სახის რეაგირება, კერძოდ:

• 2015 წლის 8 ნოემბერს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატს გიორგი მდინარაძეს პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. შედეგად, ადვოკატს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, რაც ასახულია იქნა მედია სივრცეში გავრცელებულ მასალაში. დაზიანებების დეტალური აღნერა ასევე გამოქვეყნებული იქნა სახალხო დამცველის ოფისის მიერ. როგორც თავად ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ განაცხადა ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა იგი პოლიციის უფროსის კაბინეტში სასტიკად სცემეს. მაშინ როდესაც, ადვოკატი ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს–იცავდა თავის დაცვის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანს, დუმილის უფლების გამოყენება ურჩია. ფაქტებით დასტურდება, რომ ადვოკატის ცემაში ასევე მონაწილეობდა პოლიციის უფროსი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით 2015 წლის 9 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა ადვოკატებსა და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებს შორის. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ზაზა ხატიაშვილის მიერ მთავრობისთვის სამოქმედოდ მიცემული 48 საათის გასვლის შემდეგ, შედგებოდა ადვოკატთა საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც ზაზა ხატიაშვილი უხელმძღვანელებდა და დაიწყებოდა ადვოკატთა შიმშილობის აქციები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მთავარი მოთხოვნა აღნიშნულ რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით მდგომარეობდა შემდეგში–ზაზა ხატიაშვილმა მოითხოვა დანაშაულის ჩამდენი პირები დასჯილიყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემით.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით 2015 წლის 10 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და ადვოკატი გიორგი მდინარაძე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარს ნილს მუიჟნეკს შეხვდნენ. შეხვედრაზე ნილს მუიჟნეკსი დეტალურად გაეცნო ადვოკატ გიორგი მდინარაძის პოლიციის განყოფილებაში ცემის ფაქტს და განაცხადა, რომ ადვოკატის ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევის შესახებ საქართველოს მთავრობის წევრებთან იმსჯელებდა.

მ/წ 12 ნოემბერს შედგა შეხვედრა საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე და თბილისის პროკურორი მიხეილ შაყულაშვილი ადვოკატ გიორგი მდინარაძეს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ზაზა ხატი-

აშვილს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანს დავით ასათიანს შორის.

შეხვედრის თემა ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ პოლიციის განყოფილებაში განხორციელებული ძალადობის ფაქტი იყო. ირაკლი შოთაძემ და მიხეილ შაყულაშვილმა ადვოკატებს მიაწოდეს ინფორმაცია საქმეზე მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. კერძოდ,ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, თბილისის პროკურატურაში პოლიციის ცალკეული თანაშრომლების მიმართ გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით იქნა დაკვალიფიცირებული. დაკითხული იქნა დაზარალებული და სხვა პირები მათ შორის პოლიციის თანამშრომლები, დანიშნული იქნა ასევე ექსპერტიზები. მთავარ პროკურატურის წარმომადგებლებმა განაცხადეს, რომ გამოძიება სწრაფად და ეფექტურტად მიმდინარეობდა და დანაშაულში მონაწილე პირები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებებოდნენ.

მ/წ 12 ნოემბერს გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით შეხვედრა შედგა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილს, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილს, ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანს დავით ასათიანს და ადვოკატ გიორგი მდინარაძეს შორის. შეხვედრაზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში ამა წლის 8 ნოემბერს მომხდარ შემთხვევაზე ისაუბრეს. გიორგი მღებრიშვილმა შეშფეთება გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და ადვოკატებს აღუთქვა, რომ ყურადღებით მიადევნებს თვალს პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების პროცესს და თუ პოლიციელების მხრიდან კანონდარღვევის ფაქტები დადასტურდება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ექნება მყისიერი და ადეკვატური რეაგირება.

საქართველოს პროკურატურის 2015 წლის 13 ნოემბრის ოფიციალური განცხადების თანახმად საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი ლაშა კვირკვაია, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ჩადენილს ძალადობით. ლ. კვირკვაიას სასამართლომ შეუფარდა წინასწარი პატიმრობა 2 თვის ვადით.

• 2015 წლის 2 აპრილს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს განცხადებით მომართა ადვოკატმა გიორგი მარიამიძემ. განცხადებაში ასახული ინფორმაციის თანახმად, ადვოკატ გიორგი მარიამიძის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, მის მიმართ მოქალაქე მაკა შარვაძის მხრიდან განხორციელდა სიცოცხლის მოსპობის მუქარა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მიმართა ქ. თბილისის პროკურორს–მიხეილ შაყულაშვილს შესაბამისი რეაგირების განხორციელების მოთხოვნით, ეფექტური გამოძიების ჩატარების, საეარაუდო კანონდარღვევის ჩამდენი პირთა გამოვლენის მიზნით, მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების და იმ პირთა კანონის სრული სიმკაცრით დასჯის მიზნით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადვოკატ გიორგი მარიამიძის პროფესიული საქმიანობაში მიუღებელი ჩარევისა და მის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის განხორციელებაში. ზაზა ხატიაშვილმა ასევე მიმართა ქ. თბილისის პროკურორს შუამდგომლობით უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ ადვოკატ გიორგი მარიამიძის უსაფრთხოების დაცვა, სათანადო ღონისძიებათა გატარების გზით.

• 2015 წლის 20 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ განახორციელა შესაბამისი სახის რეაგირება ადვოკატ ფრიდონ სიხუაშვილის, ბოლნისის რაიონული სამმართველოს გამომძიებლის მიერ ადვოკატის მოწმის სახით დასაკითხად დაბარების ფაქტთან დაკავშირებით, იმ გარემოებების თაობაზე, რომელიც ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში გახდა ცნობილი. მოცემულ საქმეზე ზაზა ხატიაშვილმა მიმართა ბოლნისის რაიონის პროკურორს დავით კოჭლამაზაშვილს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ განხორციელებული მიმართვის ფარგლებში სამართალდამცავ სტურუქტურებს განემარტა, რომ ადვოკატის მოწმის სახით დასაკითხად დაბარაება, იმ საქმეზე, რა საქმეზეც ადვოკატი ახორციელებდა საადვოკატო უფლებამოსილებას, წარმოადგენს ადვოკატის საქმიანობის პროცესში უხეშ და არასათანადო ჩარევას. ზაზა ხატიაშვილის მხრიდან განხორციელებული შესაბამისი რეაგირების შედეგად, ადვოკატი მოწმის სახით არ იქნა დაკითხული.

• 2015 წლის 22 მაისს საქართველოს ფინანსურმა პოლიციამ მოწმის სახით დაკითხვაზე დაიბარა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი როინ მიგრიაული,. ადვოკატი როინ მიგრიაული დაიბარეს მოწმის სახით დასაკითხად იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ადვოკატისთვის საადვოკატო მომსახურების განხორციელების პროცესში გახდა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა განუმარტა გამომძიებელს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადვოკატს არ ეკისრება მოწმის ვალდებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ზაზა ხატიაშვილმა საჯაროდ მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, იმ მიზნით, რომ სასწრაფოდ განხორციელებულიყო რეაგირება ადვოკატების მოწმედ დაბარების ფაქტებთან დაკავშირებით იმ საქმეებზე, რა დროსაც ადვოკატები პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით გრძელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით ადვოკატთა იძულება მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების საწინააღმდეგოდ ჩვენებების მიცემა, რაც წარმოადგენს „ადვოკატის როლის შესახებ“ გაერო-ს ძირითადი პრინციპების მე-16 მუხლის დაღვევას, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს ადვოკატების მიერ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვის და არასათანადო ჩარევის გარეშე. ყოველივე ზემოთაღნიშნული ცყადყოფს, რომ ადვოკატ როინ მიგრიაულის დაბარება მოწმის სახით დასაკითხად, იმ საქმეზე, რა საქმეზეც ადვოკატი საადვოკატო უფლებამოსილებას ახორციელებდა, ფინანსური პოლიციის მხრიდან, ადვოკატის საქმიანობის პროცესში არასათანადო ჩარევას წარმოადგენს.

• 2015 წლის 20 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი ბესარიონ ბოჭორიშვილი, მის მიერ 2015 წლის 14 მაისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეტანილი განცხადებასთან დაკავშირებით, მოწმის სახით დაკითხვის მიზნით დაბარებული იქნა ქ. ახალციხის სამცხე –ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარდებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ზაზა ხატიაშვილმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და ევროპის ადვოკატთა ასოციეციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტს მარია სლაზაკს, ადვოკატის, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირთან გაიგივების, მისი დაკითხვის საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების დროს დაუშვებლობის თაობაზე, რაც წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობისათვის ხელის შეშლის ფაქტს. მიმართვის ფარგლებში ზაზა ხატიაშვილმა მოითხოვა სამცხე–ჯავახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია სსკ–ს 333-ე მუხლის 1 ნაწილით, სსკ–ს 50 მუხლის უხეში დარღვევის ფაქტზე. ზაზა ხატიაშვილის მხრიდან განხორციელებული შესაბამისი რეაგირების შედეგად ადვოკატი მოწმის სახით არ იქნა დაკითხული.

• 2015 წლის 24 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს განცხადებით მომართა ადვოკატმა მერი ცინარიძემ. წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა,რომ, 2015 წლის 19 ივნისს ადვოკატი მასზე დაკისრებული პროფესიული მოვალეობების შესრულების მიზნით იმყოფებოდა ქობულეთის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა

ქობულეთის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა. 2015 წლის ივლისის თვეში ზაზა ხატიაშვილმა ოფიციალურად მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ადვოკატის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშორომელთა მხრიდან განხორციელებული მუქარის და შეურაცხყოფის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიების ჩატარების, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, სსკ–ს 333 მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

• 2015 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადვოკატი ონისე მარგიანი დაბარებული იქნა მოწმის სახით დაკითხვის მიზნით, რის თაობაზეც 2015 წლის 28 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ მიმართა მთავარ პროკურორს და მოითხოვა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი სახის რეაგირების განხორციელება. ზაზა ხატიაშვილის მხრიდან განხორციელებული შესაბამისი რეაგირების შედეგად ადვოკატი მოწმის სახით არ იქნა დაკითხული.

• 2015 წლის 23 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ კვლავ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ადვოკატ რომეო საჯაიას, ირაკლი ზაქარეიშვილის, ნონა კირთაძის, ნუგზარ სამარჯიშვილის, გიორგი მარიამიძის დევნის ფაქტებთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიების ჩატარებისა და დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე.

• 2015 წლის 5 ივნისს ზაზა ხატიაშვილმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ადვოკატ მამუკა ნოზაძის ინსტიტუციონალური დევნის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირების განხორციელების მოთხოვნით.

• 2015 წლის ივლისის თვეში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა ადვოკატ დიანა მარტიაშვილის მიმართ განხორციელებული დევნის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

• 2015 წელს ადვოკატი მზია თომაშვილი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სტატუსით, რის თაობაზეც ეცნობა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტს. აღსანიშნავია, რომ მზია თომაშვილის საქმესთან დაკავშირებული ყველა სასამართლო პროცესს პირადად ესწრებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი. სასამართლომ მზია თომაშვილის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

• ადვოკატებთან მიმართებაში განხორციელებული მასობრივი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით 2015 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ადვოკატთა უფლებების დაცვის მიზნით, მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ეთხოვა საქართველოში ადვოკატთა უფლებების დარღვევისა და დევნის ფაქტებთან დაკავშირებით საპარლამენტო, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. ზაზა ხატიაშვილის მიერ შეშფოთება გამოხატული იქნა ადვოკატთა საგამოძიებო ორგანოებში დაკითხვის მიზნით მასობრივი დაბარების ფაქტთან დაკავშირებით, იმ საქმეებთან მიმართებაში, რომელშიც ადვოკატები ჩართულნი იყნვნენ წარმომადგენლის სტატუსით, მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობისა, რომლის თანახმად არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც დამცველი ან წარმომადგენელი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ადვოკატთა დევნის გახშირებული შემთხვევებს გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო დონზეც, კერძოდ 2015 წლის 22 მაისს ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საბჭოს (CCBE) პრეზიდენტმა მარია სლაზაკმა ოფიციალურად მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და წარმომადგენლობებს. მომართვაში CCBE

პრეზიდენტმა კვლავ გაუსვა ხაზი საქართველოში ადვოკატთა დევნის ფაქტებზე და ყურადღება გაამახვილა ადვოკატთა დევნის ახალ შემთხვევებზე, კერძოდ ადვოკატ ნუგზარ სამარჯიშვილის და მზია თომაშვილის საქმეებთან მიმართებაშიც.

მიმართვა გადაეგზავნა მეზობლობისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალურ დირექტორს, ბატონ კრისტიან დანიელსონს, ევროგაერთიანების დელეგაციის ხელმძღვანელს საქართველოში ელჩს-იანოს ჰერმანს, ლატვიის პრემიერ მინისტრს , ევროსაბჭოს კომისარს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნილს მიუჟნიეკს, იუსტიციისა და მომხმარებლების გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს–ქალბატონ პარასკევი მიშუს, ევროკავშირის-სომხეთის, ევროკავშირის-აზერბაიჯანისა და ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტების დელეგაციის თავმჯდომარეს, ევროპარლამენტი, მეზობლობისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორს აღმოსავლეთის მეზობლობა- გერჰარდ შუმან-ჰიტზლერს, ჰერბერტ ზალბერს, ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს კრიზის საკითხებში, ფრედერიკა მოგერინს – ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

CCBE–მ შეშფოთება გამოთქვა შემდეგ საქმეებთან დაკავშირებით, რომელშიც ადვოკატების დევნის ფაქტებია ასახული, კერძოდ ადვოკატი რომეო საჯაიას, ადვოკატი ნონა კირთაძის, ადვოკატი დიმიტრი გაბუნიას, ადვოკატი გოგა ონიანის, ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილის, ადვოკატი ნუგზარ სამარჯიშვილის, ადვოკატი მზია თომაშვილის საქმეები.

ზემოთხსენებულ წერილებში ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საბჭოს CCBE პრეზიდენტმა საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა თხოვნით, რათა ამ უკანასკნელებს მიემართათ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისადმი და მოეთხოვათ ინფორმაციის წარმოდგენა, ადვოკატთა დევნის საქმეებთან დაკავშირებით. CCBE ასევე მოითხოვა გატარებულ იქნას ყველა აუცილებელი ზომა იმ მიზნით, რომ მომავალში, თავიდან იქნეს აცილებული ადვოკატთა წინააღმდეგ ძალადობა და უზრუნველყოფილი იქნას ქართველი ადვოკატების შესაძლებლობა, საკუთარი პროფესიული უფლება-მოვალეობები განახორციელონ ყოველგვარი დაშინების, ხელშეშლის, დევნის ან არასათანადო ჩარევის გარეშე.

ნიშანდობლივია, რომ 2014 წელს, CCBE-მ ორი წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ მინისტრსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომლებშიც საბჭო გამოთქვამდა სერიოზულ შეშფოთებას იმ საქმეების თაობაზე, რომლებშიც ადგილი ჰქონდა ადვოკატებზე ძალადობას, მათ დაშინებას, პროფესიულ დაბრკოლებასა და დევნას, საქართველოს სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ, საკუთარი კლიენტებისათვის, იურიდიული მომსახურებების გაწევის განმავლობაში.

ზემოთხსენებულ წერილებში, CCBE-მ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს მოსთხოვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმეების გამოძიება და ადვოკატთა წინააღმდეგ, დევნასა და ძალადობაში დამნაშავეების დასჯა. ზემოაღნიშნულის დამატებით, CCBE-მ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს მიმართა თხოვნით, მიეღოთ ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ მომავალში, თავიდან ყოფილიყო აცილებული ყოველგვარი დევნა ადვოკატთა წინააღმდეგ და უზრუნველყოფილი ყოფილიყო ქართველი ადვოკატების შესაძლებლობა, თავისუფლად, ყოველგვარი დაშინების გარეშე, განეხორციელებინათ მათზე დაკისრებული თითოეული პროფესიული მოვალეობა, დაშინების, დაბრკოლების, დევნის ან არასათანადო ჩარევის გარეშე, სახელმწიფოების ვალდებულებების შესაბამისად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შეუძლებელია ანგარიშში ასახულ იქნას ყველა ის ვიზიტები და შეხვედრები, რაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ გაატარა ადვოკატთა უფლებების დაცვის კუთხით. 2015 წელს თავმჯდომარემ მოახერხა მრავალი შეხვედრის ჩატარება, რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ მოთხოვნა, მიღებულ ყოფილიყო შესაბამისი ზომები რათა აღარ მომხდარიყო ზეწოლა და დევნა ადვოკატთა კორპუსზე.

ევროკომისია
ქალბატონი ფრედერიკა მოგერინი
ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის
უმაღლესი წარმომადგენელი.
Rue de la Loi N.200, 1049 ბრიუსელი.

ელ. ფოსტა: Federica.Mogherini@ec.europa.eu
stefano.manservisi@ec.europa.eu

promoting law & justice - European lawyers - CCBE - pour le droit & la justice - Les avocats européens

La Présidente
The President

ბრიუსელი, 2015 წლის 22 მაისი.

ძვირფასო ქალბატონო მოგერინი,

მოგმართავთ ევროპის ადვოკატთა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) სახელით, რომელიც წარმოადგენს 32 წევრი ქვეყნისა და დამატებით 13 ასოცირებული და დამკვირვებელი ქვეყნის ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებებს, რომლებიც მოიცავს 1 მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს.

1960 წელს, მისი დაფუძნების დღიდან, CCBE მუდამ მოწინავე ორგანიზაციას წარმოადგენდა ევროპელი ადვოკატების მოსაზრებების წარმოჩენის თვალსაზრისით. ორგანიზაცია ხელს უწყობს მოქალაქეთა უფლებების დაცვასა და იცავს იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება დემოკრატია და კანონის უზენაესობა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, CCBE ახორციელებდა საქართველოში, სამართლებრივი პროფესიის ზედმიწევნით დეტალურ მონიტორინგს, განსაკუთრებით, 2010 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საბჭომ შეიტყო დიდი რაოდენობის დაკავებული ადვოკატებისა და იმ დევნის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ადვოკატთა წინააღმდეგ. CCBE განუწყვეტლივ შუამდგომლობდა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდასჭერად, რომელიც წარმოადგენს CCBE-ს დამკვირვებელ წევრს და აგრეთვე, უზრუნველყოფდა საკუთარი შეშფოთების შეტყობინებას საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ადვოკატების მდგომარეობა გარკვეული თვალსაზრისით გაუმჯობესდა მაშინ, როდესაც ადვოკატების უმრავლესობა განთავისუფლებული იქნა პატიმრობიდან, CCBE კვლავ შეშფოთებულია არსებული მდგომარეობით.

2014 წელს, CCBE-მ ორი წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ მინისტრსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომლებშიც საბჭო გამოთქვამდა სერიოზულ შეშფოთებას იმ საქმეების თაობაზე, რომლებშიც ადგილი ჰქონდა ადვოკატებზე ძალადობას, მათ დაშინებას, პროფესიულ დაბრკოლებასა და დევნას, საქართველოს სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ, საკუთარი კლიენტებისათვის, იურიდიული მომსახურებების გაწევის განმავლობაში:

(1) 2014 წლის 18 თებერვლით დათარიღებულ საკუთარ წერილში, CCBE შეშფოთებას გამოთქვამს შემდეგ საქმეებთან დაკავშირებით:

• ადვოკატი რომეო საჯაია, რომლის წინააღმდეგაც, პროკურორის მხრიდან, ადგილი ჰქონდა ვერბალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, საპროცესო მოქმედების განხორციელების მიზნით, ადვოკატის პროკურატურაში გამოცხადებისას;

• ადვოკატი ნონა კირთაძე, რომლის წინააღმდეგაც, ადგილი ჰქონდა ვერბალურ შეურაცხყოფას სასამართლოს შენობაში, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან, მაშინ, როდესაც აღნიშნული ადვოკატი გორის რაიონულ სასამართლოში გამოცხადდა, საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. შემოსავლების სამსახურის ხსენებულმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა აგრეთვე სცადა ნონა კირთაძისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაც, თუმცა, ის შეჩერებული იქნა სხვა დამსწრეებისა და სასამართლოს დაცვის პირის მიერ;

• ადვოკატი დიმიტრი გაბუნია, რომლის წინააღმდეგაც, სახელმწიფო თანამდებობის პირის მხრიდან, ადგილი ჰქონდა მუქარას, რომელმაც ანონიმურად ჩაიწერა ორივე მხარის ადვოკატთა შეხვედრა რომელიც არსებული დავის გადაწყვეტის მიზნით მიმდინარეობდა და აღნიშნულის შემდგომ, ზემოთხსენებული ჩანაწერი გადასცა მესამე მხარეს (ერთერთი ადვოკატი იყო დიმიტრი გაბუნია); და

• ადვოკატი გოგა ონიანი, რომელიც, საკუთარ ოჯახის წევრებთან ერთად, განიცდიდა ზეწოლას, სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან და რომელსაც პროკურორმა ხელი შეუშალა, მისი კლიენტის საქმის წარმომადგენლობაში.

(2) 2014 წლის 3 ივნისით დათარიღებულ საკუთარ წერილში, CCBE განსაკუთრებით უსვავდა ხაზს ქვემოთ მითითებულ საქმეებს:

• ადვოკატი გიორგი ონიანი, რომელსაც გამომძიებლებმა არ მისცეს საშუალება, კონფიდენციალური საუბარი ჰქონოდა საკუთარ კლიენტთან; და

• ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი, რომელსაც თავს დაესხა მოქალაქე, მიაყენა მას ვერბალური შეურაცხყოფა და სახეში რამდენჯერმე შეაფურთხა. მოქალაქემ განაცხადა, რომ ადვოკატი იმსახურებდა შეფურთებას, ადვოკატს დაემუქრა მის წინააღმდეგ დაწყებული ქმედებების ბოლომდე მიყვანითა და ფიზიკური ანგარიშსწორებით იმ ფაქტის გამო, რომ ირაკლი ზაქარეიშვილი იცავდა ერთ კონკრეტულ პირს.

ზემოთხსენებულ წერილებში, CCBE-მ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს მოსთხოვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმეების გამოძიება და ადვოკატთა წინააღმდეგ, დევნასა და ძალადობაში დამნაშავეების დასჯა. ზემოაღნიშნულის დამატებით, CCBE-მ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს მიმართა თხოვნით, მიეღოთ ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ მომავალში, თავიდან ყოფილიყო აცილებული ყოველგვარი დევნა ადვოკატთა წინააღმდეგ და უზრუნველყოფილი ყოფილიყო ქართველი ადვოკატების შესაძლებლობა, თავისუფლად, ყოველგვარი დაშინების გარეშე, განეხორციელებინათ მათზე დაკისრებული თითოეული პროფესიული მოვალეობა, დაშინების, დაბრკოლების, დევნის ან არასათანადო ჩარევის გარეშე, სახელმწიფოების ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია „ადვოკატთა როლის შესახებ“ გაერთიანებული ერების ძირითად პრინციპებში (1990) და 2000 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული, „ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ“ ევროსაბჭოს რეკომენდაციაში.

CCBE-ს არავითარი პასუხი არ მიუღია გასულ წელს გაგზავნილ საკუთარ წერილებზე, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. 2015 წლის იანვრის თვეში, CCBE-მ ხელახლა გაუგზავნა ზემოთხსენებული წერილები საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და მოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოქმედებები განხორციელდა აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის კუთხით. დღევანდელი მდგომარეობით, CCBE-ს არც ზემოაღნიშნულ წერილზე მიუღია პასუხი.

შედარებით უახლოეს წარსულში, კიდევ ერთი საქმე წარედგინა CCBE-ს. საქმე ეხება ადვოკატ-ნუგზარ სამარჯიშვილს, რომელიც დაკავებული იქნა ქალაქ ახალციხეში, 2014 წლის 2 აგვისტოს, „სამართალდამცავისათვის წინააღმდეგობის გაწევის, მის წინააღმდეგ მუქარის ან ძალადობის გამოყენების“ ბრალდებით. ადვოკატი აწარმოებდა (საკუთარი მობილური ტელეფონის გამოყენებით), პოლიციის ოფიცრების მიერ მოქალაქეზე თავდასხმის ფაქტს. ახალციხის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ჩამოართვა ადვოკატს მობილური ტელეფონი და მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. საქმე გადაეცა სასამართლოს, რომელმაც ადვოკატი ნუგზარ სამარჯიშვილი უდანაშაულოდ ცნო გამომდინარე იქიდან, რომ არც ერთი წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა ადვოკატის მიერ, ზემოთ მითითებული სამართალდარღვევის ჩადენას. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ-ზაზა ხატიაშვილმა მიმართა საქართველოს

მთავარ პროკურორს და მოითხოვა ადვოკატის, ნუგზარ სამარჯიშვილის უკანონო დაპატიმრების ფაქტის გამოძიება. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დღევანდელი მდგომარეობით, ცხადია, რომ პროკურატურას არ დაუწყია გამოძიება ზემოთხსენებულ საქმესთან დაკავშირებით. ჩვენ აგრეთვე გვაცნობეს სხვა საქმის შესახებაც, რომელიც აღძრული იქნა ადვოკატისმზია თომაშვილის წინააღმდეგ და რომელიც ცხადად წარმოაჩენს ადვოკატთა სუსტ, არამყარ პოზიციას, მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. CCBE ამჟამად იმყოფება ზემოთხსენებული უახლესი საქმეების დეტალების შესწავლის პროცესში.

ზემოთხსენებულის გათვალისწინებითა და უახლესი საქმის გათვალისწინებით, რომელიც ასახავს იმ საერთო კლიმატს, რომლის ფარგლებშიც, ადვოკატები ახორციელებენ საკუთარ პროფესიას საქართველოში, CCBE კვლავ უკიდურესად შეშფოთებული რჩება, საქართველოში არსებული მდგომარეობით, იურიდიული პროფესიის კუთხით.

სწორედ ამ მიზეზით, CCBE გთხოვთ, მიმართოთ საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს და მოსთხოვოთ ინფორმაციის წარმოდგენა, ზემოთხსენებულ საქმეებთან დაკავშირებით. CCBE აგრეთვე გთხოვთ მოუწოდოთ მათ რათა გატარებულ იქნას ყველა აუცილებელი ზომა იმ მიზნით, რომ მომავალში, თავიდან იქნეს აცილებული ადვოკატთა წინააღმდეგ ძალადობა და უზრუნველყოფილი იქნას ქართველი ადვოკატების შესაძლებლობა, საკუთარი პროფესიული უფლება–მოვალეობები განახორციელონ ყოველგვარი დაშინების, ხელშეშლის, დევნის ან არასათანადო ჩარევის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სახის მხარდაჭერა დაგჭირდებათ ჩემი მხრიდან, ზემოთხსენებული საკითხის გადასაჭრელად, გთხოვთ, დაუყოვნებლივ დამიკავშირდეთ.

მადლობას მოგახსენებთ, ჩვენი შეშფოთების მხედველობაში მიღებისთვის.

პატივისცემით,

მარია სლაზაკი
პრეზიდენტი

დანართები:
CCBE-ს 2014 წლის 18 თებერვლით დათარიღებული წერილი;
CCBE-ს 2014 წლის 3 ივნისით დათარიღებული წერილი.

ევროპელ ადვოკატთა საბჭო –ევროპის ადვოკატებისა და სამართლებრივი საზოგადოებების საბჭო
არაკომერციული საერთაშორისო საზოგადოება – RPM ბრიუსელი 0.467.250.186
ჟოზეფ II-ის ქუჩა, 40 – 1000 ბრიუსელი – ბელგია – ტელეფონის ნომერი:.+32 (0)2 234 65 10 – ფაქსის ნომერი:.+32 (0)2 234 65 11/12 – ელ.ფოსტა: ccbe@ccbe.eu – www.ccbe.eu.

ანგარიში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ 2015 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ

2014 წლის 10 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სისხლის სამართლის კომიტეტის დებულებაში შევიდა რიგი ცვლილებები, კერძოდ კომიტეტის წევრთა რაოდენობა 12-დან 15-მდე გაიზარდა, რომელთაგან არაუმეტეს 3 წევრის შერჩევას ახორციელებს კომიტეტის თავმჯდომარე აღმასრულებელი საბჭოს წევრთაგან, მისი უფლებამოსილების ვადით, ხოლო 11 წევრს ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან კომიტეტის თავმჯდომარე შეარჩევს ღია კონკურსის წესით. ამავდროულად წევრთა უფლებამოსილების ვადა 1 წლიდან 2 წლამდე ვადით გაიზარდა. ცვლილებები შეეხო აგრეთვე კომიტეტის სხდომათა გამართვის სიხშირესა და სხდომის დღის წესრიგში ცვლილებათა შეტანის წესს, არსებული რეგულაციის თანახმად სისხლის სამართლის კომიტეტის სხდომები იმართება თვეში ერთხელ, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარე, აგრეთვე, კომიტეტის შემადგენლობის 1/3 უფლებამოსილია დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადებას სხდომის დაწყებამდე. დებულების ახალი რედაქციის მიხედვით კომიტეტის სხდომაზე, დამსწრე წევრთა ან წევრის მოთხოვნით დგება ოქმი, რომლსაც ადგენს კოორდინატორი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრთა არჩევნები ჩატარებული იქნა 2014 წლის მარტში და კომიტეტის წევრებად, ღია კონკურსის გზით არჩეული იქნენ შემდეგი ადვოკატები: ზურაბ როსტიაშვილი თავმჯდომარე, დათუნა მოდებაძე (თანათავმჯდომარე), გიორგი თევზაძე (თანათავმჯდომარე),ირმა ჭკადუა (თანათავმჯდომარე), ჩოფიკაშვილი არჩილი, სადრაძე თამარი, მსხილაძე ლილი, ქარცივაძე ბესიკი, ჩინჩალაძე რამაზი, ჩხაიძე ელგუჯა, ჩიქოვანი მერაბი, გოლუბიანი ლაშა, მოსიაშვილი გაგი, ჩივაძე გელა.

სისხლის სამართლის კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული პრობლემების შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, სახელმწიფოში სისხლის სამართლის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა შემდგომი შეფასების მიზნით, ისევე, როგორც სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესწავლა-გამოვლენა და არსებული მდგომარეობის ანალიზი, კომიტეტში შემავალი კომისიების მიერ შესაბამისი დასკვნებისა და სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე ადვოკატების ნამუშევრების ყოველწლიური კრებულის გამოსაცემად მასალების მომზადება, შესაბამისი მიმართვების, წერილების და სხვა დოკუმენტების მომზადება სახელმწიფო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენად. გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც დღეისათვის არსებობს სისხლის სამართალში როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის თვალსაზრისით, რომლებიც ცნობილია როგორც იურისტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის; სისხლის სამართლის კომიტეტის საქმიანობის ძირითადი საგანია იმ საკვანძო საკითხების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის პროცესში დაცვისა და ბრალდების მხარეთა თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციებსა და

ამოცანებს, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის თაობაზე საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო ნორმებთან, წინასასამართლო სხდომას და სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის თავისებურებებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი იმ ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც შეეხება სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, სასჯელის დანიშვნას დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს, დანაშაულის ამსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობას, სასჯელის შეჯამების წესს და ა.შ.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის საქმეთა კომიტეტში ჩამოყალიბდა შემდეგი კონკრეტული მიმართულებები:

1. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც წარდგენილი იქნება ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების წინაშე. ამ ამოცანის შესასრულებლად კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა 2 სამუშაო ჯგუფი, რომელიც სისხლის სამართლის ზოგად ნაწილზე და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული პრობლემატური საკითხებზე მუშაობს.

2. მოხსენებების წაკითხვა და დისკუსიების გამართვა სისხლის სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე.

3. სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა, რაც გამოიხატება კომიტეტისათვის წარდგენილი სისხლის სამართლის იმგვარი საქმეების შესწავლაში, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების დაინტერესების საგანს და გააჩნიათ მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და ზოგადად სამართლის განვითარების თვალსაზრისით.

4. დაგეგმილია სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატების საუკეთესო ნამუშევრების გამოქვეყნება ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალში და მათი გამოცემა.

5. მონაწილეობის მიღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების შემმუშავებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ ჩატარებული იქნა შემდეგი სამუშაო:

კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა ცვლილებათა პაკეტი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნულ ცვლილებებზე მუშაობა მიმდინარეობდა მ/წ განმავლობაში და გახდა ფართო მსჯელობის საგანი. კერძოდ კომიტეტის მიერ მომზადებულ იქნა მოსაზრებები და შენიშვნები 2015 წელს დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. ცვლილებები ეხება ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, სასჯელთა სახეებს, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნას, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულს,გამოხატვის თავისუფლების ხელყოფას, ეკონომიკურ დანაშაულებს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინაღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ნარკოტიკულ დანაშაულს, კიბერდანაშაულს, სახელმწიფოს, საერთაშორისო და ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, სასამართლო ხელისუფლების და სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმო, კერძოდ, ფართო მსჯელობის საგანი გახდა ნარკოტიკული დანაშაული, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების საკითხები.

ვინაიდან კომიტეტის ერთი წევრის ადგილი ჯერ კიდევ ვაკანტური იყო, 2015 წელს კომიტეტის ახალ წევრად ღია კონკურსის გზით არჩეულ იქნა ადვოკატი ბელა ბა-

შარაძე, ხოლო კომიტეტის წევრობა შეუწყდა ქ-ნ ლილი მსხილაძეს, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე იქნა გამწესებული.

2015 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში სისხლის სამართლის კომიტეტმა აქტიურად განაგრძო მუშაობა სისხლის სამართლის სფეროში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისა, როგორიცაა ადვოკატის უფლებებთან დაკავშირებული გარანტიები, რაც საერთაშორისო სტანდარტებით არის აღიარებული და განმტკიცებული.

კომიტეტის წევრებმა წარადგინეს მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას ისახავდა მიზნად.

მაგალითად, სისხლის სამართლის კომიტეტის წევრმა, სამართლის დოქტორმა ქ-მა თამარ სადრაძემ კომიტეტის წევრებს წარუდგინა საპროცესო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელმაც კომიტეტის წევრთა უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა და არაერთი სხდომის განმავლობაში განხილვის შედეგად, კომიტეტმა შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებას, რაც ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ურთიერთობის კონფიდენციალობის პრინციპს განამტკიცებს, შედეგად აიკრძალება ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვის დაწესება, რომელიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადო განხორციელებას, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში რაიმე სახით ჩარევას, მათი კომუნიკაციის შედეგად შედგენილი დოკუმენტის რაიმე ფორმით გაცნობას, როგორც სამართალდამცავ ორგანოებში, ისე სასჯელაღსრულების დაქვემდებარებაში შემავალ დაწესებულებებში.

კონფიდენციალურობის პრინციპი ასევე შეეხება პირის ბრალდებულად ცნობამდე ურთიერთობას მის შესაძლო ადვოკატთან. კანონპროექტის თანახმად ბრალდებულსა და მსჯავრდებულს მიენიჭება უფლება შეუზღუდავი დროითა და რაოდენობით შეხვდეს ადვოკატს.

წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად სსსკ-ს 84-ე მუხლი (დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება) უნდა აღდგეს იგივე რედაქციით.

ადვოკატის უფლება-მოვალეობები დეტალურად იქნა გაწერილი 44-ე მუხლის ახალ რედაქციაში, რომელიც მთელ რიგ სიახლეებს ითვალისწინებს კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილება აყალიბებს, რომ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია, განმტკიცდა ის პრინციპი, რომ არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ ან გამოიკითხოს იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი), ან განახორციელა რჩევის მიცემა ან კონსულტაცია, ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება ან/და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა – ხელშეუხებელი, დაუშვებელია ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ურთიერთობაში რაიმე ფორმით ჩარევა, მათი კომუნიკაციის შედეგად შედგენილი დოკუმენტის რაიმე ფორმით გაცნობა როგორც სამართალდამცავ ორგანოებში, ისე სასჯელაღსრულების დაქვემდებარებაში შემავალ დაწესებულებებში , ადვოკატის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დაუშვებელია და ისჯება კანონით.

წარმოდგენილი ნოვაციის თანახმად, ადვოკატს მიენიჭება უფლება მონაწილეობა მიიღოს დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს, მოითხოვოს ოქმში იმ მონაცემების შეტანა, რომლებიც უარყოფს ბრალდებას ან ამსუბუქებს ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობას, ადვოკატს მიენიჭება უფლება მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულისათვის ბრალდების წაყენებაში და მის დაკითხვებში, ადვოკატს მიენიჭება უფლება შეკრიბოს დაცვისათვის საჭირო მონაცემები და ისინი მტკიცებულებათა სახით წარუდგინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო

ორგანოებიდან დოკუმენტი, ინფორმაცია თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება ყველა სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ადვოკატის მოცემული მოთხოვნა, გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებანი.

ხოლო, ბრალდების მხარე ვალდებული იქნება საქმეში ადვოკატის ჩართვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ადვოკატს შეუთანხმდეს გონივრულ ვადაზე საგამოძიებო ორგანოში გამოსაცხადებლად და ადვოკატის მისვლამდე დაუყოვნებლივ შეაჩეროს ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ წარმოებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად დაუშვებელი გახდება ადვოკატის პირადი ჩხრეკა, მისი ბინის, სამუშაო ადგილის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩხრეკა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მომზადება მიმართული იყო სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის გაძლიერებისაკენ, სამართალწარმოების გაუმჯობესებისკენ .

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კომიტეტის რეკომენდაციები ითვალისწინებს სსსკ-ში სპეციალური წესების შემუშავებას, რაც შექმნის გარანტიებს ადვოკატის ან საადვოკატო ოფისის მიმართ საგამოძიებო მოქმედების და სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს ადვოკატის/საადვოკატო ოფისის მიმართ ჩატარებული ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაშიც, ფარული მოქმედებების მსგავსად დადგინდეს კონკრეტული, შემზღუდავი წესების დანერგვას.

დაცვის მხარეს, ბრალდების მხარის მსგავსად მიეცემა უფლება სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება. ასეთი ცვლილება დაადგენს, რომ დაცვის მხარეს უნდა მიენიჭოს უფლება ბრალდების მხარის მსგავსად მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც ამოღების რეგულაციას არ ექვემდებარება.

კომიტეტის მიერ შემუშავებული ცვლილებების თანახმად სსსკ-ს 111 მუხლის 1 ნაწილში და 120-ე მუხლის 10 ნაწილში რეკომენდებულია შევიდეს ცვლილება და დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და სასამართლოს განაჩენით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება მიენიჭოს დაცვის მხარეს.

ასევე, საგამოძიებო მოქმედების უშუალოდ ჩატარების უფლება უნდა დაუბრუნდეს დაცვის მხარეს, როგორც ეს ხორციელდებოდა დათვალიერების შემთხვევაში 2014 წლის 1 სექტემბერს ძალაში შესულ ნოვაციამდე.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კომიტეტის რეკომენდაციებს შორის ადგილი ჰპოვა ადვოკატის დაცვის სისხლისსამართლებრივმა გარანტიებმაც, კერძოდ, ცვლილებების მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ უნდა იქნას ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის ნაწილის დამატებას, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევის საკითხს, ასევე გათვალისწინებული იქნება დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით მუქარისა და ძალადობის განხორციელების შემთხვევებიც. ამავდროულად კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილება ითვალისწინებს სსსკ-ს 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის მთლიანად კოდექსიდან ამოღებას.

2015 წელს სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტთან დაკავშირებითაც.

სისხლის სამართლის სფეროში მრავლად არსებული, რთული პრობლემების შესწავლა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება დღეისათვის კვლავაც წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის მნიშვნელოვან ამოცანას, რის თაობაზეც დაგეგმილია მუშაობის გაგრძელება მომავალშიც.

კახა ასლანიშვილი: მქონდა ამბიცია, საქართველოში ძლიერი ადვოკატთა კორპუსი ჩამოყალიბებულიყო

ბატონო კახა, თქვენ ასოციაციის პირველი თავმჯდომარე ბრძანდებით, გვიამბეთ ასოციაციის დაფუძნების შესახებ, რა პერიპეტიების გადალახვა მოგიწიათ, რათა ასოციაციას თავისი მიზნების და ფუნქციების განხორციელება დაეწყო?

2004 წელს დადგა ფაქტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია დაფუძნებულიყო. იმისათვის, რომ პროფესიული გაერთიანების ლეგიტიმაცია მომხდარიყო, უნდა არჩეულიყო ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია. იმ დროს, როდესაც კანონზე მიდიოდა მუშაობა, მეც ვიყავი ჩართული, დადგა საკითხი, უნდა ყოფილიყო ერთი ასოციაცია, თუ შექმნილიყო რამოდენიმე. შემდეგ ჩაითვალა, რომ ადვოკატების ერთიან ასოციაციაში გაერთიანება არ ზღუდავდა პროფესიის თავისუფლებას და გადაწყდა შექმნილიყო ერთიანი, ეროვნული ასოციაცია. იმის გამო, რომ სერტიფიცირებული ადვოკატები არ არსებობდნენ, საერთო კრების მოწვევა ვერ ხერხდებოდა. თუ იუსტიციის მაშინდელი საბჭო გამოცდას არ ჩაატარებდა, ვერ შედგებოდა ის კორპუსი, რომელიც შემდგომ თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს და ეთიკის კომისიას აირჩევდა. აქედან გამომდინარე, 2005 წელს, რამდენიმე ტესტირების შედეგად შედგა ადვოკატების სათანადო რაოდენობა. მახსოვს, 912 კაცი იყო, ვინც მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელ კერებაში.

რა უძღოდა ამას, როგორ ვითარდებოდა პროცესი?

საქართველოში, ყველა ხელისუფლების დროს, იყო მცდელობა, რომ ეს კორპუსი პოლიტიკური მიზნებისთვის ყოფილიყო გამოყენებული. ჩემი თავმჯდომარეობის დროსაც იყო მცდელობა. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ასოციაცია არ ყოფილიყო პოლიტიკური პარტიების მიერ მართული და ადვოკატთა ასოციაციის მთავარი ამოცანა ყოველთვის იქნება პროფესიული ნეიტრალიტეტის შენაჩუნება. აქედან გამომდინარე, ის საფრთხეები, რომლებიც შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში არსებობდა, დღეს, კიდევ უფრო მეტად არსებობს. სწორედ ამ საფრთხეებმა განაპირობა ის დაპირისპირება და ბატალიები, რაც ასოციაციის შექმნას ახლდა. მთავარი იყო, რომ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებას თავმჯდომარედ, აღმასრულებელ საბჭოში და ეთიკის კომისიაში აერჩია ის პირები, რომლებიც ადვოკატთა პროფესიაზე იზრუნებდნენ და არა რომელიმე პოლი-

ტიკურ ძალებთან გარიგების მისაღწევად იბრძოლებდნენ.

საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილება, როცა ერთიანი ასოციაციის სასარგებლოდ იქნა მიღებული, შემდეგ უკვე, რეფორმატორთა გუნდს აღარ აწყობდა ეს, თუ მათთვის მისაღები პირი არ გახდებოდა თავმჯდომარე. შემდგომ, ამან კრების გადადება გამოიწვია. 2004 წელს გადაწყდა კრების ჩატარება და რამდენჯერმე გადავადდა. თუმცა, ეს პროცესი 2005 წელს საერთო კრების მოწვევით დამთავრდა. მაგრამ იმის გამო, რომ მოხდა ჩემი არჩევა, კრება ჩაიშალა და ფაქტი ფაქტად შედგა, დაარსდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. თუმცა, აღმასრულებელი საბჭოს არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა, ეს იყო საბოტაჟი, რომელსაც ჩვენი კოლეგები აწყობდნენ და ცდილობდნენ საერთოდ დაშლილიყო ასოციაცია და გამოცხადებულიყო არშემდგარად. რატომ? იმიტომ, რომ აღმასრულებელი საბჭო ვერ აირჩა და თავმჯდომარე ვერ განახორციელებდა უფლებამოსილებას, რადგან ასოციაციის საქმიანობისთვის და გადაწყვეტილებების მისაღებად აღმასრულებელი საბჭოს არსებობა აუცილებელი იყო. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავმჯდომარე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ განახორციელებდა. აქედან გამომდინარე, ყველაფერი იყო დამოკიდებული ჩემს ნებისყოფაზე, იმიტომ, რომ ამის გაძლება წელიწადის მანძილზე, როცა რამდენიმე სარჩელი იქნა შეტანილი სასამართლოში ძალიან რთულია და ვფიქრობ ეს მნიშვნელოვანია, როცა 10 წელი გავიდა და ჩვენმა კოლეგებმა უნდა იცოდნენ, თუ რის შედეგად შეიქმნა ასოციაცია. მინდა ჩავახედო დეტალებში, მოხდა კრების საბოტაჟი, თითქოს ჩანაწერი კანონში, რომელიც განსაზღვრავდა აღმასრულებელ საბჭოში წევრთა არჩევის წესს, იყო ბუნდოვანი, იქ ეწერა, რომ კანდიდატს უნდა მიეღო კრებაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობა და ,,უმრავლესობის„ განმარტება მოხდა ისე, თითქოს 9 წევრისგან ასარჩევ პირებს, თითოეულ წევრს უნდა მიეღო დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტი, რაც იდეურად გამორიცხულია. ამ პრინციპით, ვერასდროს აირჩევა საბჭო. შემდგომ, ასოციაციას საფრთხე რომ არ შექმნოდა, კანონმდებელმა განახორციელა ცვლილება კანონში და ,,უმრავლობის„ ნაცვლად ,,უმეტესობა„ ჩაიწერა, რაც ნიშნავდა, იმას, რომ ვინც მეტ ხმას მიიღებდა ის ჩაითვლებოდა არჩეულად.

ამგვარად, ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, აირჩა აღმასრულებელი საბჭო, შედგა ორი ფაქტი – თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭო. მივადექით ეთიკის კომისიას, რომელიც ავირჩიეთ. მოხდა ისე, რომ ჩვენმა კოლეგებმა კოლექტიური სარჩელით გაასაჩივრეს ჩემი არჩევა, თუმცა საფუძველი იყო გაუგებარი, ასოციაციის შედგომის ფაქტს ასაჩივრებდნენ. მახსოვს, ყველაზე მძიმე დარტყმა მივიღეთ, ეს იყო მოსამართლე, ძალიან მინდა იცოდეს მან, რომ მე ეს არასდროს დამავიწყდება, მისი სახელია ნუნუ შავერდაშვილი, რომელმაც უფლებამოსილება შემიჩერა, თითქოს ამით მე რამე დარტყმას მაყენებდა. ამ დროს, ერთადერთი უფლებამოსილი პირი იყო თავმჯდომარე. მერე მიხვდნენ და დამიტოვეს მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლება, რათა შემდგომში, შეიტანდნენ სარჩელებს, მე, როგორც დამარცხებულს, გაწვალებულს წამიყვანდნენ და ჩემს გადადგომაზე მოვუწერდი ხელს, რაც, თავისთავად არაფერს ნიშნავდა. თუმცა, ჩემი გადადგომით, ასოციაცია ლიკვიდაციას განიცდიდა. ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი. ისინი ფიქრობნენ, რომ მე დავუბრუნდებოდი ჩემს საქმიანობას და ჩვენ დავბრუნდებოდით ძველ რეჟიმში, როცა იუსტიციის საბჭო განაგებდა ყველაფერს და მრავალი ასოციაციის იდეა აქტუალური გახდებოდა.

როდესაც ხელისუფლებისთვის სასურველი პირი არ იქნა არჩეული, იყო მცდელობა იმისა, რომ თავმჯდომარე თავისი ნებით უნდა გადამდგარიყო. საბოლოო ჯამში მიხვდნენ, რომ ამის გამკეთებელი არ ვიყავი. მე არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, თითქონ ჩვენი კოლეგები რაიმე საფრთხეს წარმოადგენდნენ, მათ უკან კონკრეტული პიროვნებები იდგნენ. აქედან გამომდინარე, ეს იყო წმინდა პოლიტიკური პროცესი და ისინი ფიქრობდნენ, რომ სასამართლოში ერთ–ერთი სარჩელი მაინც გაამართლებდა.

რა ტიპის სარჩელები იყო ეს?

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიჩივლა, რატომ? იმიტომ, რომ დამატებითი მიზნები ჰქონდა, რომლებიც ასოციაციის საქმიანობასთან იკვეთებოდნენ. ასეთი მასშტაბური ასოციაციის შექმნაში წინააღმდეგობას ხედავდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მონოპოლიას კარგავდნენ და ასეც მოხდა. თავისთავად ცხადა, რომ ცდილობდნენ ყველა საშუალებით ასოციაციის თავმჯდომარის იმიჯი შელახათ. ამბობდნენ, რომ მე ვიყავი მიხეილ საკაშვილის ადვოკატი, ,,გაღმა შეედავე გამოღმა შეგრჩება„ პრინციპით მებრძოდნენ.

ამ მანევრების წყალობით გაიწელა ასოციაციის შექმნის და ფუნქციონირების პროცესი. მინდა მკითხველმა იცოდეს, მაშინ ადმინისტრაციული კოლეგია ცალკე არსებობდა, მოსამართლის გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფის ღონისძიებით, ფაქტობრივად ჩანასახშივე მოისპო ასოციაციის სწრაფი და ეფექტური საქმიანობის დაწყების იდეა. ეს გააკეთა მოსამართლე ნუნუ შავერდაშვილმა. შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი და თქვეს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ კანონით„, რომელიც ერთიან ასოციაციაში ადვოკატთა გაერთიანებას ითვალისწინებდა, თავისუფალი განვითარების უფლებას ეწინააღმდეგებაო, რაც ცხადია აბსურდი იყო. აქ, მინდა, პოზიტიური რაკურსით გავიხსენო, ბესარიონ ზოიძის გადაწყვეტილება. მან გამოიკვლია დასავლეთის ყველა ქვეყნის პრაქტიკა და მივიდა დასკვნამდე, რომ პროფესიულ გაერთიანებაში სავალდებულო წესით გაწევრიანება პიროვნების განვითარების თავისუფლებას არანაირად არ ზღუდავს (გადაწყვეტილება შეგიძლიათ იხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე).

შემდგომში ამით არ დამთავრებულა, საკონსტიტუციო სასამართლოში განცდილი მარცხის გამო, კიდევ შეიტანეს სარჩელი და შემდგომში ჩვენი წევრი და მაშინდელი მოსამართლე გიორგი გვენეტაძე, შეგვიძლია ამ ასოციაციის ფუნდამენტად წარმოვაჩინოთ, რომ არა ამ კაცის პატიოსნება, რომელიც ყველაფერს კარგად მიხვდა, უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და საბოლოო ჯამში, საზოგადოების ის ფრთა, რომელიც ასოციაციის შექმნას ებრძოდა, გაჩერდნენ და მიხვდნენ, რომ უკეთესი გზა იქნება კრებაზე ეყარათ კენჭი.

ამგვარად, ასოციაციის ფორმირება დასრულდა 2006 წელს, მაგრამ შემდგომ დაიწყო რაც დაიწყო. ძალიან დიდი პერიპეტიებით მიმდინარეობდა ეთიკის კომისიის არჩევა. წლების შემდეგ, როდესაც მოვლენათა გადაფასება ხდება, მინდა აღვნიშნო ჩემი თანამოაზრეების პრინციპულობის შესახებ, რომ არა ისინი, გამიჭირდებოდა ბრძოლა, გამოვყოფ დავით ასათიანს, დავით ლანჩავას. მიუხედავად იმისა, რომ მათ საადვოკატო საქმიანობა არ შეუწყვეტიათ, ღამეებს ათენებდნენ ჩემთან ერთად. ვმუშაობდით კანონში ცვლილებებზე, ეთიკის კოდექსზე, დისციპლინური წარმოების დებულებაზე. ეთიკის კოდექსის გარეშე, ეთიკის კომისია ვერ დაიწყებდა ფუნქციონირებას. მახსოვს, კრებაზე პროექტის პირველი წარდგინება, რასაც დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. საქართველოში ეს დიდი ნოვაცია იყო. კრებაზე იყო შეძახილები ,,როგორ შეძლება ყალბი მოწმე ვერ დავკითხო„, იყო ბრალდება ჩემს მიმართ, რომ მე მინდოდა განმეხორციელებინა მართვა და ხელისუფლების ხელში იარაღად იქცეოდა ასოციაცია.

ჩვენ ვიყავით ცაიტნოტში. არავის ეგონა, რომ კრებაზე ეთიკის კომისიის რეგულაციების დამტკიცება მოხდებოდა. იყო მცდელობა, რომ ადვოკატთა კრება გამოყენებლი ყოფილიყო საიმისოდ, რომ რომელიმე კერძო ჯგუფის ინტერესი განხორციელებულიყო. მე არ ვიქნები მართალი, არ ვუთხრა კოლეგებს, რომლებიც ეხლა წვერიანდებიან ასოციაციაში, ან მომავალში აპირებენ ამ პროფესიის არჩევას. ისტორია უნდა იყოს სუფთა და ნამდვილი. არასოდეს არ მდომებია ისეთი სამსახური, სადაც ვერ ვიტყვი იმას რასაც ვფიქრობ. ერთი რამ ცხადია, გარკვეული ჯგუფების ინტერესების გამო, ფერხდებოდა ასოციაციის ფუნქციონირება. ამას ვერ ხვდებოდნენ? ეს გამორიცხულია, მათი სარჩელების დაკმაყოფილება ასოციაციის დაშლას გამოიწვევდა. ყველაზე მთავარი რაც უნდა დარჩეს ასოციაციას, არის ნუნუ შავერდაშილის გადაწყვეტილება. ამ დამსახურების გამო, რაიონიდან თბილისში გადმოიყვანეს მოსამართლედ. აქ,

ასოციაციის შექმნის იდეის გადარჩენა იყო მთავარი. არანაირი სურვილი არ მქონდა ასოციაციის თავმჯდომარე მრქმოდა, ეს გამოჩნდა კიდეც, როცა ყველა ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო წავედი კიდეც. თუმცა, ნამდვილად მქონდა ის ამბიცია, რომ საქართველოში ძლიერი ადვოკატთა კორპუსი ჩამოყალიბებულიყო.

ადვოკატთა ასოციაციის შესახებ რას იტყვით დღეს?

მინდა ვთქვა, რასაც ვუყურებ მეამაყება, ამ ინსტიტუტისთვის დარტყმას, დღეს, ვერცერთი ხელისუფალი ვერასდროს ვეღარ გაბედავს. გაბედავს და სახელისუფლებო და პოლიტიკურ კარიერას დაამთავრებს. ასოციაცია სწორი განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა მძლავრ ინსტიტუტად. ჩვენი წევრებიდან დღეს, არავინ უღალატებს ასოციაციას.

იმ შემთხვევაში, თუ ისინი პოლიტიკურ კარიერას აირჩევენ, ასოციაციას არ დაუწყებენ ბრძოლა, ეს არ მოხდება. ობიექტურად შეიძლება ასე გამოუვიდეთ, მაგრამ მათი მიზანი ეს არ იქნება.

საქართველოში დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მოდელის განხორციელება დაიწყო. ფაქტობრივად, ადვოკატთა ასოციაცია, კვებას პოლიტიკურ ელიტას, რაც კარგი მოვლენაა. ძველი ბერძნების ფილოსოფიას თუ დავესესხებით, სწორედ იურისტები უნდა მონაწილეობდნენ სახელმწიფო მშენებლობაში. ჩვენი ასოციაცია, პარლამენტისთვის, დიდი მოკავშირე და საყრდენი უნდა გახდეს კანონშემოქმედებით პროცესში მიტომ, რომ არავის არ შეიძლება ჰქონდეს მეტი ექსპერტიზა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, ვიდრე ადვოკატს აქვს და ამ პროცესის სწორად წარმართვა უდიდესი საქმეა.

თქვენი ანალიზი?

ყველა ორგანიზაციას დროის მოთხოვნათა შესაბამისად სჭირდება განვითარება და ზოგჯერ დროს უნდა უსწრებდეს წინ. ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო განვითარდება და ასოციაციასთან თანამშრომლობა ყველასთვის მინიშვნელოვანი იქნება. ის, რაც 10 წელიწადში გაკეთდა, დიდი მიღწევაა. მე სხვა პროროფესია არ მქონია და ვერც წავალ სხვაგან, შინაგანად წარმოუდგენელია სხვა როლში შესვლა. მე რასაც ვისურვებდი, მინდა კოლეგებს ახსოვდეთ, როგორც არ უნდა პოზიციურ ან ინტერესობრივ წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ერთმანეთთან ან ასოციაციასთან ან, თავიანთი კლიენტებიდან გამომდინარე გაჩედენილ წინააღმდეგობას მიყვებოდნენ, ახსოვდეთ, რომ მათი საზრუნავი ნებიესმიერი მოქმედების განხორციელებისას, ასოციაცია არის ყველას საზრუნავი სახლი. არასოდეს არ უნდა შეგვრცხვეს აქ მოსვალა. უნდა გაითვალისწინონ ის, თუ რა გავლენას მოახდენს ასოციაციაზე თავიანთი ქმედება. ჩვენი უნარები არ გამოვიყენოთ ერთმანეთის და ასოციაციის საწინააღმდეგოდ. შენი ქმედებით ინსტიტუტის ფუნქცია არ უნდა დააკნინო, გავუფრთხილდეთ ასოციაციას.

ავწონ-დავწონოთ ჩვენი საქციელი. ნებისმიერმა ქმედებამ, რომელიც მიმართული იქნება ასოციაციის როლის დაკნინებისკენ, შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ასოციაციის განვითარებას. ეხლა სჭირდება მას დახმარება. ჩვენი ინტერესის დასაკმაყოფილებლად არ უნდა დავარტყათ ასოციაციას. თითოეული წევრისგან ასოციაციის მიმართ უნდა ხორციელდებოდეს კონტრიბუცია, განსაკუთრებით მმართველი ორგანოებიდან. დასავლეთში აზრად არავის მოუვა კენჭი იყაროს, თუ მას არ შეუძლია თავისი დროის ნაწილი დაუთმოს ასოციაციის განვითარებას. ამბიცია, რომ ვიღაცას რაღაცა ერქვას, ამით აკნინებს ასოციაციის ფუნქციას. ჩემი სურვილი ცნობიერების შეცვლა იქნება, აუცილებლად დადგება ეს დრო.

ვულოცავ კოლეგებს დიდი ბრძოლის შედეგად მოპოვებული პროფესიული გაერთიანების 10 წლისთავს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველობის სფეროში მოქმედი ინსტიტუტი დაარსდა, 2009 წელს, საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ და ადვოკატთა ასოციაციის წესდების შესაბამისად. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2012 წელს, დამტკიცებული განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე, პირველად საქართველოში, ამოქმედდა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის სავალდებულო გახდა ყოველწლიურად, საგანმანათლებლო კრედიტ-საათების დაგროვება. 2012 წლიდან, დღემდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ყოველ წელს, ორგანიზებას უწევს 300/400 საგანმანათლებლო ღონისძიებას.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მისიაა, „ვასწავლოთ და გავუზიაროთ გამოცდილება, ადვოკატებს და დაინტერესებულ პირებს უწყვეტად და ხარისხიანად“, ხოლო მიზანი – „უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის, სპეციალიზებულ, პროფესიული იურიდიული სწავლების შესაძლებლობა მოქმედი და მომავალი ადვოკატებისთვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის“.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად ცენტრი:

- შეიმუშავებს სასწავლო ცენტრის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას;

- ყოველწლიურად, ორგანიზებას უწევს საგანამანათლებლო ღონისძიებებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის;

- განგრძობადი იურიდიული განათლების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობისთვის შეიმუშავებს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს;

- ერთობლივი საგანამანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო/ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან;

- სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით, ყოველწლიურად განსაზღვრავს ადვოკატთა ტრენინგ საჭიროებებს;

• საგანამანათლებლო ღონისძიებებისთვის შეიმუშავებს დამოუკიდებელ სასწავლო პროგრამებს, სასწავლო მოდულებს და ლიტერატურას;

• ახორციელებს სხვა პროვაიდერების მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, შემოთავაზებული, აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიებების მონიტორინგს;

• ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს;

• ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებს;

ასრულებს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.

2015 წელს მიღწეული შედეგები

საგანმანათლებლო ღონისძიებები

2015 წლის განმავლობაში, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ადვოკატებისთვის ჩატარდა 374 საგანმანათლებლო ღონისძიება, 82 სხვადასხვა თემაზე:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პროცედურები და პრაქტიკა
3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი
4. ადამიანის უფლებებათა ევროპული კონვენციის და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შედასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება
5. ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის ასპექტებზე
6. ადვოკატთა პროფესიული ეთიკა
7. ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში
8. ადმინისტრაციული საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში
9. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება
10. არბიტრაჟი
11. აღკვეთი ღონისძიებები
12. ბიზნეს სამართლის სიმპოზიუმი
13. ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში
14. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება
15. გაეროსა და ევროპის საბჭოს საზედამხედველო ორგანოებში ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ განაცხადის მიღების კრიტერიუმები
16. დისკრიმინაცია გენდერულ საფუძველზე
17. ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართლაწარმოებაში
18. ვინდიკაციური და კონდიქციური სარჩელები
19. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი
20. ინტელექტუალური საკუთრების უფლების აღსრულება
21. კომპანიის დირექტორების და პარტნიორების გამჭოლი პასუხისმგებლობა
22. კონკურენციის სამართალი
23. კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებები სამოქალაქო კოდექსის მიხედვით
24. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი
25. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება
26. მტკიცებითი პროცესის პრობლემური საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში
27. მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში
28. მტკიცებულებათა მოპოვება დაცვის მხარის მიერ
29. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა და ინსტრუქციები
30. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები
31. ოჯახში ძალადობის აღკვეთის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები
32. პარტნიორთა შეთანხმებებისა და დირექტორთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი, ფინანსური და საგადასახადო ასპექტები
33. პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა
34. რელაციის მეთოდი

35. როგორ მივმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს
36. საავტორო უფლებები
37. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოვის საშუალება და მისი სამართლებრივი რეგულირება
38. საერთაშორისო ბიზნეს ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე
39. საერთაშორისო დავები
40. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მოლაპარაკება/დადება და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი საერთაშორისო ბიზნეს დავების გადაწყვეტა
41. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა
42. სამეწარმეო სამართალი
43. სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები
44. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში
45. საოჯახო მემკვიდრეობითი სამართალი
46. საპროცესო შეთანხმება
47. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ტექნიკა
48. სასაქონლო ნიშნები
49. სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნები
50. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები)
51. სისხლის სამართლის მომზადების პროცესუალური საკითხები და სადავო დოკუმენტების ექსპერტიზა
52. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები
53. სისხლის სამართლის საქმის მომზადების პროცესუალური საკითხები და სადაო დოკუმენტების ექსპერტიზა
54. სისხლის სამართლის შეჯიბრებითობა
55. უძრავი ქონების რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლები
56. ფულადი ვალდებულებები
57. ფულის გათეთრება
58. შრომითი უფლებები, საერთაშორისო სტანდარტები და შიდა კანონმდებლობა
59. შრომის სამართალი
60. ხელშეკრულებიდან გასვლა
61. HELP-ის პროგრამის პრეზენტაცია

OLP – დისტანციური სწავლების პლატფორმა

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ABA ROLI-მ შექმნა განგრძობადი იურიდიული განათლების პირველი ინტერნეტ პროგრამა – ონლაინ სწავლების პლატფორმა (OLP) და შეიმუშავა არასტანდარტული ტიპის ტრენინგების მოდული, Skype და DVD ტრენინგები. OLP მოიცავს ვიდეო ტრენინგებს, სასწავლო მასალას, სხვადასხვა სახელმძღვანელოებსა და საკანონმდებლო მასალას. პროგრამის მეშვეობით ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის წევრებს აქვთ შესაძლებლობა, მათთვის სასურველ დროსა და ადგილას აიმაღლონ კვალიფიკაცია და დააგროვონ სავალდებულო კრედიტ-საათები.

2015 წელს, ონლაინ სწავლების პორტალზე (olp.abarol.ge), ადვოკატთა ასოციაციის საერთო და სისხლის სამართლის სპეციალიზაციის წევრერებისათვის, ხელმისაწვდომი იყო ტრენინგები თემებზე:

1. ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა
2. ბალისტიკა
3. ბალისტიკური მტკიცებულებები; დნმ, როგორც მტკიცებულება
4. დაცვის საგამოძიებო უფლებამოსილებანი, სისხლის სამართლებრივი დევნა
5. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი
6. თაღლითობის გამიჯვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან
7. კლიენტის გამოკითხვა, მოწმის მიმზადება, პროტესტი, სასამართლო დარბაზის აღჭურვილობა, ვიზუალური ეფექტი
8. კრიმინალისტიკა – როგორც მეცნიერება და მისი შესწავლის მეთოდოლოგია
9. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში

10. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა
11. ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა
12. ნივთმტკიცებები – მიკროსამყარო
13. პირობითი მსჯავრი
14. სამართალწარმოების პროცედურები და ადვოკატის ქცევის წესები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში
15. სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევები
16. საქმის ანალიზი
17. საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, დასაშვებობის კრიტერიუმები და გადაწყვეტილებების აღსრულება
18. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი დებულებანი/ტერმინთა განმარტება
19. ფსიქიატრიული ექსპერტიზა
20. ქმედების კვალიფიკაცია ობიექტური და სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებულ შემადგენლობებში
21. შესავალი და დასკვნითი სიტყვა

ინოვაცია – მრგვალი მაგიდის ფორმატის ღონისძიება

2015 წლის, 27 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, საგანმანათლებლო საბჭოს პატრონაჟით და ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის („საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“) მხარდაჭერით, მრგვალი მაგიდა გაიმართა, სადაც განხილულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, როგორებიცაა მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპის კონტექსტში და მტკიცების ტვირთის გადანაწილება. შეხვედრის მიზანი იყო მოსამართლეების და ადვოკატების ერთობლივი მონაწილეობა დისკუსიაში, ორი განსხვავებული პერსპექტივის ჭრილში საკითხების შეფასების თვალსაზრისით.

შეხვედრაში ექსპერტების რანგში მონაწილეობა მიიღეს დიდი სამოსამართლო გამოცდილების მქონე იურისტებმა ქ-ნ ნათია გუჯაბიძემ და ქ-ნ ქეთევან მესხიშვილმა. შეხვედრა საინტერესო და ინტერაქტიული დისკუსიის ფორმით წარიმართა და ადვოკატებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე. ექსპერტთა მხიდან აღინიშნა ის პროფესიული განვითარება და შესამჩნევი პროგრესი, რაც ადვოკატთა ასოციაციამ განიცადა თავისი არსებობის 10 წლიანი ისტორიის მანძილზე.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, საგანმანათლებლო საბჭოს პატრონაჟით, კვლავაც გაარძელებს ასეთი ტიპის სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზებას, როგორც სამოქალაქო, ასევე სამართლის სხვა დარგების აქტუალურ საკითხებზე.

სპეციალიზებული კურსები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, 2016 წლის, 1 იანვრიდან, არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების უფლება ექნებათ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატებს, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური სწავლება თემაზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“ და სასწავლო პროგრამის გავლისა და ტესტირების ჩაბარების შედეგად, მინიჭებული აქვთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი.

2015 წელს, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით და საერთაშორისო ორგანიზაციების: UNICEF, Hulla&Co. Human Dynamics KG, COE, IRZ მხარდაჭერით, ჩატარდა 13 სპეციალიზებული კურსი ადვოკატებისთვის თემაზე: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“. კურსი გაიარა 335-მა ადვოკატმა, მთელი საქართველოს მასშტაბით.

სპეციალიზებული კურსების ორგანიზებისთვის 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

• ტრენერების შერჩევა/გადამზადება;

• სპეციალიზებული კურსისთვის სასწავლო მოდულის მოდიფიცირება;

• სპეციალიზებულ კურსში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ადვოკატთა შესარჩევი კონკურსი,

რომელშიც მონაწილეობაა მიიღო 400-მდე ადვოკატმა. კონკურსის შედეგად შეირჩა კურსის 335 მონაწილე.

• დაიბეჭდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზების დამადასტურებელი სერტიფიკატები და დოკუმენტები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, სპეციალიზებული კურსის ჩატარების ადგილები და კურსის მონაწილე ადვოკატთა რაოდენობა:

• თბილისი – 239 (თბილისიდან 201, გორიდან 6, რუსთავიდან 6, მცხეთიდან 1, მარნეულიდან 2, თეთრიწყაროდან 1, გარდაბანიდან 1, ხაშურიდან 3, ახალციხიდან 1, ბორჯომიდან 3, კახეთიდან 12, ცაგერიდან 1, ჭიათურიდან 1 მონაწილე);

• ქუთაისი – 48 (ქუთაისიდან 41, სამტრედიიდან 3, რაჭიდან 2, ხონიდან 1, ზესტაფონიდან 1 მონაწილე).

• ანაკლია – 25 (ზუგდიდიდან 13 ადვოკატი, სენაკიდან 10, ფოთიდან 1, მარტვილიდან 1 მონაწილე).

• ბათუმი – 23 (ბათუმიდან 19 ადვოკატი, ხელვაჩაურიდან 1, გურიიდან 3 მონაწილე).

სპეციალიზებულ ადვოკატთა შესახებ, ინფორმაცია დაემატება ადვოკატთა ელექტრონულ რეესტრს, რომელიც 2016 წლის, 1 იანვრიდან, ხელმისაწვდომი იქნება ვებ გვერდებზე: gba.ge და edu.gba.ge

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდის, UNICEF-ის მხარდაჭერით, 2016 წელსაც განაგრძობს, სპეციალიზებული კურსების ჩატარებას. კურსში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებულ ადვოკატთა, შერჩევის პროცესი განახლდება 2016 წლის, 18 იანვრიდან და კურსის გავლისა/ტესტირების წარმატებით ჩაბარების შედეგად, ყველა მსურველ ადვოკატს მიეცემა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე სერტიფიცირების საშუალება.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები

2014 წლიდან, ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას საერთაშორისო ექსპერტების მიერ რეკომენდებული ახალი წესებითა და ელექტრონული სისტემით ატარებს. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, 2015 წელს, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ყველა მონაწილემ გამოცდა ჩააბარა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, პროგრამა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას გადაეცა, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის, JILEP-ის, მიერ, რომელსაც საქართველოში East West Management Institute-ი ახორციელებს. კომპიუტერული პროგრამა იძლევა აპლიკანტთა რეგისტრაციის, გამოცდის ჩაბარებისა და გასაჩივრების საშუალებას ელექტრონული ფორმით. პროგრამის მეშვეობით აპლიკანტისთვის გამოცდის შედეგი ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები

• 2015 წლის, ივნისი:

გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 534-მა აპლიკანტმა; გამოცდა ჩააბარა 26%-მა.

• 2015 წლის, დეკემბერი:

გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 591-მა აპლიკანტმა გამოცდა ჩააბარა 25%-მა.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები

2012 წლიდან ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებს. მოსამზადებელი კურსი ითვალისწინებს გამოცდის თეორიული მასალის, უახლესი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ტესტის ამოხსნის მეთოდების შესწავლას.

2015 წელს სასწავლო ცენტრმა ორგანიზება გაუწია 2 მოსამზადებელ კურსს, გაზაფხულისა და შემოდგომის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის.

ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭო

2015 წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო საბჭო ყოველ თვეს ატარებდა სხდომებს და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს აღმასრულებელი საბჭოსთვის წარსადგენად.

საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, განისაზღვრა განგრძობადი იურიდიული განათლების, 2015 წლის პოლიტიკა, სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა. ასევე სასწავლო ცენტრის 2015 წლის, საქმიანობის მიმართულებები და პრიორიტეტები. განხორციელდა აკრედიტებული ღონისძიებების მონიტორინგი; განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში დაგეგმილ საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიენიჭა აკრედიტაცია; საბჭოს რეკომენდაციით განისაზღვრა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი, 2015 წლის, პროგრამა. შემუშავდა ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების სისტემის კონცეფციის პირველადი პროექტი.

ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების სისტემის კონცეფცია (პროექტი)

სავალდებულო სტაჟირების სისტემა გულისხმობს, ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის მსურველის, პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებას, სასწავლო და პრაქტიკული კურსის გავლის გზით. სავალდებულო სტაჟირების სისტემის მიზანია, საადვოკატო საქმიანობის პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე პირის პროფესიაში მიღება.

სისტემა შემუშავების პროცესშია. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც საგანმანათლებლო საბჭოს წევრებთან ერთად, განიხილავს განსახორციელებელ აქტივობებს და რესურსებს. პროცესი დაკავშირებულია საკანონმდებლო ცვლილებებთან და ამ ეტაპზე ახლად გაწევრიანებული ადვოკატებისთვის მოქმედებს იგივე სისტემა, რაც მოქმედი წევრებისთვის არის განსაზღვრული, განგრძობადი იურიდიული განათლების წესებში.

სასწავლო ცენტრის ვებ გვერდი

EDU.GBA.GE ფუნქციონირებს 2013 წლიდან; ვებ გვერდი მომხმარებელს სთავაზობს ინფორმაციას, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებების, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების, გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსებისა და სხვა სიახლეების შესახებ.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის 2015 წლის 11 თვის ანგარიში

2015 წლის 30 ნოემბრის ოქტომბრის მდგომარეობით

სტატისტიკური მონაცემები

2015 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში რეგისტრირებულია 87 საჩივარი. ანგარიშის შედგენის მომენტისათვის წინა წლებიდან ნაშთის სახით გადმოსული 64 საქმის გათვალისწინებით 80 საქმეზე წარმოება დასრულებულია. საქმეთა განხილვის მიზნით საპროცესო საქმეებზე ჩატარებულ სხდომათა რიცხვი შეადგენს – 134-ს, ხოლო განხილვის საქმეებზე ჩატარდა 39 სხდომა.

2015 წლის განმავლობაში, ეთიკის კომისიაში საჩივრები წარმოდგენილია შემდეგი სუბიექტების მიერ: კლიენტების მიერ – 54 საჩივარი; სასამართლოს მიერ – 5 საჩივარი, პროკურატურის მიერ – 1, ადვოკატების მიერ – 1 საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის მიერ – 24, სხვა პირთა მიერ – 2 საჩივარი.

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 34 პირის მოთხოვნა ადვოკატთა წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე და, შესაბამისად, მიიღო დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის გამო, რაც შეადგენს დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 27%-ს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრები შეეხებოდა ადვოკატის მიერ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, სასამართლოში ქცევის წესებისა და კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის თაობაზე პრეტენზიებს, თუმცა, საჩივართა შესწავლის შედეგად არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ხსენებული პრინციპების დარღვევა.

15 საჩივარზე ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აქედან 3 საჩივარზე – წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის მიზეზით; 3 საჩივარზე წარმოება შეწყდა იმ მიზეზით, რომ ადვოკატს შეუწყდა ადვოკატთა ასოციაციის წევრის სტატუსი; 5 საჩივარზე – თავად საჩივრის ავტორებმა თქვეს უარი საჩივარზე, დისციპლინური საქმის საპროცესო წესით განხილვის ეტაპზე, 4 საჩივრის განხილვაზე თავად ეთიკის კომისიამ თქვა უარი, ვინაიდან მხარეთა შორის სადაო საკითხი არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. დასრულებულ საქმეთა საერთო რაოდენობის 12%-ზე შეწყდა დისციპლინური წარმოება.

ეთიკის კომისიამ 18 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს, რაც საჩივრების დასრულებულ საქმეთა რაოდენობის 14%-ს შეადგენს. დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების დარღვევა: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დარღვევა (11 შემთხვევა), კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა საქმის მსვლელობის თაობაზე (9 შემთხვევა), ნდობის პრინციპის დარღვევა (4 შემთხვევა), სასამართლოზე ქცევის წესების დაცვა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების დაცვა (1 შემთხვევა), კლიენტის მითითებების შეუსრულებლობა (3 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა (3 შემთხვევა), ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა (3 შემთხვევა), საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ მომსახურებისთვის მიღებული თანხის გამოქვითვა (4 შემთხვევა), კოლეგიალობა (2 შემთხვევა), კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება (2 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხილვის კოლეგიებმა 11 საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატის

დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე.

– 3 საქმეზე ადვოკატების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათი;

– 8 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება იქნა გამოყენებული.

დისციპლინური საქმის განხილვის კოლეგიის მიერ შესწავლის ეტაპზე, ეთიკის კომისიის მიერ 5 შემთხვევაში ადვოკატი იქნა გამართლებული, ვინაიდან არ დადასტურდა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა 3 გადაწყვეტილება. სადისციპლინო პალატამ 2 გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, ხოლო ერთ გადაწყვეტილებაზე შეცვლა დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა და ადვოკატს გაფრთხილების ნაცვლად მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები

ეთიკის კომისიაში დანერგილმა სიახლემ რეკომენდაციების გაცემის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის მარტის თვიდან, უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ადვოკატთა შორის. 2015 წლის 22 ოქტომბრის მონაცემებით კომისიამ ამოქმედებიდან 107 რეკომენდაცია გასცა, მათგან 47 წერილობითი სახით, 60 კი – ზეპირი რჩევა, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით.

შეკითხვის მოთხოვნას 15 შემთხვევაში წარმოადგენდა მატერიალური ნორმის განმარტება, 6 შემთხვევაში საპროცესო ნორმის განმარტება და 86 შემთხვევაში ჰიპოთეტურ შემთხვევაზე პრაქტიკული განმარტება.

რეკომენდაციის მიღების მსურველ ადვოკატს 5 შემთხვევაში უარი ეთქვა რეკომენდაციის გაცემაზე. 2 შემთხვევაში შეკითხვა უკავშირდებოდა ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებულ საქმეს, ხოლო 3 შემთხვევაში დასმული საკითხი არ შეეხებოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი

2015 წლის განმავლობაში, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის მიერ ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

– ეთიკის კომისიის წევრებმა და აპარატმა მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილების დასაბუთებულობასა და წერის მეთოდებზე სემინარში, რომელიც გაიმართა ევროკავშირის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროექტის ფარგლებში;

– ეთიკის კომისიის წევრები არაერთხელ შეხვდნენ ერთგვაროვან პრაქტიკასა თუ კომისიის განვითარებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე სამსჯელოდ დონორთა მხარდაჭერით (ევროკავშირის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროექტი, PROLOG, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის საერთო პროექტი „ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“);

– ევროსაბჭოსა და ევროკავშირის საერთო პროექტის „ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის“ ფაგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელზეც ეთიკის კომისიის აპარატმა წარმოადგინა ადვოკატთა დისციპლინური სამართალწარმოების დებულების ცვლილებებისთვის დისციპლინური წარმოების სისტემების კვლევა და მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ დებულების ხარვეზებსა და შესაძლო ცვლილებებზე;

– ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის“ ფარგლებში გაიმართა პროექტის ექსპერტების მონაწილეობით მრგვალი მაგიდა, სადაც ექსპერტებმა წარმოადგინეს ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური წარმოების გაუმჯობესებისთვის საკანონმდებლო კვლევა და გაიმართა დისკუსია;

– ეთიკის კომისიამ აპარატთან ერთად მოამზადა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ ცვლილებათა პროექტი, რომელიც მიღების შემთხვევაში ხელს შეუწყობს დისციპლინური წარმოების ხარისხის გაზრდას.

2015-2016 წლების დაგეგმილი აქტივობები:

– ეთიკის კომისიის წევრების მონაწილეობა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონზე მომუშავე ჯგუფში;

– უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ადვოკატთა საქმის განხილვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება;

– ეთიკის კომისიის დისციპლინური დებულების ცვლილებებზე სამუშაოების ორგანიზება კანონში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით;

– ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზის, მათ შორის გამოცემების გაკეთება;

– ეთიკის კომისიის გასვლითი შეხვედრების ორგანიზება ადვოკატებთან;

– ეთიკის კომისიის უფლებების კანონმდებლობით გარანტირების უზრუნველყოფისთვის მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;

– ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განვითარება;

– სარეკომენდაციო ფუნქციის პოპულარიზაციისათვის სამუშაოების ორგანიზება;

– საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით ეთიკის კომისიის წევრების უცხოეთში სასწავლო ვიზიტების ორგანიზება;

– უნივერსიტეტებში ეთიკის საგნის სავალდებულო სწავლების უზრუნველსაყოფად მოქმედებების დაგეგმვა;

– ეთიკის კომისიის აპარატში საკადრო ბაზის სრულყოფა;

– ეთიკის კომისიის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის სასწავლო ცენტრთან ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

– ეთიკის კომისიისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობების გეგმის ფორმირება;

– ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების პოპულარიზაციისთვის ფორმების მოფიქრება და განხორციელება;

– პრაქტიკის განზოგადების კუთხით საერთო შეხვედრების ორგანიზება მოსამართლეებთან, პროკურორებთან;

– წლის ბოლოს მედიისთვის და დიპლომატიური კორპუსისთვის ასოციაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება;

– „ღია კარის“ დღის ორგანიზება ასოციაციაში – ექსკურსიები მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის;

– ეთიკის კომისიის საქმიანობის განვითარებისათვის საგრანტო პროექტების მოძიებისა და განხორციელების ორგანიზება;

– ეთიკის კომისიის საქმიანობის ოპტიმიზაციის საკითხის გადახედვა;

– ეთიკის კომისიის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

– არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ღონისძიებების მოფიქრება და განხორციელება;

– ეთიკის საკითხებზე ყოველწლიური კონფერენციის მოწყობა;

– კანონშემოქმედებით სტრუქტურებთან ურთიერთობების განვითარებისათვის მოქმედებების დაგეგმვა და ორგანიზება.

საქმე №164/13

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.12.2013
საჩივრის ავტორი: ადვოკატი
საპროცესო კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია
სავარაუდო დარღვევა: ადვოკატის მიერ სასამართლოში ქცევის წესების დარღვევა
შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა
გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 13.02.2014
განხილვის კოლეგია: მეორე დისციპლინური კოლეგია
შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება
დისციპლინური სახდელის სახე: გაფრთხილება
გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 16.07.2014
ფაქტობრივი გარემოებები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

მომჩივანის განცხადებით, იგი აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს, სადაც მოპასუხე იყო ადვოკატი. ყველა საპროცესო დოკუმენტში ადვოკატი მომჩივან ადვოკატს მოიხსენიებდა როგორც უცოდინარ, გაუნათლებელ და არაკომპეტენტურ ადამიანს, ხოლო სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გამოხატავდა მისდამი აგრესიას და მას არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც ადვოკატი მოსამართლემ დააჯარიმა. ადვოკატმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ სხდომის დარბაზში მომჩივანის მარწმუნებლის მიმართვაზე საპასუხოდ, როცა მომჩივანი ცდილობდა მარწმუნებლის დამშვიდებას, მოიქნია ფეხი, რომელიც მოხვდა მომჩივან ადვოკატს.

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი

საპროცესო კოლეგიის შეფასებით იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატის მიერ მომჩივანის მისამართით განხორციელებული ქმედებები შეურაცხმყოფელია, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

- მომჩივანი ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ადვოკატისაგან თანხის დაბრუნების თაობაზე.

- ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე იყო მოპასუხე მხარე მომჩივანის კლიენტის სარჩელის საფუძველზე.

- სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში ადვოკატსა და მომჩივანს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ: მომჩივანის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერების ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან კი სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია სასამართლოში ქცევის წესები.

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისგან.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N075/10, დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.V Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“.

კომისიის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, თუმცა, კომისია ითვალისწინებს იმ მორალურ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და საზოგადოებრივ შეფასებას, რაც ტრადიციების წყალობით დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია, რომ მოცემულ სამოქალაქო დავაზე ადვოკატი თავად იყო მოპასუხე მხარე, ის ამ კონკრეტულ საქმეზე არ წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და ამ შემთხვევაში არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას, ვინაიდან ის წარმოადგენდა ადვოკატს და მისი პროფესიული მოვალეობაა, რომ სასამართლო დარბაზში ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, რომლის შენარჩუნებაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი მიუხედავად იმისა წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს თუ თავად არის მხარე სამართალწარმოების განხორციელებისას.

ადვოკატსა და მომჩივანს შორის სასამართლო სხდომის დასასრულს სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა ფიზიკური შეხებით, კერძოდ: მომჩივანის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერების ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან კი სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით.

კომისიამ შეაფასა ის ფაქტი, რომ ადვოკატი სამოქალაქო დავაში იყო მოპასუხე მხარე, თუმცა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხე მხარისათვის და სასამართლოსთვის მისი პროფესიის შესახებ ცნობილი იყო და მისი ქმედება აღიქმებოდა როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც კონკრეტული ადვოკატის ქმედება.

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი მოსარჩელე მხარის ადვოკატის მიმართ მისი ქცევით არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, ღირსებას და საზოგადოების წინაშე ნდობას. ადვოკატის ქცევა მომჩივანის მიმართ არაეთიკურია და ეწინააღმდეგება სასამართლოში მოქცევის წესებს.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილებით დს-შ/5-15 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის შეფასებით ის გარემოება, რომ ადვოკატი სასამართლო პროცესზე გამოდიოდა არა წარმომადგენლად, არამედ მხარედ არ ათავისუფლებს მას დაიცვას ადვოკატის პროფესიული ქცევის წესები. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომელიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობაში.

ეთიკის კომისიის

რეკომენდაცია

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: გიორგი ტურაზაშვილი

კოლეგიის წევრი: გია ტაბლიაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.07.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/15

შეკითხვა:

მოსარჩელე მხარის ადვოკატის მიერ მოპასუხე მხარისათვის მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფა „შე ტუტუცო, უზრდელო, მატყუარა, უპასუხისმგებლო, შენნაირისთვის დაიღუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში? შენნაირისთვის გავზარდე შვილი?“ ისტერიული კივილი და ლანძღვა მედიაციის სესიაზე და სესიის ჩაშლა თავისივე მარწმუნებელთან შეუთანხმებლად, მუქარა მხარის მიმართ: „მე ვიცი შენ რას გიზამ, აქედან რომ გავალთ, შე ტუტუცო, უზრდელო.“ მიუხედავად მედიატორის თხოვნისა, ისტერიული კივილის გაგრძელება დაახლებით ნახევარი საათის მანძილზე, აგრეთვე მოპასუხე მხარის ადვოკატისათვის არაერთგზის შეურაცხყოფის მიყენება: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და ამიტომ იქცევა ასე, თქვენ შეგყავთ მხარე შეცდომაში, თქვენ არ იცნობთ ბავშვთა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას, გირჩევთ წაიკითხოთ.“ ასეთი რეაქცია გამოიწვია მოპასუხე მხარის მიერ დასმულმა კითხვამ: „თქვენ ქმარი გყავთ?“

ასეთი სიტუაციის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს მოპასუხე მხარის ადვოკატი, რა მექანიზმები არსებობს მის შესაჩერებლად და ეკისრება თუ არა ასეთი ქმედებისათვის ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა და თუ ეკისრება, რა სახის?

ანალიზი:

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

„ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების“ მე-12 პარაგრაფი: „ადვოკატებმა, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, ყოველთვის უნდა იზრუნონ მათი პროფესიის პატივისა და ღირსების შესანარჩუნებლად.“

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მუხლი 4.3.: „სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მოწიწებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას მისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად, მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად.“

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის მუხლი 4.5.: „ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით ადვოკატსა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟთან და ნებისმიერი სხვა პირთან, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას, იშვიათად ანუ არამუდმივად – არაპერმანენტულადაც კი.“

ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას.

ეთიკის კომისიამ 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №2743/05/07 დაადგინა: „ადვოკატმა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და გამოხატოს პატივისცემა კოლეგისადმი, მიუხედავად მისი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მხარის არსებობისა/მდგომარეობისა“

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №069/11 დაადგინა: „ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელთაც მათ პროფესია აკისრებს“.

შეკითხვაში აღწერილი ქმედებებიდან რიგი სიტყვობრივი (ვერბალური) გამონათქვამები: „შე ტუტუცო“, „უზრდელო“, „შენნაირისთვის დაიღუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში“, „შენნარისათვის გავზარდე შვილი“, სავარაუდოდ, არ წარმოადგენს და სცილდება პროფესიული საქმიანობის არსსა და დანიშნულებას. აღნიშნული სიტყვები არ არის საადვოკატო საქმიანობის ამსახველი, რამეთუ არ წარმოადგენს არც ერთ იურიდიულ მოქმედებას, „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ არც ერთ მოქმედებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სიტყვების გამომხატველი ადვოკატი იმყოფება მისი კლიენტის საკითხის განხილვისას სასამართლოს მსგავსს ინსტიტუციაში და უნდა წარმოადგენდეს მისი კლიენტის ინტერესებს იურიდიულ ფორმატში, არც ერთი ამ ფრაზებთაგანი არ ემსახურება ყოველივე აღნიშნულს. შესაბამისად, ადვოკატის ეს მოქმედება არ არის საადვოკატო საქმიანობა, ანუ ადვოკატი ამ მომენტში არ ახორციელებს კლიენტის ინტერესების წარმოდგენას და არ ასრულებს საკუთარ პროფესიულ მოვალეობას.

შეკითხვაში მითითებული სიტყვები გამოხატავენ კონკრეტული პიროვნების მახასიათებელს, რაც მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისაკენ, სავარაუდოდ შეურაცხყოფისაკენ, რაც არ შედის ამ ფრაზების გამომხატველი ადვოკატის კლიენტის ინტერესებში – სიტყვიერად შეურაცხყოს მისი მოწინააღმდეგე მხარე. მოცემული სიტყვების გამომხატველი ადვოკატი შესაძლოა ზიანს აყენებდეს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობას, კლიენტის ინტერესებს და არ შეესაბამებოდეს საკითხის განმხილველი სასამართლოს მსგავს ორგანოში არსებულ წესებს და, პირიქით, ხელს უშლიდეს იურიდიულ პროცედურას.

როგორ შეკითხვის მოცემულობიდან ირკვევა ადვოკატი ყვიროდა კიდეც და მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ მოპასუხე მხარეს უთხრა: „მე ვიცი შენ რას გიზავ აქედან რომ გავალთ“ – აღნიშნული სავარაუდოდ იყო მიმართული მოპასუხე მხარის ადვოკატის კლიენტისადმი. ეს სიტყვები შეიცავს სამომავლო სავარაუდო ნეგატიური მოქმედების, ზეწოლის ან სხვა სახის მოქმედების განხორციელების შინაარსს, რაც შეიძლება აღიქმებოდეს მუქარად. აღნიშნული ასევე არ წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას და შესაძლოა მიმართული იყოს მოწინააღმდეგე მხარის ზეწოლისაკენ შეასრულოს ან თავი შეიკავოს

გარკვეული მოქმედებისაგან, რაც სარგებლის მომტანი იქნება მოსარჩელე მხარის ადვოკატის აზრით მისი კლიენტის ინტერესებისათვის. ნიშანდობლივია ადვოკატის სიტყვობრივი გამოხატულების ფორმა – ანუ შესაძლოა ეს არა მხოლოდ მორალურად იყოს მიუღებელი, არამედ კანონდარღვევით ხასიათსაც ატარებდეს, რამაც შეიძლება ერთი ორად გაზარდოს ადვოკატის პროფესიული ქცევის ნეგატიურად შეფასების ხარისხი.

საყურადღებოა მოსარჩელე ადვოკატის მიერ მოპასუხე ადვოკატის საქმიანობაში ჩარევის მცდელობა სიტყობრივად და ხმამაღალი, ყვირილით შეფასება: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და იმიტომ იქცევა ასე". აღნიშნული შეიძლება მეტყველებდეს მოსარჩელის ადვოკატის მიერ საკუთარი პროფესიული არსის და იურიდიული მოქმედებების გაუაზრებლობაში, რამეთუ ის მოწინააღმდეგე მხარეა, რაც ინტერესების, პოზიციურ დაპირისპირებას გულისხმობს. საამისო მოლოდინი, ასეთ დროს, ყოველთვის უნდა გააჩნდეს ადვოკატს. აღნიშნულს ემატება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მცდელობა, რადგან ის გულისხმობს ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის პროფესიული ღირსების პატივისცემას.

თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი მოქმედებს შეკითხვაში აღწერილი სახით, უფლება აქვს მოუწოდოს პროფესიული კორექტულობისა და სიტყვის თავისუფლების ზღვარის გადალახვის შეჩერების თაობაზე, მოუწოდოს ადვოკატის მისიის ანუ პროფესიული დანიშნულების შეხსენებისაკენ, რაც არ მდგომარეობს მოწინააღმდეგე მხარის პიროვნულ შეურაცხყოფაში. პროფესია ადვოკატი არის ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დამცველი და პროფესიულ მიზანს არ წარმოადგენს პიროვნების დახასიათება ნებისმიერი სახით. ასევე ადვოკატს უფლება აქვს მოუწოდოს, რომ დაუშვებელია მედიაციის ან სხვა განხილვებისას, სადაც კლიენტთა ინტერესებია წარმოდგენილი ადვოკატების მეშვეობით კომუნიკაცია მიმდინარეობდეს ადგილობრივი და საერთაშორისო კანონების დარღვევით. აღნიშნული შესაძლებელია გაკეთდეს განხილვის პროცესში როგორც ზეპირი ასევე წერილობითი სახით და მოთხოვნილ იქნას (თუ რეგულაცია ითვალისწინებს) განმხილველი ორგანოს კონკრეტული პოზიცია მის განაცხადთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, წინასწარ სავალდებულოდ ვერ განისაზღვრება საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგი. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება დისციპლინური პროცედურით და შეფასდება განმხილველი კოლეგიის მიერ ზემოთ მოცემული ადვოკატის მოქმედება, როგორც პროფესიული ქცევის წესების დარღვევა, კოლეგია იმსჯელებს იმის შესახებ, ადვოკატის მიმართ გამოიყენოს სახდელი თუ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. სახდელს აქვს თავისი დანიშნულება მისი ზომების გამოყენებით დაწყებული გაფრთხილებიდან, რომელიც გარკვეული მოქმედების შემდგომში განმეორების შემთხვევაში იძლევა გამაფრთხილებელ სიგნალს უფრო მკაცრი სახდელის გამოყენებისაკენ, ხოლო ზემოქმედების ღონისძიება შედარებით მსუბუქია და დეკლარაციულ–შემეცნებით ხასიათსაც კი ატარებს, რაზედაც საუბრობს თავად ამ ღონისძიების სახე – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ადვოკატისადმი, სადაც ეთიკის კომისია აძლევს განმარტებას მიუღებელი ქცევის ნაცვლად სწორი მოქმედებების შესაძლო კრიტერიუმების, გონივრული ფარგლების შესახებ.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება, დადასტურების შემთხვევაში, არღვევს ადვოკატებს შორის არსებულ კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლითა და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით ადვოკატის მიერ შეკითხვაში მითითებული ფრაზების „შე ტუტუცო", „უზრდელო", „შენნაირისთვის დაიღუპა ჩემი ქმარი აფხაზეთში", „შენნარისათვის გავზარდე შვილი", გამოყენება სცილდება პროფესიული საქმიანობის არსსა და დანიშნულებას და მიმართულია ადამიანის დისკრედიტაციისაკენ, სავარაუდოდ შეურაცხყოფისაკენ. აღნიშნული სიტყვები არ არის საადვოკატო საქმიანობის ამსახველი. ფრაზა „მე ვიცი შენ რას გიზავ აქედან რომ გავალთ" შეიცავს სამომავლო სავარაუდო ნეგატიური მოქმედების, ზეწოლის ან სხვა სახის მოქმედების განხორციელების შინაარსს, რაც შეიძლება აღიქმებოდეს მუქარად. ხმამაღალი, ყვირილით შეფასება: „თქვენ აძლევთ არაკვალიფიციურ რჩევებს და იმიტომ იქცევა ასე", შეიძლება მეტყველებდეს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მცდელობაზე, რადგან ის გულისხმობს ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის პროფესიული ღირსების პატივისცემას.

ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია მოუწოდოს სავარაუდო დამრღვევს პროფესიული კორექტულობისა და სიტყვის თავისუფლების ზღვარის გადალახვის შეჩერების თაობაზე, მოუწოდოს ადვოკატის მისიის ანუ პროფესიული დანიშნულების შეხსენებისაკენ, განხივლის რეგულაციის ფარგლებში. ასევე, ადვოკატს აქვს უფლება საჩივრით მიმართოს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს საჩივრის ადრესატი ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: გიორგი ტურაზაშვილი
კოლეგიის წევრი: ნათია კორკოტაძე
კოლეგიის წევრი: გია ტაბლიაშვილი

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

პირველი სექცია

საქმე იუდიცკაია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

(განაცხადი no. 5678/06)

სასამართლო გადაწყვეტილება

სტრასბურგი
2015 წლის 12 თებერვალი

საბოლოო

12/05/2015

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა კონვენციის მუხლი 44 § 2-ის საფუძველზე. გადაწყვეტილება შეიძ-ლება სარედაქციო გადასინჯვას დაექვემდებაროს

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

არაოფიციალური თარგმანი. მომზადებულია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის_"საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა"_ფარგლებში. დოკუმენტი ითარგმნა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. აქ გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საქმეზე იუდიცკაია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია), მოსამართლეთა შემდეგი შემადგენლობით:

იზაბელ ბერო, თავმჯდომარე

ჯულია ლაფრანკი

პაოლო პინტო ალბუკერკი

ლინოს ალეხანდრე სიცილიანოსი

ერიკ მოსე

ქსენია ტურკოვიჩი

დიმიტრი დედოვი, მოსამართლეები

და სორენ ნიელსენი, სასამართლო გამწესრიგებელი

2015 წლის 20 იანვარს იმსჯელა მოცემულ საქმეზე,

და მითითებულ თარიღში შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (no. 5678/06) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც 2005 წლის 22 დეკემბერს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოში შეიტანა რუსეთის ხუთმა მოქალაქემ: ქალბატონმა დინა იაკოვლევნა იუდიცკაიამ, ქალბატონმა ნატალია ვლადიმიროვნა იუდიცკაიამ, ბატონმა ალექსანდრ ვიქტოროვიჩ კიჩევმა, ქალბატონმა ელენა რობერტოვნა ლავრენტევამ და ბატონმა ვალერი ვალერიევიჩ ფროლოვიჩმა (მომჩივნებმა).

2. რუსეთის მთავრობის ("მთავრობა") ინტერესებს წარმოადგენდა ქალბატონი ვ. მილინჩუკი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის ყოფილი წარმომადგენელი.

3. მომჩივანების საჩივრის შესაბამისად, არ არსებობდა მათი იურიდიული მომსახურეობის კომპანიის ოფისში ჩხრეკის ჩატარებისა და კომპიუტერების ჩამორთმევის კანონიერი საფუძველი.

4. 2007 წლის 16 მარტს მთავრობას ეცნობა საჩივრის თაობაზე.

5. მთავრობამ პროტესტი გამოხატა საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთობლივად განხილვასთან დაკავშირებით. სასამართლომ იმსჯელა მთავრობის შეპასუხებაზე და არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებანი

6. პირველი განმცხადებელი, ქ-მი დინა იაკოვლევნა იუდიცკაია – 1950 წელს დაბადებული. მეორე განმცხადებელი, ქ-ნი ნატალია ვლადიმიროვნა იუდიცკაია – 1979 წელს დაბადებული. მესამე განმცხადებელი, ბ-ნი ალექსანდრ ვიქტოროვიჩ კიჩევი – 1966 წელს დაბადებული. მეოთხე განმცხადებელი, ქ-ნი ელენა რობერტოვნა ლავრენტევა, 1965 წელს დაბადებული. მეხუთე განმცხადებელი, ბ-ნი ვალერი ვალერიევიჩ ფროლოვიჩი – 1966 წელს დაბადებული. ისინი პერმში ცხოვრობენ.

7. მომჩივანები პერმის ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან. ისინი ფირმის „ბიზნეს ი პრავოს“ იურისტები არიან. გასაჩივრებული მოვლენების პერიოდში ფირმის ოფისი შედგებოდა მისაღებისგან, ხუთი კაბინეტისგან და საკონფერენციო დარბაზისგან. პირველ და მეორე განმცხადებელს საერთო კაბინეტი ჰქონდათ. მეოთხე განმცხადებელს, და ავოკატ „პ“-ს ცალ-ცალკე კაბინეტები ჰქონდათ. მესამე და მეხუთე განმცხადებელი ადვოკატ ი.თ-სთან ერთად ინაწილებდნენ კიდევ ერთ კაბინეტს. ყველა ადვოკატს საკუთარი კომპიუტერი გააჩნდა. გარდა ამისა, ოფისში კიდევ ერთი კომპიუტერი იყო, რომელითაც ყველა ადვოკატი სარგებლობდა.

8. 2004 წლის პირველ დეკემბერს სასამართლო აღმასრულებლების მიერ ქრთამის აღებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო. ერთ-ერთ წაყენებულ ბრალთან დაკავშირებით საქმეში ასევე ფიგურირებდა სახელმწიფო უნიტარული საწარმო კიროვის სახელობის პერმის ქარხანა („ქარხანა“) და სასამართლო აღმასრულებელი „თ“. მთავრობის შესაბამისად, 2005 წლის იანვარში ქარხნის დირექტორმა „კ“-მ ქრთამის სახით სასამართლო აღმასრულებელს 300,000 რუბლი გადაუხადა. ქრთამის გამოძალვა აღმასრულებელმა „თ“-მ განახორციელა. „ტრანზაქციის“ ლეგალიზაციის მიზნით „თ“-მ თხოვნით მიმართა თავის ძმას – ი.თ-ს, რათა მას ხელი მოეწერა ფიქტიურ კონტრაქტზე ქარხნისთვის იურიდიული მომსახურეობის გაწევის თაობაზე.

9. 2005 წლის 7 თებერვალს ი.თ-მ ხელი მოაწერა კონტრაქტს ქარხნისთვის საგადასახადო და სხვა საკითხებზე იურიდიული მომსახურეობის გაწევის თაობაზე.

10. მთავრობის შესაბამისად, დაუზუსტებელ თარიღში გამომძიებელმა დაკითხა „კ“ და „თ“. ორივემ აღიარა, რომ ქრთამის გამოძალვის სქემაში იღებდნენ მონაწილეობას.

11. 2005 წლის 6 მაისს პერმის ლენინის რაიონის სასამართლომ ჩხრეკის ორდერი გასცა, რომლის საფუძველზე იურიდიული კომპანია „ბიზნეს ი პრავო“-ს ოფისში ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო. მოცემული გადაწყვეტილება შემდეგნაირად იყო დასაბუთებული:

> *„2004 წლის 1 დეკემბერს პერმის რაიონული სასამართლოს აღმასრულებლების N48 განყოფილების წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოება დაიწყო [მექრთამეობა განსაკუთრებით მსხვილი მოცულობით]. სახელმწიფო უნიტარულმა საწარმომ კიროვის სახელობის პერმის ქარხანამ და იურიდიულმა კომპანიამ „ბიზნეს ი პრავომ“ ფიქტიური კონტრაქტი გააფორმეს, რათა მექრთამეობის ფაქტი დაემალათ. გამომძიებელმა იურიდიული კომპანიის „ბიზნეს ი პრავო“-ს ოფისის ჩხრეკის ნებართვის მიღების მიზნით მიმართა სასამართლოს, რათა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები ამოეღო“.*

> *[სასამართლომ] მიიჩნია, რომ გამომძიებლის მოთხოვნა მართლზომიერი იყო და დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო, რადგანაც გონივრული ეჭვი არსებობდა იმის თაობაზე, რომ იურიდიული კომპანია „ბიზნეს ი პრავოს“ ოფისში დაცული დოკუმენტები მოცემული სისხლის სამართლის დანაშაულის თაობაზე ინფორმაციას შეიცავდნენ“.*

12. 2005 წლის 16 მაისს გამომძიებელმა კომპანიის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა. ჩხრეკას მომჩივანები და ორი არა-ექსპერტი მოწმე ესწრებოდა.

13. მომჩივანების განცხადებით, მათ ნებაყოფლობით გადასცეს გამომძიებელს მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოფისის ყველა ოთახი გაიჩხრიკა, მათ შორის იმ მომჩივანების ოთახებიც, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ქარხანასთან. გამომძიებლებმა ყველა სტაციონარული და პერსონალური კომპიუტერები (ლეპტოპები) ჩამოართვეს მომჩივნებს და ამ კომპიუტერების მყარ დისკებზე არსებული მთელი ინფორმაცია გადაიწერეს. კომპიუტერები კომპანიას ერთი კვირის შემდეგ დაუბრუნეს.

14. განმცხადებლებმა 2005 წლის 6 მაისს გაასაჩივრეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. მათ განაცხადეს, რომ პერმის კიროვის სახელობის ქარხანასთან კონტრაქტი არა იურიდიულმა კომპანია „ბიზნეს ი პრავომ, არამედ იურისტმა ი.თ-მ პირადად გააფორმა, და რომ შესაბამისად, არ არსებობდა იურიდიული ფირმის ჩხრეკის საფუძველი. გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ ზემოთხსენებული კონტრაქტი ფიქტიურ კონტრაქტად გამოაცხადა მანამდე, სანამ სასამართლო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განმცხადებლების კომპიუტერებში არსებული ინფორმაცია ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიითაა დაცული და შესაბამისად, ოფისის ჩხრეკა და კომპიუტერების კონფისკაცია ადვოკატების შესახებ კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

15. 2005 წლის 23 ივნისს პერმის სამხარეო სასამართლომ უარყო განმცხადებლების აპელაცია იმ საფუძველზე, რომ ჩხრეკის ორდერი კანონიერი იყო. სამხარეო სასამართლოს აზრით, რაიონულმა სასამართლომ კი არ დაადგინა, რომ კონტრაქტი ფიქტიური იყო, არამედ უბრალოდ ახსენა, რომ გამოძიების აზრით იგი ფიქტიურია.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

16. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისა, რომ დანაშაულის ინსტრუმენტი, ან დანაშაულთან დაკავშირებული საგნები, დოკუმენტები ან ძვირფასეულობა შეიძლება კონკრეტულ ადგილას ან კონკრეტული ადამიანის მფლობელობაში იმყოფებოდეს (მუხლი 182 § 1).

17. ადვოკატის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ჩხრეკის თაობაზე ნებართვა სასამართლო ორგანოს მიერ უნდა იყოს გაცემული. ჩხრეკის შედეგად ამოღებული ინფორმაცია, საგნები და დოკუმენტები მტკიცებულების სახით მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ისინი არ არიან დაცული ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიით (იხილეთ 2002 წლის 31 მაისის ადვოკატების შესახებ no. 63-FZ კანონის მუხლი 8 § 3).

18. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ადვოკატების შესახებ კანონის შესაბამისი მუხლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც იურიდიული კომპანიის ოფისის ჩხრეკის ნებართვა გაიცა, დაკონკრეტებული უნდა იყოს ჩხრეკის ფარგლები და მისი ჩატარების მიზეზები, რათა ჩხრეკის შედეგად საგამოძიებო ორგანოების ხელში არ აღმოჩნდეს იმ ადვოკატების კლიენტების თაობაზე ინფორმაცია, რომელთა მიმართ სისხლის სამართალწარმოება არ მიმდინარეობს (რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო

სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება No. 439-O).

19. ჩხრეკის ჩატარებამდე გამომძიებელმა უნდა შეატყობინოს იმ პირებს, რომელთა ოფისის ან საცხოვრებლის ჩხრეკა მიმდინარეობს, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული საგნების, დოკუმენტების ან ძვირფასეულობის გამოძიებისთვის ნებაყოფლობით გადაცემის შესაძლებლობა და ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ჩხრეკა აღარ ჩატარდეს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 182 § 5).

20. გამომძიებლის ნებართვით ჩხრეკას შეიძლება ესწრებოდეს იმ პირის იურიდიული მრჩეველი და/ან ადვოკატი, რომლის ოფისის ან საცხოვრებლის ჩხრეკა მიმდინარეობს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 182 § 11).

სამართალი

I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

21. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ ოფისში ჩხრეკის ჩატარება და კომპიუტერების ამოღება, რომლებიც კონფიდენციალურ ინფორმაციას შეიცავდნენ, კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლომ განიხილა განაცხადი კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნების დარღვევის საგანზე, რომელიც შემდეგს ადგენს:

1. „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

22. მთავრობამ თავის შეპასუხებაში უარყო მომჩივანების მოცემული არგუმენტი და განაცხადა, რომ მისი აზრით მომჩივანის განაცხადი დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული. მთავრობის აზრით, ჩხრეკა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით ჩატარდა და განმცხადებლების კონვენციით დაცული უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. საგამოძიებო ორგანოებმა ჩხრეკა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ჩაატარეს. ჩხრეკასთან დაკავშირებით სასამართლო ორდერი იქნა გაცემული, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს. ჩხრეკის მიზანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის შესასწავლად საჭირო დოკუმენტების მოპოვება. ჩხრეკის პროცესში გამომძიებამ ი.თ-სა და ქარხანას შორის ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ამოიღო. მან ასევე დააყადაღა კომპიუტერები და განმცხადებლების თხოვნით ცალკე მყარ დისკზე გადაწერა ამ კომპიუტერებში დაცული ინფორმაცია. შემდგომ კომპიუტერები მომჩივანებს დაუბრუნეს და მყარი დისკი განადგურებული იქნა. მომჩივანების კომპიუტერებში არსებული ინფორმაცია არ ყოფილა გამოყენებული ისეთი გზით, რომ დარღვეულიყო ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიის დაცვაზე მიმართული კანონმდებლობა.

23. მომჩივანებმა განაცხადეს, რომ მათი საჩივარი სამართლის საკითხებსა და არსებით მხარესთან დაკავშირებით სერიოზულ ასპექტებს შეეხება და დასაშვებად უნდა იყოს მიჩნეული. თავის არგუმენტებში მომჩივანები ასევე აღნიშნავდნენ, რომ მათ ოფისში ჩატარებული ჩხრეკა მე-8 მუხლით დადგენილი სტანდარტების დარღვევით განხორციელდა. სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც ჩხრეკის ნებართვა გაიცა, არ იყო დაკონკრეტებული ჩხრეკის ფარგლები, ან ისეთი ღონისძიებები, რომელთა შედეგად ფირმის სხვა კლიენტებთან

დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული ყოფილიყო და ამ ინფორმაციაზე ჩხრეკა არ გავრცელებულიყო. მომჩივანების აზრით, ჩხრეკის რეალურ მიზანს წარმოადგენდა იმ ადგილობრივ პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებზე ინფორმაციის შეგროვება, რომლებიც ფირმის კლიენტები იყვნენ. და ბოლოს, მათ უარყვეს მთავრობის განცხადება, რომლის შესაბამისადაც მათ გამომძიებელს თხოვნით მიმართეს, რომ კომპიუტერებში დაცული ინფორმაცია მყარ დისკზე გადაეწერა.

ა. დასაშვებობა

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ განაცხადი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 (ა) მუხლის მნიშვნელობით. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ საჩივარი არ შეიძლება დაუშვებლად იყოს მიჩნეული რაიმე სხვა საფუძველზე და შესაბამისად, იგი დასაშვებია.

ბ. არსებითი მხარე

სასამართლოს შეფასება

(ა) ჰქონდა თუ არა ადგილი უფლებაში ჩარევას

25. მხარეები არ დაობენ იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული მოქმედებები განმცხადებლების კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას წარმოადგენენ, და სასამართლოს არ გააჩნია რაიმე მიზეზი, რომ სხვაგვარად მიიჩნიოს. სასამართლოს აზრით, მომჩივანების ოფისის ჩხრეკა და მათი კომპიუტერების ამოღება მათი „პირადი ცხოვრების“, „საცხოვრებლისა“ და კორესპონდენციის“ პატივისცემის უფლების დარღვევას წარმოადგენს (იხილეთ ნიემეცი გერმანიის წინააღმდეგ, 1992 წლის 16 დეკემბერი, §§ 29-32, სერია A no. 251 B; და შპს Wieser and Bicos Beteiligungen ავსტრიის წინააღმდეგ, no. 74336/01, §§ 43-45, ECHR 2007 IV).

(ბ) იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

26. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ჩხრეკის ნებართვა სასამართლოს მიერ იყო გაცემული და იგი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოძიებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, სასამართლო მზადაა გაიზიაროს მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ჩხრეკა მართლზომიერი იყო ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, გატარებული ღონისძიებები შეიძლება თუ არა მიჩნეული იქნას როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად თანაზომიერი იყო დასახული მიზანი იმ საშუალებებთან, რომელიც მის მისაღწევად იყო გამოყენებული (იხილეთ რობათინი ავსტრიის წინააღმდეგ, no. 30457/06, § 43, 2012 წლის 3 ივლისი)

27. სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ სამართლის სფეროს სპეციალისტების დევნა და დაშინება კონვენციის სისტემით გათვალისწინებულ ფუნდამენტალურ ასპექტებთან მოდის წინააღმდეგობაში. შესაბამისად, ადვოკატების ოფისის ჩხრეკა განსაკუთრებით გულდასმით შესწავლას საჭიროებს (იხილეთ ელჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, no. 23145/93 და 25091/94, § 669, 2003 წლის 13 ნოემბერი). იმისთვის, რომ გადაეწყვიტა, თუ რამდენად „აუცილებელი იყო მოცემული ღონისძიებების გატარება დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლომ შეისწავლა თუ რამდენად შეიცავს ეროვნული კანონმდებლობა დამცავ მექანიზმებს, რომლებიც მიკერძოებულობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციას უზრუნველყოფენ, და ასევე იმსჯელა იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტურად იმუშავა მოცემულმა დამცავმა მექანიზმებმა ამ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელი ელემენტებია იმ დანაშაულის სიმძიმე, რომელთან მიმართებაშიც ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებები გატარდა, ჩატარდა თუ არა ეს ღონისძიებები მოსამართლის

ან სასამართლო მოხელის მიერ გაცემული ჩხრეკის ორდერის შესაბამისად (ან დაექვემდებარა თუ არა ჩატარებული ჩხრეკა სასამართლოს მიერ მისი მართლზომიერების შესწავლას), გაიცა თუ არა ჩხრეკის ორდერი გონივრული ეჭვის არსებობის საფუძველზე, რამდენად დეტალურად იყო განსაზღვრული ჩხრეკის ფარგლები. სასამართლომ ასევე უნდა შეისწავლოს, თუ რანაირად ჩატარდა ჩხრეკა და იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე იურიდიული მომსახურეობის კომპანიას შეეხება, ასევე უნდა დაადგინოს ესწრებოდა თუ არა ამ პროცესს დამოუკიდებელი დამკვირვებელი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის მინიჭებული არსებითი პრივილეგიები არ დაირღვეს. და ბოლოს, სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ჩხრეკის შედეგად კომპანიის მუშაობასა და რეპუტაციისადმი მიყენებული ზემოქმედების მოცულობა (იხილეთ კოლესნიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ, 2009 წლის 9 აპრილი, no. 19856/04, § 31, 2009 წლის 9 აპრილი).

28. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 6 მაისს რაიონული სასამართლოს მიერ ჩხრეკის ორდერი გამომძიებლის მოთხოვნის საფუძველზე გაიცა, რომელიც მთელი რიგი პირების მიმართ მსხვილი მოცულობით მექრთამებასთან დაკავშირებული სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ითხოვდა ამ ორდერის გაცემას. იმავდროულად, სასამართლო აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ მომჩივანების საჩივრის შესაბამისად მხოლოდ ადვოკატი ი.თ იყო ეჭვმიტანილი დანაშაულში თანამონაწილეობაში, რასაც მთავრობა არ უარყოფს. განმცხადებლების მიმართ სისხლის სამართალწარმოება არ იყო აღძრული. მიუხედავად ამისა, რაიონული სასამართლოს განცხადების შესაბამისად, იურიდიული კომპანია იყო ფიქტიური კონტრაქტის ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე, რის გამოც ჩხრეკა კომპანიის მთელ ოფისში ჩატარდა. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო ასკვნის, რომ ვერ იქნება მიჩნეული, რომ ჩხრეკის ორდერი გონივრული ეჭვის საფუძველზე იყო გაცემული.

29. გარდა ამისა, სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ ჩხრეკის ორდერი ძალიან ზოგადი ხასიათის იყო, რითაც გამომძიებლებს შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება ენიჭებოდათ საკუთარი შეხედულებისმებრ ჩაეტარებინათ მოცემული ღონისძიება. ორდერში არ იყო განმარტებული, თუ რატომ არ იქნებოდა საკმარისი მხოლოდ ი.თ-ს კაბინეტის გაჩხრეკა და მისი კომპიუტერის ამოღება. გარდა ამისა, ორდერის გაცემის პროცესში მოსამართლე არ შეეხო იმ საკითხს, რომ პრივილეგიით დაცული მასალების კონფიდენციალურობა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლისთვის ცნობილი იყო, რომ მომჩივანები ადვოკატთა ასოციაციის წევრები იყვნენ, რომლებზეც ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია ვრცელდება. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ჩხრეკის ორდერი ისეთი სახით უნდა იყოს შედგენილი, რომ მაქსიმალურად ნათელი და განჭვრეტადი იყოს ჩხრეკის ფარგლები და მისი ზემოქმედების შედეგები (იხილეთ ილია სტეფანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 65755/01, § 41, 2008 წლის 22 მაისი; და ვან როსემი ბელგიის წინააღმდეგ, no. 41872/98, § 45, 2004 წლის 9 დეკემბერი). წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით მოცემული მოთხოვნა უგულებელყოფილი იყო.

30. სასამართლო ასევე ადგენს, რომ ორდერის ზოგადმა ხასიათმა განაპირობა ის, თუ როგორ ჩატარდა ჩხრეკა. გამომძიებელმა ყველა მომჩივანის კომპიუტერი ამოიღო. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ჩხრეკის პროცესში არ იყო ამოქმედებული ისეთი დამცავი მექანიზმები, რომელთა შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ისეთი პროფესიული საიდუმლოების დაცვა. კერძოდ, არ იყო დაწესებული აკრძალვა ისეთი დოკუმენტების ამოღებაზე, რომლებიც კლიენტ-ადვოკატის პრივილეგიითაა დაცული, აგრეთვე, ჩხრეკას არ ესწრებოდა დამოუკიდებელი დამკვირვებელი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა გამომძიებლების ჯგუფისგან დამოუკიდებლად განესაზღვრა, თუ რომელ დოკუმენტებზე გავრცელდებოდა ასეთი პრივილეგია (იხილეთ სალინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ, no. 50882/99, § 89, 2005 წლის 27 სექტემბერი); და ტამოსიუსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 62002/00, ECHR 2002-VIII). ორი მოწმის დასწრება ვერ იქნება მიჩნეული საკმარის დამცავ გარანტიად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოწმეები ჩვეულებრივი მოქალაქეები იყვნენ, რომლებსაც არ გააჩნდათ რაიმე განათლება სამართლის სფეროში და ვერ განსაზღვრავდნენ, თუ რომელ მასალებზე ვრცელდება პრივილეგია (იხილეთ ილია სტეფანოვის საქმე, ციტირებული ზემოთ, § 43). აგრეთვე, რაც შეეხება მომჩივანებისთვის გამომძიებლების მიერ ჩამორთმეულ კომპიუტერებში დაცულ ელექტრონულ ინფორმაციას, არ არის არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ ჩხრეკის დროს ამ დოკუმენტაციის რაიმე სახით დახარისხების პროცედურა ჩატარდა (იხილეთ შპს Wieser and Bicos Beteiligungen, ციტირებული ზემოთ, § 63).

31. იმის გათვალისწინებით, თუ რა მასალები იქნა ამოღებული და შესწავლილი, სასამართლო ადგენს, რომ ჩხრეკის შედეგად ისეთი მოცულობით დაირღვა პროფესიული საიდუმლოება, რაც არათანაზომიერია დასახული მართლზომიერი მიზნისა. სასამართლო ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს, რომ პროფესიული საიდუმლოების დარღვევამ შეიძლება უარყოფითი შედეგები იქონიოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, და შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევა გამოიწვიოს (იხილეთ სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ, 71362/01, § 48, 2007 წლის 7 ივნისი; და ნიემეცის საქმე, ნახსენები ზემოთ, § 37).

32. ერთობლიობაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მართლზომიერი მიზნის მისაღწევად მომჩივანების იურიდიული მომსახურეობის ფირმის ოფისში ჩხრეკის ჩატარება და მათი კომპიუტერების ამოღება გონივრული ეჭვის არსებობისა და სათანადო დამცავი გარანტიების ამოქმედების გარეშე სცდება „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ“ ფარგლებს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გავრცელება

33. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

34. მომჩივანებს არ წარუდგენიათ სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამასთან დაკავშირებით მათთვის თანხის მიკუთვნების ვალდებულება არ წარმოიქმნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. დასაშვებად აცხადებს საჩივარს;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2016 წლის 12 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

სორენ ნიელსენი, რეგისტრატორი

იზაბელ ბერო, თავმჯდომარე

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

არაოფიციალური თარგმანი

სტრასბურგი, 2013 წლის 15 ნოემბერი

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)
დასკვნა №16 (2013)
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ

(მიღებულია CCJE-ს მე-14 სხდომაზე
(სტრასბურგი, 2013 წლის 13-15 ნოემბერი)

I. შესავალი

1. მინისტრთა კომიტეტის ტექნიკური დავალების შესაბამისად ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) 2013 წლისათვის მოამზადა დასკვნა მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობის შესახებ, რომლის მიზანია მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესება.

2. დასკვნა მომზადებულია CCJE-ს უკვე არსებული დასკვნებისა და ევროპის საბჭოს შესაბამისი ინსტრუმენტების საფუძველზე, კერძოდ: „მოსამართლეთა წესდების ევროპული ქარტია“ (1998), „მოსამართლეთა დიდი ქარტია“ (2010) და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოთა მიმართ CM/Rec (2010)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ. წინამდებარე დასკვნა ასევე ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ (1985), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს ადვოკატთა როლის შესახებ (1990), ბანგალორის პრინციპებს მოსამართლეთა ქცევის შესახებ (2002), და სასამართლო ერთიანობის ჯგუფის კომენტარებს ბანგალორის პრინციპებთან დაკავშირებით (2007). გარდა ამისა, წინამდებარე დასკვნა ეფუძნება ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) შრომებს, კერძოდ, ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსს (1998, 2002 და 2006 წლების შესწორებებით) და ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიას (2006).

დასკვნა ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მიერ შევსებულ კითხვარში ასახულ ინფორმაციას

და სამეცნიერო ექსპერტის ქ-ნ ნატალი ფრისეროს (საფრანგეთი) მიერ მომზადებულ ანგარიშს, ასევე, CCJE-სა და პარიზის ადვოკატთა ასოციაციის მიერ ერთობლივად ორგანიზებული 2012 წლის 7 ნოემბრის პარიზის კონფერენციისა და CCJE-ს, იტალიის უმაღლესი სასამართლოს საბჭოსა და იტალიის ადვოკატთა ეროვნული საბჭოს მიერ 2013 წლის 13 ივნისის რომის კონფერენციის შედეგებს.

წინამდებარე დასკვნის მომზადების პროცესში CCJE-მ ასევე კონსულტაციები გაიარა CCBE-სთან.

II. მოსამართლეთა და ადვოკატთა როლები მართლმსაჯულების აღსრულებისას

3. სახელმწიფოებმა, რომლებიც კანონის უზენაესობას ემყარებიან, იმგვარად უნდა უზრუნველყონ თავიანთი სასამართლო სისტემების ორგანიზება, რომ გარანტირებული იყოს კანონის უზენაესობის, და ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა (შემდგომში „კონვენცია“) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების გათვალისწინება. როგორც მოსამართლეები, ასევე ადვოკატები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზემოაღნიშნული მიზნების ეფექტურად შესრულების საქმეში.

CCJE-მ უკვე არაერთგის ისაუბრა მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულებაში მონაწილე სხვადასხვა მხარის ურთიერთთანამშრომლობისა და ამ სუბიექტების ინტერაქციის უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ. კერძოდ, მე-12 დასკვნის მე-10

პუნქტში (2009) CCJE-ი ხაზს უსვამს, რომ მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ყველაპროფესიონალის მიერ საერთო სამართლებრივი პრინციპებისა და ეთიკური ღირებულებების გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულების საქმეში.

4. მოსამართლეები და ადვოკატები სხვადასხვა როლს თამაშობენ სასამართლო პროცესში, მაგრამ ორივე პროფესიის წვლილი აუცილებელია, რათა კანონის მოთხოვნების დაცვით სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილება იყოს მიღებული ყოველ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით.

5. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპების მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ სასამართლო ხელისუფლება მისთვის განსახილველად გადაცემულ საქმეებს წყვეტს მიუკერძოებლად, ფაქტების საფუძველზე და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხარის, ან ნებისმიერი მიზეზით განხორციელებული არამართლზომიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენის, ყოველგვარი შეზღუდვის, იძულების, ზეწოლის, მუქარის თუ ჩარევის გარეშე. ამავე დოკუმენტის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი სასამართლო ხელისუფლებას ანიჭებს უფლებამოსილებას, და მოითხოვს ამ უკანასკნელისაგან უზრუნველყოს სასამართლო პროცესების სამართლიანად ჩატარება და მხარეთა უფლებების პატივისცემა.

CCJE თავის დასკვნაში №1 (2001) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა არ გახლავთ მოსამართლეთა პრეროგატივა ან პრივილეგია, მაგრამ ეს არის კანონის უზენაესობის წინაპირობა და გარანტია მათთვის, ვინც ეძიებს და მოელის სამართალს.

6. ადვოკატებმა მათზე დაკისრებული პროფესიული მოვალეობების ფარგლებში, რაც კლიენტების უფლებების და ინტერესების დაცვას გულისხმობს, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მართლმსაჯულების სამართლიანად აღსრულების საქმეში. ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიასთან დაკავშირებით CCBE-ს კომენტარების მე-6 პუნქტში ადვოკატის როლი შემდეგნაირად არის განსაზღვრული:“ადვოკატის როლი, რომელიც ასრულებს ფიზიკურ პირის, კორპორაციის თუ სახელმწიფოს დავალებას, მდგომარეობს შემდეგში: იყოს კლიენტს სანდო მრჩეველი

და წარმომადგენელი, პროფესიონალი, რომელსაც პატივს სცემს მესამე მხარე, და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების შეუცვლელი მონაწილე. ყველა ზემოაღნიშნული ელემენტის გაერთიანებით, ადვოკატი, რომელიც ერთგულად ემსახურება საკუთარი კლიენტის ინტერესებს და იცავს კლიენტის უფლებებს, ასევე ასრულებს ადვოკატის ფუნქციებს საზოგადოებაში, რაც მდგომარეობს კონფლიქტების თავიდან აცილებაში, სამოქალაქო, საჯარო ან სისხლის სამართლის აღიარებული პრინციპების შესაბამისად და, ასევე, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით კონფლიქტების მოგვარებაში, კანონის შემდგომ განვითარებაში, თავისუფლების, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დაცვაში." როგორც CCBE-ს ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსს 1.1 პუნქტში არის მითითებული, ადვოკატის

პროფესიული ფუნქციისადმი პატივისცემა კანონის უზენაესობისა და საზოგადოებაში დემოკრატიის არსებობისათვის აუცილებელი პირობაა. ადვოკატთა როლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებში ნათქვამია, რომ ადამიანის ისეთი ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლებების ადეკვატური დაცვა, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რაც ყველა ადამიანის პრეროგატივაა, მოითხოვს, რომ ყველა პირისათვის ხელმისაწვდომი იყოს ის იურიდიული მომსახურება, რომელსაც დამოუკიდებელი იურიდიული პროფესია ითვალისწინებს. მე-12 პრინციპი ადგენს, რომ ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების აღსრულების პასუხისმგებელი წარმომადგენელი, ვალდებულია ნებისმიერ დროს დაიცვას საკუთარი პროფესიისადმი პატივისცემა და ღირსება.

7. მოსამართლეები და ადვოკატები დამოუკიდებელნი უნდა იყონ საკუთარი მოვალეობების შესრულებისას. ისინი, ასევე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი უნდა იყონ. ამგვარი დამოუკიდებლობის აუცილებლობა ასახულია ამ პროფესიების წესდებებსა და ეთიკურ პრინციპებში. CCJE თვლის, რომ ასეთი დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების ჯეროვნად ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

CCJE კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თავისი რეკომენდაციის CM/Rec(2010)12" მე-7 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს უმაღლეს სამართლებრივ დონეზე. ადვოკატთა დამოუკიდებლობაც ანალოგიურად უნდა იყოს გარანტირებული.

8. CCJE ასევე თავისი რეკომენდაცია CM/Rec(2010)12-ის მე-12 პუნქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომელშიც ნათქვამია, რომ დამოუკიდებლობისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მოსამართლეებმა და სასამართლო ხელისუფლებამ კონსტრუქციული სამუშაო ურთიერთობა უნდა შეინარჩუნონ როგორც იმ დაწესებულებებსა და საჯარო ხელისუფლებასთან, რომლებიც სასამართლოების მართვასა და ადმინისტრირებაში მონაწილეობენ, ასევე, ყველა იმ პროფესიონალთან, რომელთა ამოცანებიც მოსამართლეთა საქმიანობას უკავშირდება, და ამით ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების ეფექტურ და ქმედით აღსრულებას. ანალოგიურად, კონსტრუქციული ურთიერთობები აუცილებელია საქმის წარმოების პროცესშიც, რათა მიღებული იქნას სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილებები სასამართლო პროცესთან მიმართებაში.

9. შეიძლება გამოვყოთ მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის ურთიერთობის ორი სფერო:

- ერთის მხრივ, ეს არის ურთიერთობები მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის, რომლებიც თითოეული სახელმწიფოს პროცესუალური საპროცესო პრინციპებისა და წესებისაგან გამომდინარეობენ, რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს სამართალწარმოების ეფექტურობასა და ხარისხზე. სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ №11 დასკვნის (2008) რეკომენდაციების ნაწილში CCJE

აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების სტანდარტის ხარისხი სასამართლო სისტემის

მრავალი მონაწილის ურთიერთქმედების შედეგი უნდა იყოს;

- მეორეს მხრივ, ეს არის ურთიერთობა, რომელიც მოსამართლეთა და ადვოკატთა პროფესიული ქცევიდან გამომდინარეობს, და რომელიცორივე მხარის როლებისადმი პატივისცემას მოითხოვს და მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის კონსტრუქციულ დიალოგს გულისხმობს.

III. სამართალწარმოების პროცესში პროცესუალური ურთიერთობის, დიალოგისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება

10. მოსამართლეებს და ადვოკატებს საერთო ფუნდამენტური ვალდებულებები გააჩნიათ, კერძოდ კი, დაიცვან სამართლიანი სამართალწარმოების პროცესუალური ნორმები და პრინციპები.

CCJE-ს მიაჩნია, რომ მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის კონსტრუქციული ურთიერთობები ხელს შეუწყობენ სამართალწარმოების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას: მომჩივან მხარეებს მოლოდინი ავთ, რომ მათი და მათი ადვოკატების პოზიცია მოსმენილი იქნება სასამართლოს მიერ; ისინი ასევე მოელიან, რომ მოსამართლეები და ადვოკატები ერთობლივად წვლილს შეიტანენ მათი საქმის კანონის შესაბამისად და გონივრულ ვადაში სამართლიანად გადაწყვეტის საქმეში.

11. თუმცა, სასამართლო პროცესის ეფექტურობა და ხარისხი, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ადეკვატურ პროცესუალურ კანონმდებლობაზე და სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებაში სამართალწარმოების ძირითადი ასპექტების შესახებ რეგუგლაციებზე. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ მსგავსი დებულებები. აღნიშნული დებულებების მომზადების პროცესში კონსულტაციები უნდა ჩატარდეს მოსამართლეებთან და ადვოკატებთან, მაგრამ ამ კონსულტაციების ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა ამ ორი პროფესიის ინტერესების, არამედ სამართლიანი მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინა. ასევე, მნიშვნელოვანია კონსულტაციების ჩატარება სასამართლოს მომსახურეობებით მოსარგებლეებთან. გარდა ამისა, არსებითია აღნიშნული პროცედურული საფუძვლების რეგულარულად შეაფასება და საჭიროებისამებრ განახლება, და, ასევე, მოსამართლეების, ადვოკატებისა და სასამართლოს მომხმარებელთა ჩართულობა ამ პროცესში.

12. CCJE მიიჩნევს, რომ ამგვარმა კანონმდებლობამ მოსამართლეები უნდა უზრუნველყოს ეფექტური საპროცესო ინსტრუმენტებით სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განსახორციელებლად, და კანონმდებლობა გაუმართლებელი დაყოვნებების ან სამართალწარმოების უკანონოდ გაჭიანურების პრევენციას უნდა უზრუნველყოფდეს. ასეთი კანონმდებლობა უნდა იყოს საკმაოდ მკაცრი, და იგი მკაფიო და სამართლიანი ვადებს უნდა ადგენდეს, მაგრამ ამავდროულად, ვადების თვალსაზრისით გარკვეული მოქნილობის შესაძლებლობასაც უნდა იძლეოდეს.

13. საპროცესო წესები სამართლებრივი დავების მოგვარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. საპროცესო წესების მიხედვით განსაზღვრება მოსამართლეთა და ადვოკატთა შესაბამისი როლები. აუცილებელია, რომ როგორც მოსამართლეებმა, ასევე ადვოკატებმა კარგად იცოდნენ აღნიშნული წესები, საქმის სამართლიანად და დროულად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე.

14. ინსტიტუციონალურ დონეზე შეთანხმებული სახელმძღვანელო პრინციპები შესაძლოა ასევე სასარგებლო იყოს თანამშრომლობისა და დიალოგის წასახალისებლად. CCJE თვლის, რომ სასამართლომ უნდა წაახალისოს კარგი პრაქტიკის ჩამოყალიბება სასამართლოებსა და ადვოკატებს შორის შეთანხმების მიღწევის შედეგად. სამართალწარმოების ორგანიზაციასა და განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმებები მრავალ სასამართლო სისტემაში ჩამოყალიბდა სრულიად სხვადასხვა

ფორმით[1]. CCJE კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მსგავსი საპროცესო შეთანხმებები უნდა შეესაბამებოდეს პროცესუალურ კანონმდებლობას და გასაჯაროვდეს, რათა უზრუნველყოს გამჭვირვალობა ადვოკატებისა და მომჩივანი მხარეებისათვის.

15. პრაქტიკაში, საპროცესო წესები, იქნება ეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებული წესები, ხშირად კომპლექსური ხასიათისაა და სხვადასხვა პროცესუალურ ეტაპსა და შუალედური გასაჩივრების საშუალებას ითვალისწინებენ. აღნიშნულმა შეიძლება გაუმართლებელი დაყოვნებები გამოიწვიოს და დაკავშირებული იყოს დიდ ხარჯებთან როგორც მხარებისთვის, ასევე ზოგადად საზოგადოებისათვის. CCJE მტკიცედ უჭერს მხარს იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია წევრ სახელმწიფოებში არსებული საპროცესო წესების ანალიზსა და შეფასებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამჭვირვალე და ადეკვატური წესების შემუშავებაზე.

მოსამართლეების და ადვოკატების მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებამ ხელი უნდა შეუწყოს „საუკეთესო პრაქტიკის“ განვითარებას პროცესუალურ ფარგლებში. თუმცა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ქვეყნების სხვადასხვა სოციალური და სამართლებრივი ტრადიციებიც.

16. პროცესუალური და მატერიალური კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია, ასევე პრეცედენტული სამართლის საეტაპო გადაწყვეტილებები, შეძლებისდაგვარად თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც მოსამართლეების, ასევე ადვოკატებისათვის. CCJE დაიმოწმებს დასკვნა №14-ის (2011) 24-ე პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ სასამართლომ უნდა შექმნას პრეცედენტული სამართალი, ან თუნდაც მიიღოს საეტაპო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტით: i) უფასოდ, ii) ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით და iii) პერსონალური მონაცემების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით.

17. მოსამართლეებმა და ადვოკატებმა უნდა ითანამშრომლონ მხარეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით, CCJE თვლის, რომ მნიშვნელოვანია დაგეგმილი სასამართლო განხილვებისა და პროცედურული კალენდრების შექმნა, რათა, მხარეთა

ინტერესების დაცვით მოხდეს მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის ეფექტური თანამშრომლობის ხელშეწყობა. გარდა ამისა, მოსამართლეებმა და ადვოკატებმა უნდა ითანამშრომლონ საქმის მორიგების გზით გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით. დასკვნა №6-ში (2004) CCJE რეკომენდაციას უწევს საქმის მორიგების გზით გადასაწყვეტად მექანიზმების შემუშავებას. ერთობლივი ტრენინგების საშუალებით შესაძლებელია მოსამართლეთა და ადვოკატთა შესაბამისი როლების შესახებ ცნობიერების ამაღლება შერიგების ან მედიაციის გზით დავების გადაწყვეტის სფეროში.

18. სამართალწარმოების სისწრაფისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სასამართლოებსა და ადვოკატებს შორის სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბება. CCJE თვლის, რომ სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ისეთი სისტემები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კომპიუტერულ კომუნიკაციას სასამართლოსა და ადვოკატებს შორის, რაც გაუმჯობესებს ადვოკატებისათვის მისაწვდომ სერვისებს და საშუალებას მისცემს მათ მარტივად ჩაატარონ კონსულტაციები საქმეთა განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მე-14 დასკვნაში (2011) „მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები“, CCJE აღნიშნავს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები ცენტრალურ როლს თამაშობენ როგორც მოსამართლეების, ადვოკატებისა და მართლმსაჯულების სისტეის მონაწილე სხვა მხარეებისათვის, ასევე საზოგადოებისა და მედიისათვის ინფორმაციის მიწოდების საქმეში.

1 იხილეთ CEPEJ კვლევების №16, კონტრაქტუალიზაცია და სასამართლო პროცესი ევროპაში.

IV. ერთმანეთის როლის პატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა – ეთიკური პრინციპები

19. მოსამართლეებს და ადვოკატებს საკუთარი ეთიკური პრინციპები გააჩნიათ. თუმცა, რამდენიმე ეთიკური პრინციპები საერთოა როგორც მოსამართლეების, აგრეთვე ადვოკატებისათვის; მაგალითად, კანონმდებლობის დაცვა, პროფესიული საიდუმლოება, კეთილსინდისიერება და ღირსება, მომჩივანი მხარეების პატივისცემა, კომპეტენტურობა, სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა.

20. მოსამართლეებისა და ადვოკატების ეთიკური პრინციპები ასევე უნდა განიხილავდეს ურთიერთობებს ამ ორ პროფესიას შორის.

მოსამართლეებთან დაკავშირებით, CCJE-ს დასკვნა №3-ის (2002) 23-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ მოსამართლეები სათანადო ყურადღებას უნდა უთმობდნენ ყველა პირს (მაგალითად, მხარეებს, მოწმეებს, ადვოკატებს) და მათ არ უნდა განასხვავონ ისინი ერთმანეთისაგან არამართლზომიერ საფუძველზე, რაც შეუთავსებელი იქნება მოსამართლეების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულებასთან. ბანგალორის პრინციპების 5.3 პუნქტში ნათქვამია, რომ მოსამართლე ვალდებულია ისე განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქციები, რომ სათანადო ყურადღება დაუთმოს ყველა პირს – მხარეს, მოწმეს, ადვოკატს, სასამართლოს თანამშრომელსა თუ სასამართლოს კოლეგებს ყოველგვარი დიფერენციაციის გარეშე ისეთ საფუძველზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესასრულებლად. მოსამართლემ ყველა

საქმის განხილვის პროცესში უნდა უზრუნველყოს სასამართლო დარბაზში წესრიგისა და ღირსების დაცვა და იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, ნაფიცი მსაჯულების, მოწმეების, ადვოკატებისა და სხვა პირთა მიმართ, რომლებთანაც მოსამართლეს ოფიციალურ რანგში უწევს ურთიერთობა.

ადვოკატებთან მიმართებაში CCBE-ს ევროპის ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 პუნქტები შემდეგ პრინციპებს ასახელებენ: ადვოკატი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმის განხილვაში, ან წარსდგება სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, უნდა იცავდეს ქცევის იმ წესებს, რომელიც მოცემულ სასამართლოში ან ტრიბუნალში მოქმედებს. ადვოკატი ყოველთვის სათანადო ყურადღებას უნდა აქცევდეს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვას. ადვოკატმა ღირსეულად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, განურჩევლად ადვოკატის საკუთარი ინტერესებისა და ნებისმიერი შედეგისა მის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, თუმცა იმავდროულად, ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პატივისცემა და თავაზიანობის სასამართლოსადმი. ადვოკატმა შეგნებულად არასოდეს არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია.

21. CCJE მიიჩნევს, რომ მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის როლისადმი ურთიერთგაგებას, ურთიერთპატივისცემისა და დამოუკიდებლობას ერთმანეთთან მიმართებაში.

შესაბამისად, CCJE თვლის, რომ აუცილებელია მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის დიალოგის და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა ეროვნულ და ევროპის ინსტიტუციონალურ დონეზე. გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც მოსამართლეების, ასევე ადვოკატების ეთიკური პრინციპები. აღნიშნულთან დაკავშირებით, CCJE მოუწოდებს ისეთი საერთო ეთიკური პრინციპების იდენტიფიცირებისკენ, როგორებიცაა: დამოუკიდებელობისა და კანონის უზენაესობის დაცვის ვალდებულება, თანამშრომლობა მართლმსაჯულების სწრაფი და სამართლიანი აღსრულების მიზნით, და უწყვეტი პროფესიული გადამზადება. როგორც მოსამართლეების, ასევე ადვოკატების პროფესიული ასოციაციები და დამოუკიდებელი მმართველობის ორგანოები პასუხისმგებელი უნდა იყონ აღნიშნული პროცესების მიმდინარეობაზე.

22. მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის გამართული სასწავლო კონფერენციების პროცესში განხილული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოსამართლეებისა და ადვოკატების როლები და ურთიერთობები დავების სამართლიანად და ეფექტურად გადაწყვეტის ხელშეწყობის კონტექსტში, და ორივე მხარის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემის უზრუნველყოფა. CCJE დაიმოწმებს დასკვნა №12-ის (2009) მე-10 პუნქტს, რომელშიც ხაზგასმულია, რომ საჭიროების შემთხვევაში მიზანშეწონილია ჩატარდეს მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების ერთობლივი ტრენინგები საერთო ინტერესების ფარგლებში არსებულ თემებზე, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას.

23. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მოსამართლეების დანიშვნა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. CCJE-ი ყურადღებას ამახვილებს CEPEJ-ის ანგარიშის „ევროპული სასამართლო სისტემების შეფასება“ (2012 წლის გამოცემა) ნაწილზე 11.1.

მთელ რიგ ქვეყნებში მოსამართლეებს გამოცდილი იურისტების რიგებიდან ირჩევენ. სხვა ქვეყნებში მოსამართლეებისა და ადვოკატების კარიერა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აღნიშნულ ქვეყნებში ორ პროფესიას შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამგვარი გაგების სტიმულირების ერთ-ერთი შესაძლო გზაა სტაჟირების პრაქტიკის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც სტაჟიორი მოსამართლეები იურიდიულ ფირმებში გაივლიან სტაჟირებას, ხოლო სტაჟიორი ადვოკატები, კი სასამართლოებში. მსგავსი პრაქტიკის დანერგვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია გარანტირებული იყოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, სტაჟირება კი გამჭვირვალედ უნდა იყოს ორგანიზებული.

24. მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობები ყოველთვის უნდა იცავდეს სასამართლოს მიუკერძოებლობას. მოსამართლეები და ადვოკატები სრულად უნდა აცნობიერებდნენ ზემოაღნიშნულს და სასამართლოს მიუკერძოებლობა დაცული უნდა იყოს სათანადო პროცედურული და ეთიკური წესებით.

25. კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად მოსამართლეებსა და ადვოკატებს აქვთ გამოხატვის თავისუფლება.

მოსამართლეები ვალდებული არიან დაიცვან სასამართლო განხილვების კონფიდენციალურობა და თავიანთი მიუკერძოებლობა, რაც, სხვა დანარჩენთან ერთად, გულისხმობს იმას, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ კომენტარების გაკეთებისაგან საქმის წარმოებისა და იურისტების მუშაობის შესახებ.

ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაშიც არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რაც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად[2]. CCBE-ს ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტიის (თ) და (ი) პრინციპები, კერძოდ კოლეგებისადმი პატივისცემისა და კანონის უზენაესობისა და სამართლიანი მართლმსაჯულების პატივისცემის პრინციპები მოითხოვენ კოლეგების, ინდივიდუალური მოსამართლეებისა და სასამართლო პროცედურებისა და გადაწყვეტილებების შეურაცხმყოფელი კრიტიკისაგან თავის შეკავებას.

2 იხილეთ აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ნიკულა ვ. ფინეთი, 21 მარტი, 2002; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ამიხალაკოიაე ვ. მოლდოვა, 20 აპრილი 2004.

V. რეკომენდაციები

CCJE კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „სასამართლო პროცესში მონაწილე ყველა სპეციალისტის მიერ საერთო სამართლებრივი პრინციპებისა და ეთიკური ღირებულებების გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულების საქმეში“, და შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა:

I. CCJE-ს რეკომენდაციას იძლევა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შესაბამისი პროცესუალური დებულებები შეიმუშაონ, რომლებიც მოსამართლეებისა და

ადვოკატების საქმიანობას განსაზღვრავენ და მხარს დაუჭერენ მოსამართლეების მიერ სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განხორციელებას და მხარეთა მიერ საქმის განხილვის უკანონოდ გაჭიანურების ტაქტიკის პრევენციას. CCJE ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ ამ დებულებების შემუშავების პროცესში კონსულტაციები გაიმართოს მოსამართლეებთან, ადვოკატებთან და სასამართლოს მომხმარებლებთან და რეგულარულად შეფასდეს აღნიშნული პროცედურული საფუძვლები.

II. CCJE მხარს უჭერს მოსამართლეების და ადვოკატების მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს „საუკეთესო პრაქტიკის“ განვითარებას პროცესუალურ ასპექტებთან მიმართებაში სხვადასხვა ქვეყნების სოციალური და სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით.

III. CCJE რეკომენდაციას იძლევა, რომ მოსამართლეებმა უზრუნველყონ საქმეების განხილვების მართვასთან დაკავშირებული მოსმენები შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, და მხარეებთან კონსულტაციების გზით შემდეგ შეადგინონ პროცედურული კალენდრები, მაგალითად, დააკონკრეტონ პროცედურული ეტაპები, განსაზღვრონ გონივრული და შესაბამისი ვადები, და ჩამოაყალიბონ მტკიცებულებათა ზეპირი და წერილობითი წარდგინების წესები და ვადები.

IV. CCJE რეკომენდაციას იძლევა დამყარდეს სასამართლოებსა და ადვოკატებს შორის კომუნიკაციის არხები. მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის კომუნიკაცია საქმის წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს შესაძლებელი. CCJE-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ისეთი სისტემები, რომლებიც გაამარტივებენ კომპიუტერულ კომუნიკაციის სასამართლოებსა და ადვოკატებს შორის.

V. მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, CCJE რეკომენდაციას იძლევა მიღებულ იქნას ზომები დავების მორიგების გზით გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით. CCJE მიიჩნევს, რომ დავების მედიაციის ან მორიგების გზით გადაწყვეტის პროცესში მოსამართლეებისა და ადვოკატების როლების სწორი გაცნობიერება უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნული მიდგომის დანერგვისთვის, და ერთობლივი ტრენინგები უნდა ჩატარდეს მორიგების სხვადასხვა მექანიზმებთან დაკავშირებით.

VI. CCJE რეკომენდაციას იძლევა ხელი შეეწყოს დიალოგს და ინფორმაციის გაცვლას მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის (ეროვნულ და საერთაშორისო) ინსტიტუციონალურ დონეზე ამ ორ პროფესიას შორის ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით; იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მოსამართლეების, ასევე ადვოკატების ეთიკური პრინციპები. ასეთი დიალოგი ხელს შეუწყობს ამ ორი პროფესიის როლის უკეთ გაცნობიერებას და მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის პატივისცემას.

VII. CCJE-ს მიაჩნია, რომ მოსამართლეებისა და ადვოკატების ერთობლივი ტრენინგმა საერთო ინტერესების სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სამართალწარმოების ხარისხი და ეფექტურობა.

ადვოკატის როლი სამართლებრივ დავაში

სამართლებრივ დავაში სასამართლო სამართალწარმოება მიმდინარეობს კონტრადიქტორული წარმოების სახით. ეს ნიშნავს, რომ მხარეები დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე თანაბარი საპროცესო უფლებებით წარსდგებიან. მხარეთა მსგავსი „თანასწორუფლებიანობის“ გარეშე შეუძლებელია სამართლიანი პროცესის წარმოება. საპროცესო უფლებების ეფექტურად დასაცავად, მხარეებს ესაჭიროებათ საქმეში კარგად ჩახედული წარმომადგენელი, რომელსაც ექნება მხარის ნდობა.

აღნიშნული წინაპირობებიდან გამომდინარეობს „თავისუფალი ადვოკატურის“ პრინციპი. 1878 წლის 1 ივლისს, ადვოკატურის დებულების შესაბამისად გერმანიაში თავისუფალი ადვოკატურა დაარსდა. თავისუფალი ადვოკატურა ნიშნავს, რომ კანდიდატმა, რომელმაც მიიღო უმაღლესი განათლება, უფლებამოსილია მოითხოვოს ადვოკატად დაშვება მოთხოვნილების შემოწმების გარეშე. ეს ასევე ნიშნავს, რომ ადვოკატად დაშვება არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოს განსაკუთრებული ლოიალობის დადასტურებაზე. ეს ასევე ნიშნავს, რომ პროფესიულ-სამართლებრივი დისციპლინარული წარმოება ხორციელდება ადვოკატურის (და არა სასამართლო სისტემისა ან მისი ადმინისტრირების) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

ყველა ეს წინაპირობა აღმოფხვრილ იქნა გერმანიაში 1933 წელს, ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოსვლის შემდეგ. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც გრძელდებოდა ბრძოლა თავისუფალი ადვოკატურის დასაცავად. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომლებშიც კანდიდატებს უარი ეთქვათ ადვოკატად დაშვებაზე „სამართლებრივად მტრული განწყობის“ გამო.

ადვოკატურის თავისუფლება ნიშნავს ასევე კონკურენციას. ახალი კანდიდატების დაშვების შეზღუდვები არის უხეში, გაუმართლებელი ჩარევა სამართლისმაძიებელი მოქალაქის უფლებაში, აირჩიოს მისი ნდობის ადვოკატი. იგივე წესი ვრცელდება იურიდიული კონსულტაციის მომსახურების კონკურენციაზე, რომლებიც არ არიან დაშვებული ადვოკატად. ნებისმიერ შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის განმახორციელებელი საქმიანობის ფართო სფეროში არ არსებობს სასამართლო სამართალწარმოების გარეთ გამართლება იმისა, აუკრძალო საქმიანობა ადვოკატებსა და გამორიცხო მომსახურების გამწევი სხვა პირები. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში იურიდიული კონსულტაციის მონოპოლია დაშვებული ადვოკატებისათვის არსებობს 1935 წლის იურიდიული კონსულტაციის ბოროტად გამოყენების კანონით, ანუ, ნაციონალ-სოციალისტური ბატონობის პერიოდიდან. ამ კანონის მიზანი იყო ებრაელი ადვოკატებისათვის, რომელთაც ჩამოერვათსაადვოკატო დაშვება, არასასამართლო იურიდიული კონსულტაციის უფლების ჩამორთმევაც. მხოლოდ 2008 წლის მარტში გერმანელმა კანონმდებელმა გამონახა ძალა, გაეუქმებინა აღნიშნული კანონი და ჩაენაცვლებინა ის იურიდიული მომსახურების შედარებით ლიბერალური კანონით. გადამწყვეტი როლი ამ თვალსაზრისით ითამაშა იმ გარემოებამ, რომ ევროკავშირის ხელშეკრულებები უზრუნველჰყოფს მომსახურების თავისუფლებას. მაშინ როდესაც ევროკავშირის უცხოელებს ვეღარ ეთქმებათ უარი გერმანიაში იურიდიული საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებაზე, მაშინ აღარც არის გამართლებული იურიდიული კონსულტაციის მონოპოლიის უცხოელი მიმწოდებლების მიმართ შენარჩუნება.

ქორნელიუს ქლაინლაინი
ადვოკატი, დოქტორი (ბერლინი)

ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი და მოსაზრებები. თქვენ მიერ pr@gba.ge ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია და მოსაზრება განიხილება სარედაქციო კოლეგიის მიერ, არ რეცენზირდება, და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

გისურვებთ წარმატებებს!